# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 25 დეკემბერი, 2007 წელი.

№ 252 (5853)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# ვინ – ვის?




ვინ ვისი გამოცვლა სურდა – საკითხავი აი ეს არის

2

## ნინო ბურჯანაძე: არავის ვურჩევთ აკრძალული მეთოდებით მოქმედებას!

გუშინ საღამოს კოდუა-გელბახიანის ფარულ ჩანაწერთან დაკავშირებით ერთობ მკაცრი საგანგებო განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ.

— მივმართავ მთელ საქართველოს, რომ არსებობს ძალიან სერიოზული საფრთხე საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ... ჩვენ მოსყიდვის გზით ქართველი ხალხის არჩევანის წართმევის უფლებას არავის მივცემთ. არჩევნები ჩატარდება დემოკრატიულად, მოსახლეობის ნების მიხედვით და არავის ვურჩევთ აკრძალული მეთოდებით მოქმედებას — თქვა ნინო ბურჯანაძემ.



## ზეციური სტუმარი დედამიწაზე

4-5

პატრიარქის აღსაყდრების 30 წლისთავის გამო

◎ „ეგზიტპოლი: საქართველო-2008“

„ახალი ამბები — საქართველოს“ ოფისში პროექტის „ეგზიტპოლი: საქართველო-2008“ ხელმძღვანელის პრესკონფერენცია გაიმართა.

## უკრაინელების გამოკითხვით მარათონში ლევან გაჩეჩილაძე ლიდერობს

საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის „საერთო ევროპული საქმე“ პრეზიდენტმა, პროფესორმა ლეონიდ ბელოუსოვმა (უკრაინაძ საქმიანობის მთავარ მიზნად საერთო-ევროპული ცივილიზებული სივრცის შექმნა დაასახელა. მისი აზრით, მაშინ, როდესაც ევროპას დიდი მსოფლიო მოთამაშეები — ჩინეთი, ინდოეთი... გამოუჩნდნენ, დანაწევრებული ევროპა, მათ შორის რუსეთიც და უკრაინაც დამარცხდება. ამიტომ აუცილებელია ევროპულ დონეზე ინტეგრაცია.

ბელოუსოვის თქმით, ევროპა საერთო ცივილიზაციის სივრცეა და საქართველომაც სწორედ ეს გზა აირჩია.

საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი „საერთო ევროპული საქმე“ სოციალური ტექნოლოგიების ინსტიტუტის და დემოკრატიის საერთაშორისო ინსტიტუტის მხარდაჭერით, ჩაატარებს ეგზიტპოლს — საარჩევნო უბნებიდან გამოსულთა გამოკითხვას, ასევე, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების დროს სოციოლოგიურ კვლევათა სერიას.



მანამდე კი, ლეონიდ ბელოუსოვმა და სოციალური ტექნოლოგიების კვლევის ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, პროფესორმა ალექსანდრე ტიხონოვმა ჟურნალისტებს ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატების რეიტინგების სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები გააცნეს. გამოიკითხა 1200 რესპონდენტი 83 დასახლებულ პუნქტში. 21,9 პროცენტით ლიდერობს ლევან გაჩეჩილაძე, 21,0 პროცენტი აქვს მიხეილ სააკაშვილს, 20,3 პროცენტით ბადრი პატარკაციშვილი მესამე ადგილზეა.

მომდევნო ადგილებს იკავებენ: დავით გამყრელიძე (7,9 პროცენტიძ, შალვა ნათელაშვილი (6, 1 პროცენტიძ, გია მაისაშვილი (1,6 პროცენტიძ, ირინა სარიშვილი (0,3 პროცენტიძ.

გამოკითხვაში მონაწილეთა 18,6 პროცენტმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ იცის, ვის მისცემს ხმას, ხოლო 2,3 პროცენტი საერთოდ არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას.

ნატა ნიბლაძე

SIC!

● როგორც ცნობილია, ვალერი გელბახიანი პროკურატურამ ექსპრესტანილად სცნო. საუბარია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად შეთქმულების მომზადების შესახებ.
ექსპრესტანილად სცნეს, აგრეთვე, ყოფილი მოსამართლე მარინა გაბუნიაც, რომელიც ამ შეხვედრებს ესწრებოდა




◉ დიდი სკანდალი

# ვინ — ვის?

## ერეკლე კოდუასა და ვალერი გელბახიანის საუბრის ფარული ვიდეოჩანაწერი

**საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის ვალერი გელბახიანისა და შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ის) დირექტორის ერეკლე კოდუას საუბრის ფარული ვიდეოჩანაწერი გაავრცელა.**

როგორც მასალიდან ირკვევა, მათ შეხვედრებს ესწრება და საუბარში მონაწილეობს ყოფილი მოსამართლე მარინა გაბუნია.

ჩანაწერის მიხედვით, გელბახიანი კოდუას არჩევნების შემდეგ მასობრივი არეულობებისა და საპროტესტო აქციების გამოწვევაში დახმარებას სთხოვს.

—ჩვენ ამისთვის სერიოზულ ფულს დავხარჯავთ. ჯერ არაფერი არ დაგვიხარჯია. მთელ თბილისს გამოვიყვანთ გარეთ. დავდგამთ ძალიან სერიოზულ სპექტაკლს. როცა ქვეყანაშია უმართავი პროცესი და ვიღაცამ ძალაზე უნდა დაიხედოს, აი, ამაზეა საუბარი, — ამბობს გელბახიანი და კოდუას ფინანსურ უზრუნველყოფას და პოლიტიკურ გარანტიებს სთავაზობს.

**გელბახიანი** — ხალხი გარეთ უნდა გამოვიდეს, ხალხმა ფონი უნდა შექმნას, მთელმა მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ ხალხი გარეთ გამოდის თავისი უფლებების დასაცავად.

**კოდუა** — მთავარი ეგ არის, ხალხი გამოვიდეს.

**გელბახიანი** — ხალხი გამოვა ყველა ვარიანტში. გეტყვი ჩვენს სტრუქტურაში რაც ხდებოდა. აღორძინებაში 250 000 ადამიანი იყო. იქედან დაახლოებით 20 პროცენტი გვყავს მოყვანილი უკან. ჩვენ ხელფასს 80 000 კაცს გადავუხდით.

**კოდუა** — ეს ერთი მხარე თქვენი მხარეა?

**გელბახიანი** — კოორდინატორებს ვეძახით ჩვენ, 80 000 კაცს ვუნიშნავთ ხელფასს. ამათ მოტივაციასაც ვუჩენთ, რომ ერთ საათში მობილიზაცია მოხდეს ყველა ქალაქში. პლუს ამას ოპოზიციის ძალა. ხუთის შემდეგ იწყება ეს ყველაფერი. კამპანიას ერთ კვირაში წავიყვანთ პიკისკენ. ხალხი როდესაც კრიტიკულია, ის ყველაფერზე სპასოზნია, — ამბობს გელბახიანი, რომელთანაც კოდუა აზუსტებს, ნამდვილად თუ გამოვა ხალხი.

**კოდუა** — გამოვა ე.ი. ხალხი ქუჩაში.

**გელბახიანი** — კიდევ გიმეორებ, თუ ხალხი არ გამოვა, თუ სიტუაცია არ იძაბება, ეს სცენარი არ გამოვა. რატომ ვქმნით ამხელა სტრუქტურას? იმიტომ, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიყვანოთ. ამ ხალხს იმისთვის ვამზადებთ, რომ ეს სიტუაცია ავაგდოთ. ლუზოი უზანს ისე დაარბევ, როგორც არაფერი. სპიჩკას ჩააგდებ და დაწვავ, — აცხადებს გელბახიანი და დასძენს, რომ ლევან გაჩეჩილაძის ბანაკშიც იგივე სიტუაციაა.

— იმ ბანაკშიც იგივე სიტუაციაა, ჩვენ ვლაპარაკობთ გაჩეჩილაძის ბანაკზე. ყველაზე დიდი და რთული პროცესი იწყება ექვსში, — ამბობს გელბახიანი.

პროკურატურის ინფორმაციით, ფარულ ჩანაწერში საუბარია ვანო მერაბიშვილის განეიტრალებაზეც.

**კოდუა** — კაი, ვთქვათ და მე შევასრულე იმ კაცის განეიტრალება, მიშას რას ვუშვრებით მერე?

**გელბახიანი** — მიშა, შენ არ დაიჯერო, რომ ერთ საათს მაინც გაჩერდეს ქვეყანაში. მე მივდივარ ეხლა, ჩამოგიტან სრულ პასუხს და კონკრეტულს.

**კოდუა** — ე. ი. თქვენ თვითონ პასუხს ელოდებით.

**გელბახიანი** — კი, ამისათვის მივდივარ, სხვა არაფერი საქმე არა მაქვს.

ამით სრულდება 18 დეკემბერს 01:05 საათზე შემდგარი საუბრის ჩანაწერი.

მეორე ჩანაწერი, სადაც გელბახიანისა და კოდუას შეხვედრას კვლავ გაბუნია ესწრება, განხორციელებულია 21 დეკემბერს. ჩანაწერის დასაწყისში საუბარია არჩევნებში ხელისუფლების მოგებაზე.

— ოპოზიციის გარეშე დასკვნა არ იწერება. ეს უნდა დაადასტურონ საერთაშორისო ორგანიზაციებმაც. ფონი შექმნას, რომ ყალბდება არჩევნები, შენ უნდა შექმნა ფონი, — მიმართავს გელბახიანი კოდუას.

გელბახიანი გიორგი თარგამაძის პოლიტიკაში წასვლაზეც საუბრობს და დასძენს, რომ იგი ახალი პარტიის თავმჯდომარე იქნება.

— ეხლა რომ მაგან დაიწყოს ძალიან მწვავე ფონის შექმნა, მე დარწმუნებული ვარ, რომ მიხნიკი, რიხნიკი მაგას ვეღარ უშველის. კვლავ წავა დავლენიე ხელისუფლებიდან, ხო ხედავთ, ბალანსს არღვევს, მიუხედავად იმისა, რომ გავხსენით და შეიტრიალებს ამ პიარს... გიორგის აქვს ეგეთი დავალება, რომ მან უნდა მოაჩვენოს, რომ იმის შემდეგ, რაც მოხდა „იმედში", კოლექტივში არის შიში, — ამბობს გელბახიანი.

ჩანაწერში საუბარია, ასევე, ვლადიმერ პუტინზე. როგორც გელბახიანი ამბობს, პუტინს პატარკაციშვილთან არანაირი პრეტენზიები არა აქვს, გარდა ბერეზოვსკის ჩამოშორებისა.

— პუტინს არანაირი პრობლემა არა აქვს ბადრისთან, ბორია ჩამოიშოროსო, — ამბობს გელბახიანი.

* * *

**როგორც ცნობილია, ვალერი გელბახიანი პროკურატურამ ექსპრესტანილად სცნო. საუბარია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად შეთქმულების მომზადების შესახებ.**

**ექსპრესტანილად სცნეს, აგრეთვე, ყოფილი მოსამართლე მარინა გაბუნიაც, რომელიც ამ შეხვედრებს ესწრებოდა. „ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, გაბუნია ბოლო დროს ადვოკატობით იყო დაკავებული.**

**სოდ-ის დირექტორის ერეკლე კოდუას პატაკში აღნიშნულია, რომ მას 17 დეკემბერს ყოფილი მოსამართლე მარინა გაბუნია უნდა შეხვდეს, რომელიც თანამზრახველებთან ერთად, თანხის საფასურად შეეცდება მის მოსყიდვას სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობის მისაღებად.**

# ვის ვისი გაშიფვრა სურდა — საკითხავი აი ეს არის!

**პრეზიდენტობის კანდიდატის ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბში ადასტურებენ ინფორმაციას, რომ საუბარი შტაბის ხელმძღვანელს ვალერი გელბახიანსა და შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსს ერეკლე კოდუას შორის მართლაც შედგა.**

როგორც შტაბის საორგანიზაციო სამსახურის უფროსმა დავით შუკაკიძემ განაცხადა, მსგავსი საუბარი მართლაც შედგა, მაგრამ საკითხავია, ვინ ვისთან გავიდა კონტაქტზე და ვინ ვის იზირებდა.

მისივე თქმით, პროკურატურის განცხადებები შტაბში არანაირ პანიკას არ იწვევს.

* * *

**ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის წევრი გოჩა ჯოჯუა აცხადებს, რომ ვალერი გელბახიანს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის ერეკლე კოდუას განეიტრალება სურდა.**

როგორც ჯოჯუამ ჟურნალისტებს განუცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, რეალურად, კუდი და სოდია.

— გელბახიანმა თავის თავზე კოდუას განეიტრალება და პოლიტიკური გარანტიების მიცემა აიღო, — აღნიშნა მან.

* * *

**გენერალურ პროკურატურაში გამართული ბრიფინგის შემდეგ ვალერი გელბახიანმა პირველი სატელეფონო კომენტარი ტელეკომპანია „რუსთავი 2"-თან გააკეთა.**

გელბახიანი ერეკლე კოდუასთან შეხვედრის ფაქტს არ უარყოფს, თუმცა აცხადებს, რომ შეთქმულებაზე შეხვედრისას საუბარი არ ყოფილა.

— არავითარ შეთქმულებაზე და გადატრიალებაზე საუბარი არ არის. საუბარია იმაზე, რომ ექვსში ხალხი მაინც გამოვა და მაინც გამოვიყვანთ იმიტომ, რომ არ გავაყალბებინებთ არჩევნებს, — აცხადებს გელბახიანი.

მისივე თქმით, ხალხის სპონტანურად გამოსვლის იმედად არ არიან, ვინაიდან ძლიერი ორგანიზაცია აქვთ.

—ხალხის სპონტანურად გამოსვლის იმედზე რატომ უნდა ვიყოთ, როდესაც გვაქვს სერიოზული ორგანიზაცია. კი არ გამოვიყვანთ, მოვუწოდებთ, რომ სერიოზული პროტესტი გამოხატონ იმაზე, რასაც ხელისუფლება აპირებს, — აღნიშნა გელბახიანმა.

სატელევიზიო კომენტარში გელბახიანი ხელისუფლების მიზნებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ირაკლი კოდუამ მასთან საუბარში განაცხადა, თითქოს ხელისუფლება ყველა ლიდერის დაკავებას გეგმავს.

— ყველა ლიდერის დაჭერას აპირებს ხელისუფლება, ემზადება ამისთვის. თვითონ კოდუა მეუბნება ამას, მაგრამ ეს რატომღაც ჩანაწერში არ ჩანს. მე ვეუბნები, რომ არ უნდა გააკეთოთ, ამის გაკეთება არ შეიძლება არც ერთ შემთხვევაში-მეთქი, — აცხადებს გელბახიანი.

* * *

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ალეკო შალამბერიძის მოსაზრებით, აუცილებელია, გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით გამოძიება გაგრძელდეს და მისი შედეგების მიხედვით ხელისუფლებამ გადამჭრელი ზომები მიიღოს.**

ამის შესახებ ალეკო შალამბერიძემ ვალერი გელბახიანთან დაკავშირებით გავრცელებული ფარული ვიდეოჩანაწერების კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, ამ მასალის ნახვისას დამთრგუნველი შთაბეჭდილება დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ შინაგანად იმის განცდა ჰქონდა, რომ ოპოზიციის ნაწილი 6 იანვრისთვის ემზადებოდა და არა — 5 იანვრისთვის.

უმრავლესობის წევრის თქმით, შტაბში სავარძელში მჯდომმა გელბახიანმა და მისმა „სიბრძნეებმა" ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შალამბერიძე აცხადებს, რომ ქვეყანას სერიოზული დაცვა სჭირდება, აუცილებლად გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს და არჩევნებს არ დაელოდოს.

* * *

**პარტია „თავისუფლების" ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის ვალერი გელბახიანის განცხადებებს ემიჯნება და აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ოპოზიციისთვის ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა მიუღებელია.**

გამსახურდია აცხადებს, რომ ის მოსაზრებები, რომელსაც გელბახიანი გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში ახმოვანებს, მხოლოდ ოპოზიციის დისკრედიტაციისკენაა მიმართული.

* * *

**გაერთიანებული ოპოზიციის ერთიანი ეროვნული საბჭო გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ ვიდეომასალასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს.**

როგორც საბჭოს წევრმა დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, მათ საპრეზიდენტო კანდიდატს გამარჯვების აბსოლუტური შანსი აქვს და არავითარ სახელმწიფო გადატრიალებებთან მათ კავშირი არ გააჩნიათ.

* * *

**გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ ჩანაწერში მოყვანილ ფაქტებთან ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო შტაბის ყოველგვარ კავშირს გამორიცხავს.**

როგორც ბერძენიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, პრეზიდენტობის კანდიდატებსა და მათ შტაბებს შორის კავშირები არსებობს, თუმცა ამ კავშირებს ვიდეოჩანაწერში არსებულ საუბრებთან საერთო არაფერი აქვს.

— პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს შორის, გამყრელიძე იქნება ეს, ნათელაშვილი, პატარკაციშვილი ან სხვა, კავშირები, ცხადია, არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონტაქტებს არავითარი კავშირი გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ მასალებთან არ გააჩნია, — აღნიშნა ბერძენიშვილმა.

* * *

**პრეზიდენტობის კანდიდატის ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბმა პატარკაციშვილის სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელიც საარჩევნო შტაბის უფროსის ვალერი გელბახიანისა და სოდ-ის დირექტორის ერეკლე კოდუას საუბრებს შეეხება.**

მიმართვის ტექსტში ბადრი პატარკაციშვილი აცხადებს, რომ 23 დეკემბერს სოდ-ის უფროსის ერეკლე კოდუას ინიციატივისა და თხოვნის საფუძველზე, იგი კოდუას ლონდონში შეხვდა.

— კოდუასთან შეხვედრის თხოვნა ვალერი გელბახიანმა გადმომცა, რომელიც ჩემი საარჩევნო შტაბის უფროსია. მივხვდი, რომ ეს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი კიდევ ერთი პროვოკაცია იყო და ვთხოვე ბრიტანელ დაცვის თანამშრომელს ამ შეხვედრის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი გაეკეთებინა. ეს პროვოკაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ხელისუფლების მხრიდან ჩემს წინააღმდეგ წამოყენებული ნებისმიერი ბრალდება უსაფუძვლოა. მე მივმართე ჩემს ადვოკატებს დიდ ბრიტანეთში, რათა ხელისუფლების კიდევ ერთი პროვოკაციის შესახებ ეცნობებინა სკოტლანდ იარდისთვის. სააკაშვილის რეჟიმმა საზოგადოებას ნათლად დაანახა, რომ მან არჩევნების პოლიტიკური ფორმებით მოგების ყველა რესურსი ამოწურა, — ნათქვამია ბადრი პატარკაციშვილის განცხადებაში.

* * *

**პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას არა აქვს უფლება, ოპონენტები სახელმწიფო გადატრიალებაში დაადანაშაულოს.**

— ხელისუფლებას არანაირი მორალური უფლება არა აქვს, ვინმეს ბრალი დასდოს სახელმწიფო გადატრიალებაში, რადგან თვითონ სააკაშვილი 2003 წელს მოვარდა ხელისუფლებაში ძალით, სოროსიდან გადმორიცხული 870 მლნ აშშ დოლარით, შტურმით აიღო პარლამენტისა და კანცელარიის შენობები, — აღნიშნა ნათელაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისივე თქმით, სააკაშვილმა ყოველივე ამაზე პასუხი უნდა აგოს, არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ სისხლის სამართლებრივადაც.

* * *

**ბადრი პატარკაციშვილის თბილისის საარჩევნო შტაბის უფროსი, ოლიმპიური ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ ფარულ ვიდეოჩანაწერთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს.**

როგორც გაფრინდაშვილმა განაცხადა, არ სჯერა, რომ პატარკაციშვილი ხელისუფლების ძალადობით დამხობის გეგმაში მონაწილეობდა.

— არ მჯერა, რადგან, ვიცი, რომ პატარკაციშვილი პოლიტიკაში ჩაერთო ძალადობის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ქვეყანაში ძალადობა არ იყოს და კანონი იყოს კანონი, — აღნიშნა გაფრინდაშვილმა.

მან ფარული ვიდეოჩანაწერის გავრცელებას ოპოზიციური პარტიების დისკრიმინაციის მცდელობა უწოდა.

— რაც შეეხება გელბახიანს, არ ვიცი, რეალურად, ჰქონდა მას ასეთი ლაპარაკი, თუ ეს არის მონტაჟი. ჩემთვის ეს გაუგებარია, — განაცხადა ნონა გაფრინდაშვილმა.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

**დრო**

## ● თუ ჩვენი ხელისუფლების უგუნურება კიდევ გაგრძელდება, შეიძლება ნატოს კიდევ უფრო დავშორდეთ



**◉ განსჯა**

*საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა ქვეყნის მოსახლეობაში დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ ამ საკითხზე 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე პლებისციტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.*

*მას შემდეგ, რაც საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა, რომელიც საქართველოს ნეიტრალიტეტის იდეას ნოემბრის მოვლენებამდე მხარს აქტიურად უჭერდა, ხელი მოაწერა გაერთიანებული ოპოზიციის „საგურამოს მანიფესტს“, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის თანამიმდევრული და მიზანმიმართული პოლიტიკის გატარებას. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების წინააღმდეგ თავის პოზიციას ღიად დააფიქსირებდა.*

*პრეზიდენტობის კანდიდატმა ირინა სარიშვილმა ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას გადაცემა “პრაიმტაიმში“, საქართველოს ნეიტრალიტეტისა და ნატოში გაწევრიანების თემაზე ვრცლად ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, იგი საქართველოს ნეიტრალურ ქვეყნად გამოაცხადებს და შეაჩერებს იმ პროგრამების განხორციელებას, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრიანებას უკავშირდება.*

*საქართველოს ნატოში გაწევრიანების აუცილებლობისა და ნეიტრალურ ქვეყნად გამოცხადების თემებზე “ინტერპრესნიუსი“ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო ნატოში“ თავმჯდომარეს, პოლიტოლოგ შალვა ფიჩხაძეს ესაუბრა.*

*პოლიტოლოგმა შალვა ფიჩხაძემ პრეზიდენტობის კანდიდატ ირინა სარიშვილის განცხადებებზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა და ჩვენი საუბარი, ძირითადად, ამ მნიშვნელოვანი თემების განხილვას მიეძღვნა.*

# შალვა ფიჩხაძე:

# ნეიტრალიტეტის თემა კარგად შეფუთული იდეაა იმისა, რომ საქართველო დასავლეთს მოწყდეს

**— ბატონო შალვა, თქვენ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას დიდი ხანია მხარს უჭერთ. რატომ?**

— მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი აბსოლუტურად მიუღებელია, იმიტომ, რომ ჩვენი ერთადერთი გადარჩენა, იმ სახით რა სახითაც შეიძლება დემოკრატიული საქართველო გადარჩეს, არის ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება. საქმე ეხება ქვეყნის ფიზიკურ გადარჩენას.

ეს განპირობებულია ძალიან მარტივი მიზეზით. ნეიტრალიტეტი არის არა ქვეყნის სურვილი, არამედ დამოკიდებულება სხვა ქვეყნებისა ამ ქვეყნის მიმართ, ანუ, ჩვენს შემთხვევაში, საქართველოს მიმართ.

არც ერთ ძლიერ მოთამაშეს რეგიონის შიგნით და გარეთ ნეიტრალური საქართველო ხელს არ აძლევს. რუსეთს პირველ რიგში არ აწყობს ნეიტრალური საქართველო. ნეიტრალიტეტზე საუბრით რუსეთი ცდილობს, ამ გზით საქართველო დასავლურ სივრცეს მოწყვიტოს.

საქართველოს ნეიტრალიტეტის თემა კარგად შეფუთული იდეაა იმისა, რომ საქართველო დასავლეთს მოწყდეს. თუ საქართველო დასავლეთს მოწყდება, იგი ისევ რუსეთის ლუკმა გახდება.

არც სხვა ქვეყნებს აძლევს ხელს, რომ საქართველო ნეიტრალური სახელმწიფო იყოს. დაპირისპირება და ბრძოლა გავლენისათვის ცენტრალურ აზიაში, სამხრეთ კავკასიაში და წინა აზიაში რამდენიმე ძალას შორის მიმდინარეობს. არ უნდა დავივიწყოთ ფუნდამენტური ისლამის გაძლიერების პერსპექტივაც.

რუსეთი და სხვა ქვეყნები მაგალითად, ჩინეთი და ზოგიერთი სხვაც, ორგანიზაციებს ქმნიან, რომლებსაც სამხედრო კომპონენტი აქვთ. ჩინეთის აგრესიას ამ სიტუაციაში გამოვრიცხავ, მაგრამ რუსეთი ქმნის ასეთი ტიპის ორგანიზაციებს და აქედან გამომდინარე დასავლეთისთვის საქართველო არის ამ ბრძოლის წინა ხაზი, იმ საფრთხეებთან დაპირისპირებისა, რომელიც დასავლეთს აწუხებს, განსაკუთრებით 11 სექტემბრის შემდეგ.

ამიტომ საქართველო ნეიტრალური ვერ იქნება. მან შეიძლება გამოაცხადოს თავის ნეიტრალიტეტი, მაგრამ, ამას არ განიხილავენ და ვერ მიიღებენ დიდი მოთამაშეები, რომლებიც მსოფლიოში თამაშის წესებს ადგენენ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ.

შვეიცარიის ნეიტრალიტეტი ყველას ხელს აძლევდა და მის ნეიტრალიტეტზე ყველა ძლიერი მოთამაშე შეთანხმდა, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში, ჩემი აზრით, ამგვარი რამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი დამღუპველი იქნება.

**— რუსეთის პოლიტელიტა კარგა ხანია გვიკიჟინებს, არ შეხვიდეთ ნატოში და ნეიტრალური იყავითო. რას უნდა მივაწეროთ ამ საკითხში ჩვენი და რუსი პოლიტიკოსების აზრთა თანხვედრა?**

— ჩვენი ხელისუფლების გადამლაშების წყალობით, რუსული გავლენის თუ აგენტების თემა მგონი კომიკურიც კი გახდა. მე ამჯერად თავს შევიკავებ რაიმე განცხადებისაგან, რომ ეს სწორედ ამასთან არის დაკავშირებული.

არ გამოვრიცხავ, რომ ის ვინც საქართველოს ნეიტრალიტეტზე საუბრობს, მართლაც ფიქრობს, რომ ეს ქვეყანას წაადგება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ კრემლი ფულს უხდის ასეთი იდეის კულტივირებისთვის. ხომ შეიძლება ისინი მართლაც ასე ფიქრობდნენ?

**— თქვენი აზრით, რა პასუხს გასცემს საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის ნატოში შესვლასთან დაკავშირებით პლებისციტზე დასმულ კითხვას და რა პერსპექტივები გვაქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისთვის?**

— შარშანდელი გამოკითხვებით, საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი უჭერდა, ასე, რომ ეჭვი არ მეპარება, პლებისციტის კითხვაზე მოსახლეობა დადებითად უპასუხებს. თუ რამდენი პროცენტი მიანიჭებს უპირატესობას ნატოში გაწევრიანებას, ამას პლებისციტი გვიჩვენებს.

რაც შეეხება ნატოში შესვლის პერსპექტივას. ამას ორმა რამემ შეიძლება ხელი შეუშალოს. პირველი, ეს არის ჩვენი ხელისუფლების უგუნურება. მათმა 4-წლიანმა საქმიანობამ დაგვანახა, რომ იგი სიტყვით თითქოს გვაახლოებდა ნატოს, მაგრამ საქმით არ გვაახლოებდა. ნოემბრის მოვლენებმა ამ პროცესს სულ დაგვაშორა. ძალიან დიდი სასწაული იქნება, თუ ისეთი ქვეყანა, როგორიც ჩვენ ვართ, ნატომ თავის რიგებში მიიღოს.

მეორე, რამაც შეიძლება ნატოს დაგვაშოროს ეს არის საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა გადანაწილების ცვლილება. დღესდღეობით ძალთა თანაფარდობა უფრო ჩვენს სასარგებლოდაა, ვიდრე საწინააღმდეგოდ, მაგრამ, თუ ჩვენი უგუნურობით დიდხანს გავჭიმავთ იმ საშინაო დავალების შესრულებას, რომელსაც ჩვენგან ნატო მოითხოვს; იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი დღითი დღე ძლიერდება, ამასობაში, შეიძლება ძალთა გადანაწილება რუსეთის სასარგებლოდ და ჩვენს საწინააღმდეგოდ შეიცვალოს. თუ ჩვენი ხელისუფლების უგუნურება კიდევ გაგრძელდება, შეიძლება ნატოს კიდევ უფრო დავშორდეთ.

**კობა ბენდელიანი,**
**ინტერპრესნიუსი**

**◉ ფიქრები**

# წითელი ვარდები და თეთრი ვირები

***ვიდრე მთავარ სათქმელს შევუდგებოდე, საზოგადოებას უნდა მივულოცო „იმედის“ მაუწყებლობის განახლება. საქართველოში სატელევიზიო კრიტიკა რომ არსებობდეს, აუცილებლად აღნიშნავდა „იმედის“ გემოვნებიან, ზნეობრივ და პროფესიულ მიდგომას საქმისადმი.***

***მოკლედ: რაც „ნაცებმა“ დამართეს „იმედს“, ამ არხს და მის ბრწყინვალე კოლექტივს მხოლოდ ღირსებას მატებს.***

***იმედი მაქვს „იმედი“ უარესობისკენ არ შეიცვლება და როგორც გიორგი თარგამაძემ ტელევიზიის დარბევისას დაგვაიმედა — ყველაფერი კარგად იქნება!***

„ჩვენ, ადამიანებს, ცუდად გვაქვს შეგნებული, რომ ძლიერებით, დიდი ბედნიერებით და უფლებამოსილებით აღსავსე ცხოვრებას მხოლოდ სამართლიანობა ანიჭებს ღვთაებრიობას, უსამართლობა კი ნადირთსადგომად აქცევს “ (პლუტარქე).

არადა, 7 ნოემბერს, დიდ უბედურებასა და ჩაგვრაში მყოფ ხალხს, ცემა-ტყეპაც არ აკმარეს. უარესი იყო „იმედის“ დარბევა... მაგრამ მანამდე ბევრი რამ გადავყლაპეთ, რამაც ასე გაათამამა „ნაცები“.

გაიხსენეთ ტელევიზია „იბერიას“ დარბევა და დახურვა. ჟურნალ „ომეგას“ და გაზეთ „ახალი ეპოქის“ გაქრობა. ნეტავ სად გაქრა ყალბი აქციზური მარკები, რომლებიც ოქრუაშვილის სტამბაში „იბეჭდებოდა“? არადა, მაშინ ხომ ამ მოტივით შეცვივდნენ სტამბაში ნილბოსნები? სად გაქრა „იბერიას“, „202“-ის, „მე-9“ არხის სიხშირეები?

სააკაშვილი და მისი გუნდი (ჟვანიასაგან განსხვავებით ყოველთვის გამოირჩეოდა სისასტიკითა და აგრესიით. მაშინ, როდესაც საზოგადოების მცირე ნაწილი ელობებოდა „რეფორმატორთა“(ჟვანია-სააკაშვილის თანამოაზრეთა ერთობლიობა) ლტოლვას ხელისუფლებისაკენ, „თავისუფლების ინსტიტუტის“ დივერსიულ გამოხდომებს, „დემოკრატიული მედიის“ ნიმუშად მიჩნეული „ხალხზე გამარჯვებული“ ტელევიზია სააკაშვილის პირდაპირი დაკვეთით თავს ესხმოდა ცალკეულ საზოგადო მოღვაწეს. მაგალითად პროგრამა „60 წუთი“ —ვალერი ასათიანს, სანიმუშო მოქალაქესა და უგანათლებულეს პიროვნებას, ბრალს დებდა ორი ადამიანის რიტუალურ მკვლელობაში! მსგავსი გადაცემები ათეულობით იყო „რუსთავი-2“-ის ეთერში და ყოველი მათგანი არსებული ხელისუფლების დისკრედიტაციას ემსახურებოდა. არადა ვინ გაბედავდა ამ ტელევიზიისაგან ვინმეს „ანგაჟირებული“ ეწოდებინა?

ფაქტია: „რეფორმატორებმა“ ჯერ კიდევ 1999 წლიდან დაიწყეს აქტიური ბრძოლა ხელისუფლების გადატრიალებისთვის. ამისთვის მათ უკვე ჰქონდათ საკუთარი ტელევიზია, რომლისაკენაც მიმართავდნენ ქართული დამოუკიდებელი მედიის მხარდასაჭერ ევროპიდან შემოსულ გრანტებს. მარტო ერთი — 60-მილიონიანი გრანტი რად ღირდა. „რუსთავი-2“ მაშინ უკვე იქცა უზარმაზარი ფულადი სახსრების „გათეთრებისა“ და რევოლუციური მიზნებით აკუმულირების ბაზად.

„რეფორმატორებისათვის“ იმთავითვე დასაშვები იყო პოლიტიკური მიზნით აშკარა ცილისწამება. გავიხსენოთ როგორ იქცა რევოლუციური გამოსვლების საბაბად გიორგი სანაიას მკვლელობა, რაშიც „თავისუფლების ინსტიტუტმა“, „რუსთავი-2“-მა და რეფორმატორებმა პირდაპირ დაადანაშაულეს მაშინდელი ხელისუფლება. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ არავის განუახლებია გამოძიება სანაიას საქმეზე, თუმცა ამის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, ჰქონდათ. მეტიც: გრიგოლ ხურცილავა — სანაიას მკვლელობისთვის მსჯავრდებული — დიდი ხანია ვადაზე ადრე სწორედ ნაცებმა გაათავისუფლეს. ხურცილავა ამჟამად ვაკეში ცხოვრობს და „მლ“-ის ჯიპითაც დასეირნობს. საინტერესოა, არა?

იხ. 5 გვ.

№ 252. სამშაბათი, 25 დეკემბერი, 2007 წელი.

**● ასეთი პიროვნება – რჩეული რჩეულთა შორის, ბრძენი ბრძენთა შორის, მეცნიერი მეცნიერთა შორის, რომლის გული და გონება მთელი ქვეყნის სატკივარს იტევს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე ბრძანდება**





# ზეციური სტუმარი დედამიწაზე

## მოკრძალებული სიტყვა პატრიარქზე მისი აღსაყდრების 30 წლისთავის გამო

უფლის ნება რჩეულში ვლინდება. მხოლოდ ღრმად მორწმუნე და თავდადებულ, უანგარო და გონიერ ადამიანს სულიერი ნიჭიერებით, საკუთარი ერის გულისთქმის შეცნობით, შორსმჭვრეტელობით აჯილდოვებს მაცხოვარი.

ასეთი პიროვნება – რჩეული რჩეულთა შორის, ბრძენი ბრძენთა შორის, მეცნიერი მეცნიერთა შორის, რომლის გული და გონება მთელი ქვეყნის სატკივარს იტევს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე ბრძანდება. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელს, რომელიც 30 წელია ერის სულიერი მამის მძიმე ჯვარს პირნათლად ატარებს, საქრისტიანოს ანთებულ კანდელად თვლიან.

სიტყვა პატრიარქზე ვერ დაიტევს მთელი ერის სიყვარულს, ტკივილს და იმედს, საშინელი ეპოქის ტრაგიკულ სვლას, ნამოღვაწარის მნიშვნელობას, მიღწევების სიდიადეს...

მკითხველს მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს, ჩემს მოკრძალებულ თვალთახედვას, პირადი შეხვედრების ემოციურ ანალიზს შევთავაზებ და ყოველივე განცდილი, შესაძლოა მცირე მოზაიკას შეადგენს ამ ბუმბერაზი ადამიანის სულიერი პორტრეტისათვის.

უძველესი და ცნობილი საგვარეულოს შვილი, ღუდუშაურშიოლაშვილთა ღირსეული წარმომადგენელი, ჩვენი პატრიარქი, ამ ისტორიული ხევის, საქართველოს ჩრდილო კარიბჭის დიდებულ წარსულს ბავშვობიდან იცნობდა. 1957 წლიდან – ბერად აღკვეცის პერიოდიდან თარიღდება სულიერი განწმენდის და შემეცნების ურთულესი, მოწამეობრივი სამსახური უფლის სადიდებლად. „ათონის ივერის მონასტრის ისტორია“ – თემაა მისი პირველი ნაშრომისა, რომელიც ბრწყინვალედ დაიცვა ზაგორსკში, მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. მას მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. ბათუმ-შემოქმედის ეპისკოპოსი, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი, პირველი რექტორი მცხეთის სასულიერო სემინარიისა, გულანთებული ახალგაზრდა მეუფე ეცნობა საქართველოს წმიდა ადგილებს, სწავლობს მრევლის, ეკლესიების გასაჭირს სხვადასხვა კუთხეებში. ის ყველაზე ახალგაზრდა მღვდელთმთავარია. შემთხვევითი როდია, რომ საქართველოს ახალგაზრდობა, რომელიც ვერ იტანდა კომუნისტურ ზეწოლას და დევნას, შველას ეკლესიაში ეძებდა და ილია მეორის ირგვლივ დაირაზმა.

1977 წლის დეკემბერი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთორმეტე საეკლესიო კრებამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, 44 წლის ასაკში, აირჩია ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ილია მეორე. 25 დეკემბერს, სვეტიცხოველში აღსაყდრება შესრულდა. ქართული ეკლესიის ამაღლების ახალი ეტაპი დაიწყო.

1978 წ. მე – ახალბედა ჟურნალისტი, აღშფოთებული, აღელვებული, გაოგნებული ვეწვიე კათოლიკოს-პატრიარქს რეზიდენციაში, სიონის გვერდით. მოვახსენე ჩემი შთაბეჭდილებები დავით-გარეჯის შესახებ, უძველესი და უნიკალური სამონასტრო კომპლექსი აზერბაიჯანელი მწყემსებით და რუსი ჯარისკაცებით იყო სავსე, რომლებიც სროლის დროს ახლომდებარე პოლიგონიდან ქართულ ძეგლს ჭურვების სამიზნედ იყენებდნენ.

პატრიარქის ბრძნული შეგონება იყო: დაწერეთ მშვიდად, მეცნიერების, ფართო საზოგადოების წარმომადგენლების აზრთა გამოყენებით.

1978 წლის 14 აპრილი. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მუხლი ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ უნდა ამოეღოთ. ქვეყანამ სიმწრით ამოიკვნესა: „რომდემდე“! ათიათასობით სტუდენტი, საზოგადო მოღვაწე, პატრიოტი დილის 9 საათიდან დაიძრა რუსთაველის გამზირისკენ. ყველა დაწესებულების კარი ჩარაზული იყო. შესახვევებში ჯარის ნაწილები, ტანკები, მძიმე ტექნიკა იდგა. მიღებული იყო საიდუმლო ბრძანებულება: „მზადყოფნა №1“, რაც მიზანში სროლას ითვალისწინებდა. უწმინდესის და უნეტარესის ჩარევის შემდეგ, რომელმაც ხელისუფალთ აუხსნა, რომ ქართული ენის დაცვა არის მათი უპირველესი ამოცანა, სისხლი არ დაღვრილა. კონსტიტუციის 75-ე მუხლით ქართული ენა დაკანონდა სახელმწიფო ენად და საერთო-სახალხო მღელვარება მშვიდობიანად დასრულდა.

30 წლის წინათ საქართველოში მხოლოდ 48 მოქმედი ეკლესია იყო. – დღეს კი 1000-მდე, ეპარქიების რიცხვი გაიზარდა 40-მდე, დაარსებულია საპატრიარქოს რადიო „ივერია“, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, ტელეკომპანია „ივერია“, გელათის სასულიერო და მეცნიერებათა აკადემიები, ობოლ ბავშვთა სახლები, გალობის უმაღლესი სკოლა, ეკოლოგიის სასწავლებელი... შინა საეკლესიო მშენებლობა, მრევლის ზრდა ქვეყანაში, დაკარგული ავტორიტეტის აღდგენა საზღვარგარეთ – ორი ძირითადი მიმართულება საეკლესიო პოლიტიკისა ამ პერიოდში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესაჭემ საეკლესიო ფორუმებზე, კონსტანტინოპოლის პატრიარქის წინაშე მრავალგზის დასვა საკითხი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. ამ საკითხის გადასაწყვეტად კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ მრავალი დელეგაცია მოავლინა საქართველოში. 1990 წ. რთული და დაძაბული მოლაპარაკებები დასრულდა საქართველოს პატრიარქის და ჩვენი უძველესი ეკლესიის გამარჯვებით – მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია, მიანიჭა მას მტკიცების სიგელი.

1989 წ. მზიანი ღამე. 9 აპრილი. იმპერიის მიერ მოწყობილი ეგზეკუცია, სისხლიანი შერკინება სიკეთესა და სიბოროტეს, თავისუფლებასა და მონობას შორის. ალესილი ნიჩბები, ნიღბიანთა რაზმები, ტანკები, უცნობი მომწამლავი გაზები. 21 დაღუპული, 4000 მოწამლული. პირველი ბზარი იმპერიის მონოლითში. პატრიარქის სევდიანი სიტყვები და ტკივილით შეწუხებული სახე. ერმა არ შეისმინა, არ წავიდა ტაძარში.

1991 წლის 22 დეკემბერი. სამარცხვინო ფურცელი ერის ისტორიაში. რუსეთ-საქართველოს მესამე ანექსია-ოკუპაცია. კვლავ მსხვერპლი რუსთაველის გამზირზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. „ისევე როგორც პიროვნების განსაცდელი, ერის განსაცდელიც ღვთისაგან, მისი სულიერი ამაღლებისათვის ხდება. ახლა სწორედ ამ პროცესს გავდივართ და დარწმუნებული ვარ, ღვთის წყალობით, იგი იქცევა ზეცად აღმყვანებელ ჩვენს სულიერ კიბედ. ის კი, ვინც გაურბის ღვთისაგან დაშვებულ ამ გამოცდას და იოლ გზას ეძებს, უარს ამბობს დიდების გვირგვინზე. ამიტომაც მოვლენებს სულიერი თვალით უნდა შევხედოთ, უფრო ღრმა ანალიზი უნდა გავუკეთოთ ჩვენს ცხოვრებას და საერთო ყოფას, რათა მართებული დასკვნები გამოვიტანოთ... იყავით მძლეველნი საკუთარი თავისა და თქვენს გულში განამზადეთ ტრაპეზი განწმენდისა, რათა იქ პასექი ისმინოს ქრისტემ. იხარეთ ორსავე სოფელსა შინა; ჩვენთან არს ღმერთი!“

ეს სიტყვები უწმინდესისა და უნეტარესის, სულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ერთ-ერთი სააღდგომო ეპისტოლედან გულში ჩაიწერა რწმენით, სასოებითა და იმედით ყოველმა ქართველმა. ამ იმედით ეძებს ის დათრგუნული, გაუბედურებული, ღირსებააყრილი ტაძრისაკენ მიმავალ გზას, რათა ქრისტეს ნათელი შეიცნოს.

რამდენიმე წლის წინათ დაიწყო საშინელი ზეწოლა საქართველოს ეკლესიაზე. პრესით, ტელევიზიით გაისმოდა შეძახილები ეკლესიაზე კონტროლის დაწესების შესახებ, სინოდალურ მმართველობაზე, ნეგატიურ მოვლენებზე ეკლესიის წიაღში. შეწუხებულმა სიონს მივაშურე. პატრიარქი მისული იყო წირვაზე და ქადაგების ჟამს მხოლოდ ერთი ფრაზა თქვა გასაოცარი სიძლიერით და შინაგანი ღირსებით: „ვინც ეკლესიას შეეხება – ეკლესია მას დაანგრევს“. მალე ეკლესიის მამები მრევლთან ერთად – დროშებით, ხატებით, გალობით სამებისკენ დაიძრნენ. ეს იყო დიდებული და ლამაზი, ბიბლიური მსვლელობა ტაძრისკენ.

ჩვენ ბედნიერები ვიყავით, რომ უწმინდესმა და უნეტარესმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმიც დალოცა და ამ ლოცვა-კურთხევაში ჩვენი მოქმედების ძირითადი ამოცანები დაგვისახა – მომავალი თაობის აღზრდა რწმენის და ზნეობის მაგალითებზე.

მაგრამ ჩვენთვის, ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანადგომთა საკრებულოს, ნიკო ბაგრატიონის საზოგადოების, მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინის“ წევრებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია პატრიარქის აზრები სამეფო დინასტიაზე, მონარქიაზე, ქვეყნის მომავალზე. პატრიარქის ყოველი წინადადება, აზრი, დებულება, მიმართვა – ჩვენთვის მოქმედების სტრატეგიაც და ტაქტიკაც არის.

ჩვენ მრავალი კონფერენცია და შეხვედრა ჩავატარეთ საქართველოს საპატრიარქოში, რომელიც ბაგრატიონებს მივუძღვენით, მრავალი საინტერესო მოხსენება და გამოსვლა მოვისმინეთ, მაგრამ პატრიარქის დასკვნითი სიტყვები ყოველთვის ყველაზე ტევადი, მოულოდნელი და ორიგინალური იყო აზრის თვითმყოფადობით, ნაციონალურის და ემოციურის შერწყმით, ნოვაციური თვალთახედვით. ჩემთვის საოცრად მნიშვნელოვანი, ემოციური და დაუვიწყარი იყო ჩვენი შეხვედრა სვეტიცხოვლის საპატრიარქო რეზიდენციაში 2007 წლის 27 ივლისს, როცა ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „ბაგრატიონნი იცნობის...“ პატრიარქმა ბრძანა მაშინ: „ჩვენი შეკრება შედგა სვეტიცხოველში, სადაც ყველა მეფეს მუხლი მოუყრია. ულოცია საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის. ჩვენ კიდევ ერთხელ გავიაზრეთ ის, რომ მთელი ჩვენი წარსული, ჩვენი კულტურა, ჩვენი სულიერება ეფუძნებოდა ბაგრატიონთა გვარს. ბაგრატიონნი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ საქართველო გაბრწყინებულიყო. ეს არ არის უბრალო საქმე, ბაგრატიონთა წარმომადგენლები იყვნენ ერის სათავეში სულიერადაც. თქვენ ბრძანეთ, ქალბატონო ია, რომ ბაგრატიონთა გვარი ტრაგიკული გვარია. პირველობა საერთოდ ტრაგიკულია. ვინც არის პირველი, ის ხდება სამიზნე. მაგრამ მაინც ბედნიერია ბაგრატიონთა გვარი და მე ვფიქრობ, რომ ლოცვა-კურთხევა დავითისა და სოლომონისა დღემდე მოსდგამს თქვენს გვარს. ბაგრატიონთა გვარი იყო და არის კლდე, რომელსაც ეყრდნობოდა ჩვენი წარსული და რომელსაც უნდა დაეყრდნოს ჩვენი მომავალი. თქვენ იცით, მაცხოვარმა პეტრეს უწოდა კლდე და ამიტომ მე მინდა სწორედ პეტრე მოციქულის ვერცხლის ხატი მოგართვათ. რაც შეეხება მომავალს, მომავალი ღვთის ხელშია და მე იმედი მაქვს, რომ ბაგრატიონთა გვარი კვლავ იმეფებს საქართველოში...“

სრულიად საქართველოს პატრიარქის იმედი, ჩვენი ერთობლივი გულისთქმა, ერის შინაგანი მზაობა სწორედ ამ ამაღლებულ იდეასთან, ევროპაში უძველესი დინასტიის აღზევებასთან არის დაკავშირებული. ჩვენს იმედს, ჩვენს სიხარულს დიდი ბიძგი მისცა კათოლიკოს-პატრიარქის საკვირაო ქადაგებამ ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში 2007 წლის 7 ოქტომბერს. პატრიარქმა ერს შესთავაზა კონსტიტუციური მონარქიის იდეა. მან ბრძანა: „დღეს ჩვენ ქვეყანაში ზოგიერთი გამოთქვამს ასეთ აზრს, რომ საქართველოში უნდა დამყარდეს კონსტიტუციური მონარქია. განვიმარტავთ, თუ რას ნიშნავს ეს. ეს ნიშნავს იმას, რომ მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს. მეფე არის გარანტი ქვეყნის მთლიანობისა და ყოველი ადამიანის დაცვისა და შეიძლება, მომავალში ქართველმა ხალხმა ამის შესახებაც იფიქროს... ქართველი ხალხი მზად უნდა იყოს ამისათვის, რომ ეს წყობა მიიღოს. შესაბამისად, ბაგრატიონთაგან უნდა იყოს გამორჩეული სამეფო კანდიდატი. შეიძლება იგი საგანგებოდაც აღვზარდოთ. ასე იყო უწინ, ბავშვობიდან იზრდებოდა და ტახტისთვის საგანგებოდ მზადდებოდა ის ადამიანი, რომელიც შემდეგ მეფედ უნდა კურთხეულიყო. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღეს ისეთი პირობები შეიქმნა, როცა ქართველი ხალხის ეს ოცნება შეიძლება განხორციელდეს...“

დიდი იყო ჩვენი სიხარული ამ ქადაგების მოსმენის შემდეგ, რამეთუ 1990 წლიდან, 23 ნოემბრიდან ვემსახურებით ამ იდეას, რომელსაც ხორცშესხმა სჭირდება, ერი და ბერი, ღვთივკურთხეული მეფის მოლოდინში ვართ.

# პატრიარქი

**მადლობას ვწირავ უფალს, რომ 21-ე საუკუნეში საქართველოს ეკლესიას და მრევლს, რთულ გზაზე ტაძრისკენ, ღვთისკენ უძღვება საქრისტიანო დიდი მნათობი, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე**

უწმინდესის და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ღვაწლი ეკლესიის და ქართველობის გაერთიანებაში, რწმენის განმტკიცებაში, მორწმუნეთა სულიერ ამაღლებაში შეუფასებელია! ამას აღნიშნავენ პირველ რიგში, საქრისტიანოს უდიდესი საეკლესიო მოღვაწენი და მსოფლიო პატრიარქი, ყოველადუწმინდესის ბართლომეოს პირველის, რომელიც ჩამობრძანდა საქართველოში მრავალ იერარქთან ერთად, მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელი ეკლესიიდან, რათა ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელის უდიდესი, მოწამეობრივი ღვაწლი აღენიშნა 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლობაზე, მცხეთაში, მცხეთის ჯვრის აღშენების 1400 წ. და აღსაყდრების 30 წ. დაკავშირებით.

გაბრწყინებული, დამშვენებული იყო ჭაღარა მცხეთა 14 ოქტომბერს. ზღვა ხალხი მიაწყდა დიდოსტატის სრულქმნილ ტაძარს, ჩვენი ისტორიის და რწმენის უდრეკ მცველს, ჩვენს მეფეთა და ბაგრატიონ-მუხრანელების სავანეს. საოცარი განწყობა – ამაღლებული, დახვეწილი, მადლიანი, სუფევდა ტაძარში, საქრისტიანოს ორი უდიდესი პატრიარქის წირვის დროს მსოფლიოს რჩეულ მღვდელმთავრებთან ერთად. მსოფლიო პატრიარქმა, ყოვლადუწმინდესმა ბართლომეოს პირველმა უდიდესი შეფასება მისცა ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის მოღვაწეობას ამ 30 წლის მანძილზე.

ცოტა ხანში საქართველოში კვლავ დაიძაბა, დაიმუხტა მდგომარეობა. 2007 წლის 2 ნოემბერი. რუსთაველის გამზირი კვლავ იქცა ხალხის ნების გამოვლინების უზენაეს ტრიბუნად. მეც ვიყავი იქ, სადაც ათიათასობით ქართველი შეგროვდა, რათა ხმამაღლა ეთქვათ გაუსაძლისი პირობების, ქართველთა შევიწროების, ანტიეროვნული ფასეულობების დამკვიდრების, რწმენის, განათლების, კულტურის გათელვის შესახებ. მე არ შემეძლო არ მეთქვა ჩვენი პოზიციის შესახებ, რომელიც ყოველთვის იყო ერის ტკივილით, იმედით, მომავლის რწმენით შეჯერებული. მრავალათასიან მიტინგს შევახსენე ამ გამზირის, ამ ადგილის ტრაგიკული და ამაღლებული ისტორია. აქ ააფეთქეს უზარმაზარი სობორი და საკურთხეველში ტუალეტები განაწესეს. აქ იცლებოდნენ სისხლიდან იუნკერები, აქ ჟლეტდნენ ქართველებს 1956 წლის 9 მარტს, 1989 წლის 9 აპრილს, 1991-92 წ.წ. დეკემბერ-იანვარში. ქართველთა სისხლით მორწყულია ეს წმიდა ადგილი. მოკრძალებით მივმართე ჩემს ხალხს, პატრიარქის შეგონებით და რწმენის გზით გვევლო! 7 ნოემბრის უსასტიკესმა დარბევამ მოშიმშილეების, ქართველების მიერ, ასაკის და სქესის მიუხედავად, გენერალ როდიონოვის სპეცდანიშნულების რაზმები და პარტნომენკლატურის ცინიკური ორპირობა გამახსენა. მაშინაც „ცივილურად" იცავდნენ წესრიგს, ტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობაზე და სისუფთავეზე ზრუნავდნენ და „ტერორისტებს" „ცივილურად" ებრძოდნენ და ახლაც, 2007 წლის 7 ნოემბერს, წითელმა ტერორმა კვლავ იზეიმა გამზირზე, რომელიც 200 წლის მანძილზე რუსეთის მეფის ნაცვლის გვარებს ატარებდა.

უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, რომლის დიდი მეცადინეობით იმართებოდა საპატრიარქოში შეხვედრები, ორივე მხარის მონაწილეობით ყველაფერი გააკეთა მშვიდობისათვის. დავწერე „მხარე" და გული შემიტოკდა, განა შეიძლება საქართველოში ქართველი – „მხარედ" იყოს გამოცხადებული. განა არსებობს „მხარე" პატრიარქისთვის. არც მომავალი, ღვთივკურთხეული მეფე იფიქრებს „მხარეებზე" და გულში ჩაიკრავს ამ ქვეყნის ყველა შვილს...

2007 წლის 7 ნოემბრის ძალმომრეობის შემდეგ საქართველო შეცვლილია. ასე თვისობრივად შეიცვალა საქართველო 9 აპრილის ტრაგიკული ღამის შემდეგ და ერთ მუშტად შეკრული თავისუფლება მოითხოვა. 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების დასასრულს, ქვეყანა ვერ აიტანს სიცრუეს, პრესის და ტელევიზიის ჩახშობას, უსამართლობას... ამ მოვლენების შემდეგ, 2007 წლის 11 ნოემბერს პატრიარქმა ბრძანა: „... ეკლესიამ ყველაფერი გააკეთა, რომ ადამიანებში არსებული დაპირისპირება ბრძოლაში არ გადაზრდილიყო და მადლობა ღმერთს, რომ საქართველო გადარჩა, საქართველომ გაიმარჯვა!"

2007 წლის ნოემბერი ჩემთვის მრავალი ასპექტით იყო ნიშანდობლივი. მრავალს – პოლიტიკოსს თუ შემოქმედს, მეცნიერს თუ მევენახეს, ლტოლვილს თუ ჯარისკაცს, ჟურნალისტს თუ დიასახლისს, შიშის სინდრომის დაძლევისას, ღირსების შეგრძნება დაუბრუნდა, მრავალს – ნიღაბი აეხადა, მრავალმა შეცვალა უაპელაციო ტონი, კატეგორიული აზროვნება, ცინიკური ქილიკი... ყველაფერი ეს მოხდა პატრიარქის ჩარევის შემდეგ, რაც აღნიშნული იყო აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბატონ ჯონ ტეფტის მიერ. ბატონმა მეთიუ ბრაიზამ 13 ნოემბერს უწმინდესის და უნეტარესის განსაკუთრებული ნიჭი და თვალთახედვა აღნიშნა ამ დაძაბულ დღეებში: „თქვენი ანალიზი და დაკვირვება საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ – საუკეთესოა, ეს არის იმის მაქსიმუმი, რაც შეეძლო გაეკეთებინა ანალიტიკოსს თუ პოლიტიკოსს... თქვენი სიტყვები, რომ სიტუაცია მშვიდობიანად ვითარდება და მიდის არჩევნებისკენ, ეს იყო ყველაზე მეტად იმედის მომცემი, რაც მე საქართველოში ბოლო დროის მანძილზე მოვისმინე"...

ვნებათაღელვის, ქიმიური, ძალისმიერი, ტრაგიკული შეტაკებების და დარბევის, „იმედის" აგრესიული ჩახშობის და პრესის თავისუფლების გათელვის შემდეგ, უწმინდესის და უნეტარესის სამუშაო გრაფიკი ძალზედ გადატვირთული იყო. მაგრამ, ამის მიუხედავად, მან შეისმინა ჩვენი თხოვნა და 2007 წლის 21 ნოემბერს, მთავარანგელოზობის დღესასწაულზე ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძართან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში მობრძანდა საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა – საკრებულოს მეორე ეროვნულ კონფერენციაზე.

„... დღეს არის ისტორიული დღე, – ბრძანა საქართველოს სულიერმა მოძღვარმა. აღვნიშნავთ რა ამ დღეს, მინდა კიდევ ერთხელ გავაანალიზოთ და ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ რა წვლილი მიუძღვის თავადაზნაურობას ჩვენი ერისა და ეკლესიის წინაშე. უნდა ითქვას, რომ ყოველი მნიშვნელოვანი ფაქტი, თითქმის ყოველი წმინდა ხატი, ჯვარი და სიწმინდე შექმნილია ან ეკლესიის, ან თავადაზნაურობის მეთაურობითა და ღვაწლით. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ეროვნული, სულიერი თუ კულტურული ფასეულობანი შექმნა და გადაარჩინა თავადაზნაურობამ. თავადაზნაურობა მუდამ გვერდში ედგა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. ეს იყო უდიდესი ძალა".

ჩვენი ერის სულიერი მამა ბუნებამ მრავალი ნიჭით დააჯილდოვა. უდიდესი ღვთისმეტყველი, ხატმწერი, ქართული მრავალხმიანობის მოტრფიალე და შემფასებელი, საეკლესიო გალობის ღრმა მცოდნე, ტაძრების, მონასტრების, სულიერი კერების აღმაშენებელი ის დღენიადაგ ზრუნავს ადამიანთა სულის აღშენებაზე, ჰარმონიის დამკვიდრებაზე საზოგადოებაში და ქვეყანაში.

შესანიშნავი ხატმწერი, უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არა მარტო ოსტატურად ფლობს ქართული ფრესკული ფერწერის საიდუმლოებანს და საუკუნოვან ტრადიციებს, არამედ თამამად შემოაქვს შემოქმედებაში ძალზედ ძლიერი პოეტური ნაკადი. მისი ფერწერა აზროვნებაა ფერით, ლოცვა და საიდუმლო გულის, სიმღერაა გამოვლენილი ფუნჯით თუ ფანქრით, უბრალო და გულშიჩამწვდომი ქადაგების მსგავსად, პატრიარქის ხატები ყურადღებას იპყრობენ უმაღლესი ტექნიკით, რომელიც იკარგება, დნება, კვდება ნამუშევრის სიღრმეში, რათა მზერა შევაჩეროთ მთავარზე – სულიერებაზე. ასეთია მისი ღვთისმშობელი, ჩვენი დედა და კაცობრიობის ყველა ბავშვის დამცველი, რომელიც ლოცულობს და ზრუნავს წილხვედრ ქვეყანაზე, ასეთით დავით წინასწარმეტყველი – მეფე-პოეტი და მეფე-ბაგრატიონები; ასეთია თამარ-მეფე, რომლის თლილ სახეს, ნუშისფერ, სევდიან თვალებს, ოქროსფერ გვირგვინს ვერ აშორებ მზერას და კვლავ ფიქრობ მეფის მძიმე ჯვარზე, მის ნებისყოფაზე და უდიდეს სიყვარულზე ღვთისადმი, ქვეყნისადმი, რომელსაც 28 წელიწადი უძღვებოდა...

პატრიარქის ხატებს რომ ვიხსენებ, უნებლიეთ ისმის მისი გალობა ჩემს გულში: „წმინდაო ღმერთო!"

მე ვერასოდეს ვერ დავივიწყებ იმ საოცარ სითბოს, რომელსაც ვგრძნობ მასთან შეხვედრის დროს. ამ სითბოს, სიყვარულს, ზრუნვას პატრიარქი მოჰფენს ყველგან, სადაც მიდის, ურიგებს მოყვასს თუ გადამთიელს, გესლით მოწხამულს, მოხუცს თუ ახალგაზრდას... გასცემს ამ სიყვარულს და კვლავ ივსება ამ საოცარი გრძნობით და ნიჭებით.

ზოგი ჩვენ პატრიარქს ადარებს არწივს, ნათელ სვეტს, წყაროს, მართლმადიდებლობის მნათობს...

ჩემი მოკრძალებული თვალთახედვით მინდა შევადარო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე – ილია ჭავჭავაძეს, ილია მართალს, რომლის ამაგი ქართველი ერისათვის უდიდესია და ფასდაუდებელია.

მადლობას ვწირავ უფალს, რომ 21-ე საუკუნეში საქართველოს ეკლესიას და მრევლს, რთულ გზაზე ტაძრისკენ, ღვთისკენ უძღვება საქრისტიანოს დიდი მნათობი, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და შევთხოვ მის ჯანმრთელობას და სიმშვიდეს, მრავალსა წელსა.

**ია ბაგრატიონ-მუხრანელი.**

2007 წ. ნოემბერი



**ფიქრები**

# წითელი ვარდები და თეთრი ვირები

(მესამე გვერდიდან)

2000-2002 წლების არასწორად შეფასებამ მიგვიყვანა 2003 წლის ნოემბრის სახელისუფლებო გადატრიალებამდე. გავიდა ოთხი წელი და ქართული პოლიტიკური სპექტრი ისევ სრულიად მოუმზადებელი „განაციონალებული" „რეფორმატორების" ბუნების გაუთვალისწინებლად იწყებენ აქციებს და დარტყმის ქვეშ აყენებენ ხალხს. „ნაცებმაც" არ დააყოვნეს და ისევე როგორც 2003 წლის ნოემბერში – ღიად წავიდნენ სამოქალაქო დაპირისპირებაზე. ქვეყანა ღვთის წყალობით და მოქალაქეთა თავშეკავებულობის გამო გადაურჩა სისხლისღვრას. „ნაცებმა" კი გაიმარჯვეს და ისევ აქტიურ პიარკამპანიაში გადაეშვნენ.

## წავედი... და მოვალ!

**დაგვიბარა მიშამ და არსადაც არ წასულა. ცხადია, მიხეილ სააკაშვილის გადადგომა ტაქტიკური ნაბიჯი იყო და სხვა არაფერი. მანამდე ერთი დღით ადრე კი გამოცვალა პრემიერი და უშიშროების საბჭოს მდივანი. „ზურგში" ლომაიაზე (ე. უ. ს. მდივანიძ კარგ მოკავშირეს კაცი ვერ ინატრებდა.** კ. ლომაიას უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშვნა მისი ფაქტობრივი მდგომარეობის ოფიციალური გაფორმებაა. ამ ნაბიჯით სააკაშვილმა მის ხელში მოაქცია არა მხოლოდ ძალოვანი სტრუქტურები, არამედ პროკურატურა, სასამართლო და თავად ბურჯანაძეც კი. კ. ლომაია სერიოზული, მტკიცე ნების პოლიტიკური ფიგურაა, რომელსაც ძალუძს ცივად, თვალის დაუხამხამებლად მიიღოს ნებისმიერი საჩოთირო გადაწყვეტილება. საინტერესო იყო ლომაიას „პირველი" სამუშაო დღე, რომელიც პრესამ გაახმოვანა. წინასაარჩევნო პერიოდში უშიშროების საბჭოს მდივანმა მოხაზა საფრთხეების წრე: „დივერსია, საბოტაჟი და... პოლიტიკოსის მკვლელობა!"

ვიცნობთ რა სააკაშვილის ხელისუფლების ბუნებას, ყველაფერია მოსალოდნელი. „საფრთხეების" ხასიათს ამ შემთხვევაში განსაზღვრავს არჩევნების მსვლელობა და პრეზიდენტობის კანდიდატთა რეიტინგი. მოკლედ, ყველაფერია მოსალოდნელი, გარდა ერთისა – სააკაშვილის დამარცხებას სახელმწიფო აპარატი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს და, რა თქმა უნდა, ამერიკაც ვერაფერს გახდება. საზოგადოების იმედი, რომ დასავლეთი აიძულებს სააკაშვილს არჩევნების ობიექტურად ჩატარებას, უსაფუძვლოა. იგი არც დე გოლია და არც შევარდნაძე. მან და მისი გუნდის თითოეულმა წევრმა იცის, რომ ისინი არარაობიდან მოვიდნენ ხელისუფლებაში. მოვიდნენ ერთად და თუ „იღბალი" უმუხთლებს მიშას, ყველანი არარაობაში ჩაიხვეტებიან (გარდა ორი-სამი კაცისა, რომელიც შეიძლება შემორჩეს პოლიტიკას და საზოგადოებასძ. შესაბამისად, ლომაია, მერაბიშვილი, ადეიშვილი, კირკიტაძე, ბოკერია, თარგამაძე, რამიშვილი და ა. შ. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ ხელისუფლების შესანარჩუნებლად (იგულისხმება, ჩვენი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე!) თარგამაძეც აუცილებლად შეასრულებს პირობას და „სულს ამოგვხდის!" ასეთი შავი პერსპექტივის ვარაუდის საბაბს მაძლევს ისიც, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" არ არის ტრადიციული, იდეოლოგიზებული, ხანგრძლივ პერსპექტივაზე ორიენტირებული პოლიტიკური ორგანიზაცია. მისი ბირთვი – ეს არის ადამიანთა ერთობა, რომელთა მიზნები მთავრდება ზუსტად იქ, სადაც მთავრდება ხელისუფლება და მისი სიამენი.



**„ნაცების" ხელისუფლებაში მოსვლა ყველაფერთან ერთად ჩვენი ქვეყნის დაბალი პოლიტიკური კულტურის, ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობის წინდაუხედაობისა და კონფორმიზმის შედეგია, რისთვისაც ყველანი ერთად ვზღავთ.**

**ღმერთმა ქნას, ამჯერად მაინც ვცდებოდე.**

**თეიმურაზ კვირკველია**

№ 252. სამშაბათი, 25 დეკემბერი, 2007 წელი.

● დღეს საქართველოში არ არის რევოლუციების და არეულობების დრო. ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გამოწვევების წინაშე ვდგავართ



№ 252. სამშაბათი, 25 დეკემბერი, 2007 წელი.

◉ პოზიცია

*დღითი დღე ვუახლოვდებით 5 იანვრის არჩევნებს. შესაბამისად, წინასაარჩევნო ბატალიები უფრო საინტერესო ფაზაში შედის. ვისმენთ ბევრ ურთიერთბრალდებას, ერთმანეთის გამომრიცხავ ინფორმაციას, უამრავ დაპირებას. ამ ყველაფერს ერთი სახელი აერთიანებს – არჩევნები და ერთი მიზანი განსაზღვრავს – გამარჯვება. რა იქნება ხვალ? – ვნახოთ! მაგრამ რა იყო აქამდე? საინტერესოა, ვინ როგორ აფასებს მიმდინარე პროცესებს. ამჯერად ვესტუმრეთ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს. თავისი შეხედულებები და მოსაზრებები იურისტმა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლალი ფაფიაშვილმა გაგვიზიარა:*

# ლალი ფაფიაშვილი:
# ასეთი საინტერესო საპრეზიდენტო არჩევნები აქამდე არ ყოფილა

– საკმაოდ საინტერესო პერიოდია. ბოლო ათი წლის განმავლობაში ასეთი საპრეზიდენტო არჩევნები ჩვენ არ გვქონია. წინა საპრეზიდენტო არჩევნებზე 2 ნოემბრის მოვლენების შემდეგ მეტ-ნაკლებად გარკვეული იყო პრეზიდენტის ვინაობა და წინასაარჩევნო კამპანიაც ესოდენ დაძაბულ ხასიათს არ ატარებდა. ახლა, 5 იანვარს საქართველოს მოსახლეობა, მართლაც, საკმაოდ სერიოზული არჩევანის წინაშე დადგება. ამ არჩევნების შედეგზე იქნება დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. დღეს საქართველოს მოსახლეობას ძალიან მნიშვნელოვანი არჩევანი აქვს გასაკეთებელი: ჩვენ გვინდა ქვეყნის დაბრუნება უკან, არეულობასა და არასტაბილურობაში, თუ გაერთიანებული, გაძლიერებული და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეული ადგილის მქონე ქვეყანა? რა გზით გააგრძელებს ქვეყანა ცხოვრებას?

დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წინასაარჩევნო პერიოდი ქვეყანაში წარიმართოს ნორმალურად, დემოკრატიულად და აბსოლუტურად გამჭვირვალედ. სტაბილურ ვითარებაში კანონიერების ფარგლებში. დღეს უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება როგორც ხელისუფლებას ასევე ყველა პოლიტიკურ ძალას. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა პოლიტიკურმა ძალამ თავი შეიკავოს ძალადობის პროვოცირებისაგან. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე მედიის როლიც და საარჩევნო კამპანიის თანაბრად და სამართლიანად გაშუქება პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

პრობლემა ის არის, თუ რამდენად რეალურია დაპირებები, რომელსაც კანდიდატები იძლევიან და რამდენად შეძლებენ, არჩევის შემთხვევაში, შეასრულონ ამომრჩევლებისათვის მიცემული დაპირებები.

**– რამდენად საფუძვლიანია სააკაშვილის დაპირებები?**

– თქვენ ჩემზე კარგად იცით, რა მდგომარეობა იყო ოთხი-ხუთი წლის წინათ საქართველოში და ხედავთ, დღევანდელ ვითარებას. ჩვენ ოთხი წელიწადი მოვანდომეთ იმას, რომ სახელმწიფო ფეხზე დამდგარიყო. ჩამოყალიბებულიყო და გაძლიერებულიყო ძირითადი ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა. დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის აუცილებელი ინსტიტუტების გაძლიერების, ინფრასტუქტურის და საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის გარეშე შეუძლებელია საუბარი დასაქმებასა თუ მთლიანად სოციალურ პრობლემატიკაზე. დღეს ჩვენ უკვე მზად ვართ საამისოდ და მომდევნო ოთხი წელიწადი მიმართული იქნება დასაქმებაზე და სოციალური ყოფის გაუმჯობესებაზე, წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე.

**– მოდით, თვითკრიტიკულებიც იყავით. კიდევ რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო და რა ვერ გაკეთდა?**

– იმის პარალელურად, რომ საკმაოდ ბევრი გაკეთდა, ხშირად ის, რაც კეთდებოდა, მოსახლეობამდე ვერ აღწევდა სწორი ფორმით ცალკეული ფუნქციონერების ბრალით, ხშირად არ ხდებოდა რეფორმების არსის განმარტება მოსახლეობისათვის და სხვა. რა თქმა უნდა იყო შეცდომები. მაგრამ არჩევანის გაკეთებისას ჩვენ ალბათ უნდა ვიფიქროთ იმაზე თუ რა იყო უფრო მეტი – წარმატება თუ წარუმატებლობა, შეცდომა თუ სწორი ნაბიჯი.

**– საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა სოციალური დაცვის გარანტიებს ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო პროგრამაშიც. ასრულდება თუ არა მისი დაპირებები და აქვს თუ არა სამართლებრივი საფუძველი?**

– დიახ, ის პირდება კონკრეტულ შეღავათებს . თუ ეს იქნება გაწერილი სახელმწიფოს პროგრამით და სამართლებრივ ჩარჩოებში იქნება მოქცეული, პრობლემას ამ მხრივ ვერ ვხედავ. გასაკვირი უფრო ისაა, როგორ აპირებს ასეთი სერიოზული დაპირებების რეალიზებას. თუკი მას ჰქონდა ამისათვის საჭირო ფინანსური საშუალება და სურვილი, შეეძლო ჩვენს შეჭირვებულ თანამოქალაქეებს დახმარებოდა არჩევნებამდეც ყოველგვარი აჟიტირების გარეშე.

**– ადამიანის უფლებების დამცველს, უნდა გკითხოთ 7 ნოემბრის აქციის დარბევის შესახებ. ევროპის ადამიანის უფლებათა დამცველი თითქმის ყველა ორგანიზაცია უარყოფითად აფასებს ამ ფაქტს. თქვენ როგორ აფასებთ?**

– ჩემთვის ძნელია ამაზე საუბარი, იმიტომ, რომ საქართველოში ჩამოვედი 7 ნოემბრის ღამეს, მას შემდეგ, რაც ეს ამბები მოხდა. ვიმყოფებოდი მივლინებაში და ინფორმაციის მოწოდებისთანავე მივლინება შევწყვიტე.

**– რა განცდა დაგეუფლათ?**

– ბუნებრივია, ძალიან უსიამოვნო ფაქტია. ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო და ალბათ, კეთდებოდა კიდეც, რომ მაქსიმალურად აგვერიდებინა ეს გარემოებები. ეს არ იყო მარტივად გადასაწყვეტი. განხორციელებულ ფაქტებს გამოძიების ორგანოები იკვლევენ და შესაძლებლობა გვექნება, უახლოეს მომავალში გამოძიების შედეგებს გავეცნოთ,.

მაგრამ ასევე მთავარია, ერთხელ და სამუდამოდ იყოს ხაზგასმული ისიც, რომ ასეთი ფორმით ხელისუფლების შეცვლის გზა იყოს დაგმობილი და უარყოფილი. დღეს საქართველოში არ არის რევოლუციების და არეულობების დრო. ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გამოწვევების წინაშე ვდგავართ და არა გვაქვს უფლება კიდევ ერთხელ დავაბრუნოთ ქვეყანა უკან 90-იან წლებში არსებულ ვითარებაში. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ მხარს ვუჭერთ ხელისუფლების ევოლუციური და არა რევოლუციური გზით შეცვლის. დროა ჩამოყალიბდეს და ყველა პოლიტიკურმა სუბიექტმა მიიღოს პოლიტიკური ბრძოლის ის წესები, რომლებიც აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლით.

**– რა ზეგავლენა მოახდინა ამ ფაქტმა საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე?**

– ეს ფაქტი თავისთავად უარყოფითი ფონის მატარებელია და ნამდვილად არაა მოსაწონი. მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ამან ძალიან სერიოზული ზიანი მოგვაყენა.დემონსტრაციების დაშლის მაგალითები საკმაოდ ბევრია თუნდაც ე. წ. ძველი დემოკრატიის ქვეყნებშიც. ვფიქრობ პრობლემა აქ იმაში კი არ არის, აქვს თუ არა ხელისუფლებას უფლება დაშალოს დემონსტრაციები, არამედ გამოყენებული ძალის თანაზომიერება. პრინციპში, რაც მერე გაკეთდა – საპრეზიდენტო არჩევნების გადმოწევამ და პლებისციტის დანიშვნამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამ ქვეყანაში არავის თვითმიზანს არ წარმოადგენს კონკრეტული თანამდებობა და სკამი. თუმცა დამერწმუნეთ იმაშიც, რომ 2 ნოემბერს ქუჩაში გამოსული ხალხის უმრავლესობისთვის ნამდვილად არ ჰქონდა მნიშვნელობა, არჩევნები გაზაფხულზე ჩატარდებოდა თუ შემოდგომაზე. ისინი გამოიყვანა იმ გაჭირვებამ და იმ პირობებმა, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ. იქ არ ყოფილა გაჟღერებული სოციალური თემატიკა – რომ ამ ხალხს უჭირს ან სჭირდება დასაქმება...

**– მაგრამ გახმიანდა მნიშვნელოვანი თემა – „არ მეშინია“, ანუ აქ პირდაპირი მინიშნება გაკეთდა იმაზე, რომ ირღვევა ადამიანის უფლებები...**

– ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები არის საქართველოშიც და ნებისმიერ სხვა ქვეყანაშიც. არ ვაპირებ თავის მოტყუებას ან ზედაპირული განცხადების გაკეთებას, მაგრამ გამიჭირდება, გავიხსენო რომელიმე სახელმწიფო, სადაც ადამიანის უფლებები არ ირღვევა. ადამიანის უფლებების დაცვის სპეციფიკა სწორედ იმაშია, რომ იგი მუდმივ ყურადღებას საჭიროებს. ვფიქრობ, აქ საკითხი დგას ოდნავ განსხვავებული სპექტრით: რა იყო და რა გაკეთდა ამ ოთხი წლის განმავლობაში, გაუმჯობესების ტენდენციები კი აშკარად შეინიშნება თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.

წინასაარჩევნო პერიოდში ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს არ ჩამოერთვას პოლიტიკურ ცხოვრებაში და ქვეყნის მომავლის განსაზღვრაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა. მოწვეულია უამრავი საერთაშორისო დამკვირვებელი და ეს იმიტომ, რომ სახელმწიფოს ინტერესებშია სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარება, რომელიც საქართველოს მოსახლეობასაც და მთელ საერთაშორისო თანამეგობრობასაც კიდევ ერთხელ დაანახვებს, რომ საქართველო ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოა, სადაც სწორედ მოსახლეობა განსაზღვრავს ქვეყნის შემდგომი განვითარების პოლიტიკურ კურსს და მომავალს. კურსი კი ურყევია ევროატლანტიკური და დემოკრატიული ფასეულობებისაკენ. ეს არის საქართველოს გამოცდა დემოკრატიული განვითარების შეუქცევადობაზე.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

◉ ცდუნებას ცდილობენ

# ვის აძლევთ ხმას?

**ახლა რასაც დავწერ, ვიცი ბევრს ემცხეთება.**

საღამოა, მთელი ოჯახი შინ ვართ. კარზე კაკუნი ისმის. ვაღებ, ჩემ წინ ორნი დგანან, სასიამოვნო გარეგნობის შუახნის ქალბატონები და სიყვარულით მიღიმიან. ფუი ეშმაკს, იელოველები მგონია (მაგრამ, თურმე არა!).

ერთ-ერთი:

– საღამო მშვიდობისა, საყვარელო,

არცკი მაცდის ვუპასუხო, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს-მეთქი, რომ ისევ განაგრძნობს:

– ალბათ გინდათ, რომ ბედნიერ, გაბრწყინებულ დემოკრატიულ საქართველოში იცხოვროთ. და, თუ ასეა (არც ამჯერად მაცდის, რომ ორად ორი ბგერა ამოვთქვა – კი (ამას აბა რომელი სულელი არ ისურვებს!). ჰოდა, რაკი ასეა (დიდი მადლობა, ჩათვალა რომ ნორმალური ვარ!), ჩემო ძვირფასო, ხმას ალბათ იმას მისცემთ და მრავალთაგან პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს მისახელებს (რომელსაც, კაცმა არ იცის რა უტრიალებს თავში!).

ჯერ არ გადამიწყვეტია. ვის მივცემს ხმას-მეთქი, ვუპასუხე.

– ოჯახის წევრები შინ არიან (იელოველივით უკან არ იხევს!)?

– მარტო ვცხოვრობ (ვატყუებ!).

– ქმარ-შვილს რას მიმალავ (შეუტყვია რომ მყავს! ჯარში კი არ მიგვყავს. მაშ, არ გინდა კარგი ცხოვრება? გაისმა ამჯერად დუეტში და დაუმშვიდობებლად შეტრიალდნენ. ერთმა კბილებში გამოსცრა – კიდევ დიდხანს გეცმევა გახუნებული ქოშებიო. საოცარია, სულ თვალი ჰქონდათ თვალში გაყრილი და როდისღა შეხედეს ჩემს არცთუ ურიგო ქოშებს.

იმ საღამოს, ანალოგიური მიზეზით, კიდევ ერთი წყვილი გავისტუმრე და თავატკიებული ახლა ტელევიზორს მივუჯექი.

უცნობების „სტუმრობა“ გაცილებით სანატრელი ყოფილა იმასთან შედარებით, რაც თურმე მეორე დღეს მელოდა – შაბათის დილა იყო, შინ ვსაქმიანობდი, როცა ტელეფონმა დარეკა. ქალბატონი მეკითხება:

– გამარჯობა, ჩემო კარგო, როგორ ხარ? მარიანა ვარ, მეათე სართულიდან, (მე პირველზე ვცხოვრობ!).

– არც ეს მაცდის პასუხს, და განაგრძობს, ლიფტი არ მუშაობს და ტელეფონით ამიტომ გაწუხებ. ანა, გენაცვალე, ვის აძლევთ ხმას (ჩემი მეუღლე და შვილებიც იგულისხმა!)?

– ჩემზე გეტყვი, ჯერ არ გადამიწყვეტია, ჩემები კი, არ ვიცი რას აპირებენ.

– რატომ, ახალი აურზაური და განუკითხაობა გინდა? შენისთანა ჭკვიანი ქალისგან მაგას არ ველოდი (მეფერება!). ვხედავ, შეპასუხებას აზრი არ აქვს, ამიტომ ვუთხარი, შენ რომელი გინდა რომ შემოვხაზო? მაშინვე მომაძახა, რა თქმა უნდა, ხუთიანიო. და ვითომ სხვათა შორის დაამატა, შენ და შენმა მეუღლემ დახმარება ხომ მიიღეთო, გაზისა და ელექტროენერგიის ვაუჩერებს გულისხმობდა. 49-წლიანი სამუშაო სტაჟის მქონე ადამიანებისთვის ეს დასაყვედრებელი ნამდვილად არ არის-მეთქი. მერე, პირდაპირ მთხოვა, შენი ჭირიმე, ოთხივეს ჩაგწერთ და კაბინაში რომ შეხვალთ, იქ ვინც გინდათ, ის შემოხაზეთო... შემეცოდა და დავთანხმდი.

არჩევნებამდე ჯერ ორ კვირაზე მეტია, ჩვენს კორპუსში ერთი სოფლისოდენა ხალხი ცხოვრობს – 75 ოჯახი. მეზობლების ხათრით, ვინ იცის კიდევ რამდენჯერ მომიწევს სულის წაწყმედა – ტყუილის თქმა ამ გაგანია მარხვაში.

კანდიდატებო! ტყუილად იხარჯებით, მეზობლების ხათრით (ზოგიც ვინ იცის რის ხათრით!) გაიმეტებს გვარ-სახელსა და პირადობის მოწმობის ნომერს, ზოგ შემთხვევაში, მაგრამ არჩევნების დღეს, კაბინაში...

**დღეს კი, ყველაზე აქტიურად პრეზიდენტობის ხუთნომრიანი კანდიდატი ქალაქ-ქალაქ, სოფელ,-სოფელ, უბან-უბან და ქუჩა-ქუჩა ხვეწნა-მუდარით დადის და ახალ-ახალი დაპირებებით ხალხის ცდუნებას ცდილობს.**

**ბელა ლომთაძე**

# ვითარება

**ხელისუფლებამ ქვეყნისა და ხალხის პატრონობა — ეს ურთულესი მისია თავისი ნებით და ხალხის დასტურით იკისრა. ფიცი დადო უმაღლესის წინაშე! და ერთ „მშვენიერ დღეს“ ეს ფიცი გატეხა**



## ინფორმაცია

### თურმე ორი დღით ადრე გაუთავისუფლებიათ

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მდგარი შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი, საქართველოში პერსონა ნონ-გრატად გამოცხადებული გენერალი სერგეი ჩაბანი აცხადებს, რომ ქალაქ ფოთში დაკავებული რუსეთის მოქალაქეები სამშვიდობო კონტინგენტის წარმომადგენლები არ არიან. ჩაბანის განმარტებით, ეს სამი მოქალაქე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობიდან 21 დეკემბერს გარიცხეს.

„ეს მოქალაქეები საკონტრაქტო პირობებით მათთვის დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო 21 დეკემბერს გათავისუფლდნენ და 22 დეკემბერს ყველა პირობის გათვალისწინებით უკვე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყვნენ.

დგინდება ის გარემოებები და მიზეზები, თუ რატომ იმყოფებოდნენ ისინი ამ დროს საქართველო ტერიტორიაზე და რა უნდოდათ მათ ფოთში“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს სამხედრო პოლიციამ 23 დეკემბერს ფოთში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მდგარი კოლექტიური სამშვიდობო ძალების სამი წარმომადგენელი დააკავა. ოფიცრებს — ვოლკოვეცს, დუშკალიევსა და კრივოსტენკოს — დაკავებისას ვინაობის დამადასტურებელი არავითარი დოკუმენტი არ აღმოაჩნდათ. ისინი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და სამოქალაქო ტანისამოსი ეცვათ.

ჯი-ეიჩ-ენი

### წარმატებულ ადამიანებს კოდორში აჯილდოებენ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ წლის წარმატებული ადამიანები დააჯილდოვა. შოთა გოგოხიას, დოდო გომართელს, ციცინო ლაცუზბაიას, სოსო სურმავას, ირაკლი სორდიას, როინ აფშილავას, ვლადიმერ აბსანძეს, ტარიელ ბარამიას, თამარ გელაშვილს, მარიკა გულორდავას და ზაზა კორინთელს (ზუმბაძ მთავრობის თავმჯდომარემ კახა აკიშბაიამ სპეციალური სიგელები და 100-ლარიანი ფულადი პრემიები განმუხურის პატრიოტთა ბანაკში, კონცერტზე გადასცა.

კონცერტს დაახლოებით 4000-მდე ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის აფხაზეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებლები. შეკრებილებს სიტყვით მიმართეს კახა აკიშბაიამ, პარლამენტარმა ნაზი არონიამ, განათლების მინისტრმა მაია მიმინოშვილმა და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა.

ინტერპრესნიუსი

## არჩევნები, არჩევნები...

# მორალი ურყევი პოსტულატია

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეებია. ამ პერიოდს ვერ შევადარებ გასული წლების ვერც ერთი არჩევნებისთვის სამზადისს. იგრძნობა ძალიან დიდი დაძაბულობა. თითოეული ჩვენგანი, თუმცა თავისებურად, მაგრამ მაინც, მეტ-ნაკლებად ჩართულია ამ სამზადისში. შვიდმა პრეზიდენტობის კანდიდატმა შეინარჩუნა სტატუსი და ჩაება მარათონში იმ ოცდაორის ნაცვლად, რომლებიც თავიდანვე იქნენ დასახელებულნი. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც პრეზიდენტობის მოსურნე ოცდაორი კი არა, ბარე 2200-იც კი აღმოჩნდება, თუ მეტი არა.

სიტყვა „პრეზიდენტი“ ლათინური სიტყვაა — praesidens, რაც თავში ჯდომას ნიშნავს. ზოგიერთებს სწორედ რომ ეს თავში ჯდომა სურთ, რადგანაც ასეთ პოზიციაში (თუ პოზაშიძ თავს გაცილებით სრულყოფილად გრძნობენ, იმის მიუხედავად რას გრძნობს თავად ის ხალხი, რომლის სათავეში ჩადგომა ასე ახალისებს მავანს და მავანს. დიახ, როგორც ჩანს, ახალისებთ, თუმცა პრეზიდენტობა, ანუ ხალხის სათავეში დგომა და ხალხისთვის გზის გაკვლევა, ქვეყნისა და ხალხის მოვლა-პატრონობა დიდი ტვირთია, დიდი პასუხისმგებლობაა, დიდი მოვალეობა. არა მგონია, რომელიმე პრეზიდენტობის კანდიდატს ეს არ ესმოდეს და მაინც თავს იკლავენ, მაინც იქეთკენისწრაფვიან, ზემოთ მიილტვიან. ხალხი ხვდება რატომაც ხდება ასე... თუმცა, არჩევნების დროს ატეხილი ბუმი არ უკვირთ სხვა განვითარებულ და ცივილიზებულ სახელმწიფოებსაც. ამჟამად ჩვენს გასაჭირზე ვისაუბროთ. ეს ქვეყანა საქართველოა, სადაც „ზემოთ“, გაცილებით ადვილია ცხოვრება. „ზემოთ“ უზრუნველყოფაა, ძალაუფლებაა, ოღონდ იქ მიღწევაა ცოტა რთული, თორემ პირველ სკამზე დაჯდომის შემდეგ ყველაფერი „თავისით“ მოდის და თუ ამ სკამის მიღწევამდე გქონდა სურვილი ხალხზე ზრუნვისა, მერე ყველაფერი ქრება, რადგანაც შემდგომში განვითარებული „პოლიტიკის“ მიხედვით თავად ხალხი ხდება იძულებული იზრუნოს შენზე. აი, დაახლოებით ასეთ ცხოვრებას შეაჩვიეს ხალხი ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს „ჩვეულება“ არც მთლად ქართული ყოფილა...

პირდაპირ სათქმელზე მინდა გადავიდე: 2003 წლიდან მოსულ და ამ წუთებამდე მოქმედ მთავრობას თავისი ოთხწლიანი მოღვაწეობის პერიოდში ბევრი რამ შეეშალა, ბევრი შეცდომა დაუშვა. ეს ერთი პიროვნების აზრი როდია. ამის შესახებ ხშირად მსჯელობენ კომპეტენტური პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ეკონომისტები. მართალი რომ ვთქვა, არ ვიცი რამდენად დასაშვებია მთავრობისაგან შეცდომების დაშვება, თუმცა, შეცდომა რომ დაუშვა, ამას თავადაც აღიარებს. რასაკვირველია, გარდა კონსტიტუციისა და სხვა სამართლებრივი კანონმდებლობებისა, ალბათ არსებობს მთავრობის ეთიკის კოდექსი თუ ამდაგვარი რამ, რომელიც განსაზღვრავს რა ეპატიება მოქმედ ხელისუფლებას და რა არა. რა დოზით და რა სახის შეცდომაა დასაშვები და რა არა, მაგრამ ის, რაც ნოემბრის დასაწყისში მოხდა, სამწუხაროდ და სავალალოდ, ეს ხომ შეცდომა არ არის, ეს უკვე დანაშაულია! დანაშაულია და რაც უნდა ვიძახოთ რა მოხდა, მთავრობა ვალდებული იყო სახელმწიფო დაეცვაო, — კი ბატონო, მაგრამ, ვისგან დაეცვა სახელმწიფო, საკუთარი მოსახლეობისაგან, რომელიც არჩევნების დროულად ჩატარებას, თავისუფალ სიტყვას, ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვას მშვიდობიანი აქციით ითხოვდა მთავრობისაგან? ასეთ ვითარებაში მგონი, გასარკვევი ხდება რა და ვინ არის სახელმწიფო, რას გულისხმობენ ნეტავ სახელმწიფოში, განა უხალხო სახელმწიფო არსებულა სადმე? ხალხი კი ჩვენს ქვეყანას ნამდვილად ჰყოლია, საამაყო და სამაგალითო ხალხი.! 160 ათასი კაცი იყო გამოსული ორი ნოემბრის დემონსტრაციაზეო, ამბობენ. (მართლაც ზღვა ხალხი იყო!ძ თუნდაც 60 000 ყოფილიყო, ოთხმილიონიანი ქვეყნისთვის განა საკმარისი არ არის ასეთი რაოდენობის წარმომადგენლობა, იმისათვის, რომ მთავრობამ იკითხოს რას შეუწუხებია ჩემი ხალხიო? იდგნენ და ელოდნენ, მაგრამ არა რეზინის ტყვიებს, ხელკეტებს და ცრემლსადენ გაზებს, არამედ ხელისუფლებასთან დიალოგს და ჭკვიანურ გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. წარმოუდგენელია ე. წ. „ჯარი“ თუ საგანგებო რაზმი ასე გავეშებით, ასე გამძვინვარებით დაერიოს ხალხს და ერთი დღის განმავლობაში ოთხჯერ მოაწყოს სადამსჯელო ექსპედიცია: დილით — მთავრობის სახლის წინ, როდესაც მძინარე მოშიმშილეები დაარბიეს და ცივ აუზში „აცურავეს.“ მერე შუადღით — ქაშუეთის ეკლესიის წინ. მერე — რიყეზე. დაბოლოს ყველაფერი ეს „აკადემიურად“ დააგვირგვინეს ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრით, და ოთხივე შემთხვევაში ფიზიკური ძალის გამოყენებით, შეურაცხყოფით. განსაკუთრებული აგრესიით გამორჩეული ეს „შავრაზმელები“ წარმოუდგენელია ზემოდან საგანგებო განკარგულებებისა და ინსტრუქტაჟების გარეშე ასე გამეტებით დარეოდნენ ხალხს.

ვწერ ამ უკვე ყველასათვის ცნობილი რეალობის შესახებ და სულაც არა მაქვს სურვილი, რომ იგივე ჩემი ხალხის, იგივე ქართველების ამ სისასტიკეზე გავამახვილო ყურადღება, რომ ერთი ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი რამ არა. ეს მთავარი ჩვენი მომავალი ცხოვრების საზრიანად მოწყობაა, ჩვენი ქვეყნის ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაა. თუ საზოგადოებამ, იქნებიან ესენი უგუნური და გაუთვითცნობიერებელი დამსჯელები, უსამართლოდ დასჯილები თუ ამ პროცესების შორიდან თუ ახლოდან მაყურებლები, იქნებიან ესენი ზემდგომნი თუ ქვემდგომნი, ძალაუფლებიანნი თუ უუფლებონი, — ყველამ, ყველამ არ შეიგნო სამართლის უზენაესობა და მაინც ჯიუტად განაგრძო გაურკვეველი, არასამართლებრივი (იმავდროულად არა ქართული!ძ გზით სიარული, მაშინ ჩვენ თავი დავანებოთ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე ფიქრს. არადა, თითქოს შევეჭიდეთ ამ ურთულეს საქმეს, მსოფლიოსაც ვამცნეთ — აი, შემოგვხედეთ, რა ყოჩაღები ვართო. გვეგონა, საძირკველი გავთხარეთ და საძირკვლის ჩასხმაც დავიწყეთ. სწორედ იმ საძირკველში უნდა იყოს სუფთა, გამძლე, საუკეთესო ხარისხის მასალა, ჩვენს ხელისუფლებას კი არ აღმოაჩნდა არც ძალა და არც შესაფერისი მასალა მყარი საძირკვლის ასაშენებლად. თუმცა, ხომ შეიძლება ასეც ვიფიქროთ: რა მოხდა, ხომ აღიარა შეცდომა, ახლა გვპირდება მეტ პასუხისმგებლობას, მეტ კორექტულობას, კეთილდღეობას, ახალ სამუშაო ადგილებს, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, გვპირდება ყველაფერს, რაც ხალხს სურს. ვინ იცის, იქნებ მართლაც კარგად წარმართოს ქვეყნის საქმე! მაგრამ გვიან არის, რადგანაც საძირკველში მან უკვე ტყუილი მასალა შეურია. საკუთარი ხალხის ცემა-ტყეპა ვერაფერი საძირკველია მყარი, დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად.

ხელისუფლებამ ქვეყნისა და ხალხის პატრონობა — ეს ურთულესი მისია თავისი ნებით და ხალხის დასტურით იკისრა. ფიცი დადო უმაღლესის წინაშე! და ერთ „მშვენიერ დღეს“ ეს ფიცი გატეხა. ის მარტივი ფორმულა, რასაც ემორჩილებოდნენ ჩვენი წინაპარი ქართველი ხევისბერები — აქ რა მოსატანია (თურმე იმ სიმარტივეში რა დიდი გონიერება ყოფილა!ძ. დღეს 21-ე საუკუნეა, უფრო დიდი პასუხისმგებლობის, დიდი რისკებისა და პრობლემების წინაშე დგას ქართველი ხალხი. დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისას ხალხმა უნდა ისწავლოს სამართალი და სამართლის მიგება ნებისმიერი პირისა თუ ჯგუფისადმი. უსამართლობის მიფუჩეჩება შეუჩვევლის მოტივით, ან შიში ახალი ხელისუფალის არჩევისა: ვაი თუ წინაზე უარესი გამოდგეს და სულ დაგვაქციოს, სად არის გარანტიაო, იმ საძირკველში ჩასადებად არ გამოდგება, რომელზედაც დემოკრატიული სახელმწიფო უნდა აშენდეს. გარანტია ჩვენშია. გარანტია ერის შეგნებაშია: თუ ჩვენ არავის არ ვაპატიებთ ჩვენი ღირსების შელახვას, ხალხის წინაშე დადებული დაპირებების უგულებელყოფას, თუ ჩვენ ვიქნებით კანონმორჩილები, სამართლიანად შეუვალი და პრინციპულები, მაშინ ნებისმიერი მთავრობა აღიჭურვება სიფრთხილით და კორექტულობით, მიუხედავად იმისა, სუსტი იქნება ის თუ ძლიერი, შემოქმედი თუ ნაკლებად შემოქმედი. შემცდარი მთავრობა თავად უნდა წავიდეს, მარტო იმიტომ კი არა, რომ სავარაუდოა მან შეცდომა გაიმეოროს, არამედ იმიტომ, რომ მომავალმა მთავრობამ იცოდეს, შეცდომას რომ არავინ აპატიებს!

ნოემბრის იმ ახალ, ისტორიულ დღეებში მეც ვიდექი ხალხთან ერთად. ვხედავდი როგორ ეკიდა ხალხის თავზე (კავშირგაბმულობის შენობის კედელზეძ ერთი, რატომღაც ბოლო დროს მთავრობის მიერ ათვალისწინებული პიროვნების დამამცირებელი, ამ შემთხვევაში ხალხის გამაღიზიანებელი ვეებერთელა პლაკატი. იქ ვიყავი, როდესაც შენობის თავზე გასულმა რამდენიმე ახალგაზრდამ ეს სურათი კედლიდან ჩამოხსნა, უფრო სწორად, სახურავზე აათრია. ისიც დავინახე, რომ არ დააყოვნეს და იმავ წუთს, ახლა უკვე ადამიანების სხვა ჯგუფმა ის გაშარჟებული სურათი ისევ კედელზე გადმოკიდა (ასეთი ინფანტილური თამაში ნამდვილად არავის არ გვეკადრებაძ. სიტუაცია დაიძაბა, საქმეში პოლიციელები ჩაერივნენ...

მიტინგი გრძელდებოდა, ტრიბუნაზე ადიოდნენ და ხალხს მიმართავდნენ ორატორები, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები. საუბრის თემა ძირითადში იყო მთავრობის არასწორი დამოკიდებულება კონსტიტუციისა და კანონებისადმი, ხალხის მოტყუება, შეურაცხყოფა და სხვა. მოწოდებებში შორის ძალიან ხშირი იყო დაჟინებული თხოვნა პრეზიდენტისადმი და მთავრობისადმი, მოდით, დაგველაპარაკეთ, ათასობით ხალხი გთხოვთ დიალოგსო... და მართლაც, საუკეთესო შანსი გაუშვა ხელიდან მაშინდელმა პრეზიდენტმა, ხალხის წინამძღოლს ხალხთან საუბარი ყველანაირ სიტუაციაში უნდა შეეძლოს. იქნებ კარგი მრჩეველი იყო საჭირო, ვინ იცის... ერთი სიტყვით, ერის ხმას გამოძახილი არ მოჰყოლია. და ალბათ მარტო მე როდი მაქვს სინანულის გრძნობა, დღემდე რომ ასე მაწუხებს. არა მგონია, იყო ნამდვილი მოქალაქე და შენი მთავრობის, შენი პრეზიდენტის კეთილი, პოლიტიკურად აწონილ-დაწონილი და ხალხის საკეთილდღეოდ გადადგმული ნაბიჯები არ გახარებდეს. ნოემბრის იმ აზვირთებულ დღეებში ხალხს ძალიან სურდა, რომ პრეზიდენტი მიახლოებოდა მათ და ისეთივე სიყვარულით და უშუალობით ესაუბრა მათთან, როგორც დღეს პრეზიდენტობის კანდიდატის როლში ახერხებს. ახლა იგი სამაგალითო კანდიდატია, ხალხის, ანუ იგივე ამომრჩევლების სიყვარულით სავსე, გულანთებული, ქველმოქმედი, „მოსამართლე და მოწყალე“, „კვლა მოუბარი წყლიანი“ და რაც მთავარია, ზედმიწევნით კორექტული: იგი არ ეხება არავის, მისი საუბარი მიმართულია მხოლოდ მომავლის ზოგად გეგმებზე, რომელიც გაჟღენთილია დაპირებებით, ხალხის კეთილდღეობაზე ვითომ ზრუნვით და ისეთი ფორმებით, რაც დღევანდელი ჩვენი მოსახლეობის, უფრო სწორად, მასების მერკანტილურ ბაზარზე კარგად იყიდება... ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ლამის მის ამჟამინდელ პოზიტიურ ქცევებზე მივუთითო პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებსაც, რომლებიც პრეზიდენტყოფილის შეცდომებზე, წარსულსა და შავბნელ დღეებზე გამუდმებით საუბრობენ უფრო მეტს, ვიდრე თავიანთ პროგრამებზე და სახელმწიფოს მშენებლობის არსებულისაგან განსხვავებულ, რეალურ და ალტერნატიულ ხერხებსა და მეთოდებზე.

სამწუხაროდ, ყველაფერი გვიან არის. გამოცდა, რომელიც ხალხმა მოუწყო, პრეზიდენტმა ვერ ჩააბარა!..მაგრამ ახლა, თავს ნუ მოვიყრუებთ და თვალებს ნუ დავიბრმავებთ, დასანახი კარგად დავინახოთ: თუ ნოემბერში ხალხის მოწყობილ გამოცდაზე პრეზიდენტი სამარცხვინოდ ჩაიჭრა, ხომ შეიძლება ახლა პირიქით მოხდეს? რა შეიძლება მოყვეს ყოველივე ამას?

ხომ უზენაესია კანონი, მაგრამ უზენაესთა შორის უზენაესია მორალი, რომელსაც ამა თუ იმ ფორმაციამ თავისივე მოგონილი კანონებით, თავის სასარგებლოდ შეიძლება ელფერი შეუცვალოს, მაგრამ კაცობრიობის ისტორია არასოდეს არ ცვლის მას. მორალი ურყევი პოსტულატია!

სამწუხაროდ, ჩვენ ისტორიის განაჩენს ვერ დაველოდებით, ჩვენ ახლა, სიცოცხლეშივე გვინდა ავიშენოთ სამართლიანი, დემოკრატიული სახელმწიფო და ავირჩიოთ გულისხმიერი, ხალხის ნება-სურვილის გამტარებელი, ჭირსა და ლხინში ხალხთან ერთად მყოფი მთავრობა!

**გულნარა სტურუა**

## ხმა გულისა

**— მიშა, ქვირფასო, ხალხზე ასე თავგადაკლული თუ იყავი,რატომ გადადგომამდე არ გაგვიმხილე?**




**მაქვს წინადადება!**

# ავირჩიოთ სააკაშვილი, ოღონდ მუდმივად გადამდგარი!..

ვიდრე ამ საკითხს უშუალოდ შევეხებოდი, მინდა ვთქვა, რომ ოპოზიციის დაჟინებულ მტკიცებას — მიხეილ სააკაშვილი არჩევნებში კაი ხნის დამარცხებულიაო, — ლეგიტიმიზაცია აკლია. მიუხედავად ყველა იმ უბედურებისა, რაც მან თავის მეფობის წლებში ქვეყანას თავს დაატეხა და რომელიც 7 ნოემბრის ტრაგედიით დაგვირგვინდა, სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ 5 იანვარს სააკაშვილმა ხმების უმრავლესობა მოაგროვოს და კვლავაც საქართველოს პრეზიდენტად მოგვევლინოს.

ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, დანარჩენი პრეზიდენტობის კანდიდატთა გამარჯვების შანსი დავაკნინო, მაგრამ არც იმის შეუფასებლობა შეიძლება, რომ საქართველოს დღეის მდგომარეობით, სააკაშვილის სახით, ფაქტობრივად, ორი კანდიდატი მოევლინა: ერთი პრეზიდენტობიდან მის გადადგომამდე და მეორე გადადგომის შემდეგ, ანუ როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, ერთი—ლენჯოიანი, ხოლო მეორე — ლენჯოგაცლილი, პრეზიდენტობის კანდიდატი.

როგორ ფიქრობთ, ამ ორიდან ამომრჩეველს რომელი უფრო ეპრიანება? გააჩნია თავად ამომრჩეველს, უფრო სწორად, მის ინტერესს, თუ რა სარგებელს მოელის ის მეორედ გაპრეზიდენტებული სააკაშვილისგან. ქვეყნის აღმაშენებელ ნაციონალებს, რა თქმა უნდა, უფრო ავტოკრატი სააკაშვილი ეპიტნავებათ, როცა ის თავის უზურპატორული მმართველობის სადავეებს და ძალადობით მოგროვილ აურაცხელ სიმდიდრეს „ერთიანი გუნდის“ წევრებს ძმურად უნაწილებდა, უმუშევარი და ულუკმაპუროდ დარჩენილი ხალხისკენ კი ზურგშექცევით იდგა. სწორედ ამ ხალხმა, რომელმაც მთელ ოთხ წელიწადს ითმინა მთავრობისგან ძალადობა და უსამართლობა, უსაქმურობა და შიმშილი, გვიანი შემოდგომის იმ სუსხიან დღეებში თავადაც ზურგი აქცია თავკერძა პრეზიდენტს და მისი ხელისუფლებიდან წასვლა მოითხოვა.

ქვეყნის პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის, არც ამჯერად დაიბნა—ქუჩაში გამოსული მშვიდობიანი დემონსტრაცია არნახული სისასტიკით დაარბია, ქვეყანაში სასწრაფოდ საგანგებო მდგომარეობა შემოიღო და ვინმეს მის დემოკრატობაში ეჭვი რომ არ შეპარვოდა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა. აბა თუ არ ვვარგივარ, ახლა გამოჩნდებაო,დაიქადნა, თანამდებობიდან გადადგა და თავი პრეზიდენტობისთვის მებრძოლთა შორის ერთ-ერთ რიგით კანდიდატად გამოაცხადა. მართალია თავიდან ავიწყდებოდა, რომ გადამდგარი იყო და მინისტრებს დავალებებს ძველებურად აძლევდა, მაგრამ შეცდომა ვის არ მოსვლია. ეს მოგვიანებით თავადაც აღიარა, ისიც დაამატა — რეფორმების გატარებისას დავუშვით შეცდომები, მაგრამ ის ჩვენი ხელისუფლების კაპიტალია, რომელსაც ჩემი პრეზიდენტობის მეორე ვადაში ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოვიყენებთო. რაც მთავარია, პრეზიდენტის გადადგომას თავად მიხეილ სააკაშვილის ისტორიული გარდასახვა მოჰყვა. ეს ნიადაგ გარე-გარე მარბენალი, ავტოკრატი, ხისტი და ბაქიბუქა ხელისუფალი ერთბაშად მოშინაურდა, მოლბა, ენა დაითაფლა, ხალხში გავიდა, დიდსა და პატარას გუნებიერად ჩაეხუტა, მიეფარისევლა და წლობით გულში დაგროვილი სიკეთე ერთიანად გადმოაფრქვია.

მერე რა ვუყოთ, რომ ნოემბრის იმ ტრაგიკულ დღეებში ხელისუფლებამ საკუთარ უდანაშაულო ხალხს ზურგი მათრახით, ხოლო თვალები ქიმიური გაზით აუწვა. სამაგიეროდ პრეზიდენტმა, როგორ თვითონ განმარტავს, ქვეყანა იხსნა სახელმწიფო გადატრიალებისა და შევარდნაძისეულ ჭაობში დაბრუნებისგან, რომელსაც თურმე საქართველო თავს ველარასოდეს დააღწევდა. და რაც ყველაზე მთავარია, ამ ერთი დღის ტრაგედიას პრეზიდენტმა უამრავი სიკეთე მოაყოლა — მოხუცებულებს პენსია გაუზარდა, პედაგოგებს — ხელფასი, სტუდენტებს სტიპენდიები საკუთარი ხელით ჩამოურიგა, მშობიარე დედები ფულით წაახალისა, ათეულათასობით მოქალაქე — დენის, გაზის, შეშის, წამლის ვაუჩერებით და რით აღარ. ჯერ სადა ვართ,თუ გონივრულად მოვიქცევით და პრეზიდენტყოფილს 5 იანვარს არ დავაღალატებთ,არ გაგიკვირდეთ, რომ იანვრიდან მარილის, ზეთის, კიტრის მწნილის და კაკლის მურაბის ვაუჩერებიც დაგვირიგონ.

მიხეილ სააკაშვილის ამ გასაოცარ სახეცვლილებას რომ უყურებს, ბევრ ამომრჩეველს ლოგიკური კითხვა უჩნდება:

— მიშა, ქვირფასო, ხალხზე ასე თავგადაკლული თუ იყავი,რატომ გადადგომამდე არ გაგვიმხილე?

— რა ვქნა, ძმებო, ადრევე ძალიან მიყვარდით, მაგრამ მოცლა არ მქონდა, — თავს იმართლებს პრეზიდენტყოფილი, — ჩემი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე სახელმწიფოს ვაშენებდი— ვაგებდი გზებს, ვაღდგენდი ელექტროენერგიას, ვებრძოდი კორუფციას, ქურდებს, ყაჩაღებს და ყველა ჯურის მაძალღლებს, ვეჭიდებოდი პრობლემებს,რომელთა გადაუწყვეტლად ვერც უმუშევრობას მოვსპობდი და ვერც სიღარიბეს დავამარცხებდი. ახლა დადგა დრო, სიღარიბეს მთელი ძალით შევეჭიდო, ხალხს შველა მივცე და 2-3 წელიწადში სიმდიდრესა ვწიო.

ვერაფერს შეედავები, თურმე პრეზიდენტი სახელმწიფოს აშენებდა ხალხის გარეშე და ამიტომ თავად ხალხს ავიწროებდა: სამუშაოს არ აძლევდა, ბიზნესს თრგუნავდა, კერძო საკუთრებას უბოდიშოდ ხელყოფდა და ანადგურებდა. ახლა სხვა დრო დადგა,კერძო საკუთრებას ველარავინ შეეხება, პირიქით, ხელისუფლება, ვისაც რა აქვს მოქონებული, მარტო იმას კი არა, მიტაცებულ ფართობებსა და უკანონოდ აშენებულ სახლებსაც დაუკანონებს, დევნილებს დაკავებული ბინებიდან აღარ გამოყრის და პირად საკუთრებაში გადასცემს. ერთადერთ პრობლემას ქმნიან ისინი, ვინც თავის დროზე ზედმეტი ხელგაშლილობა გამოიჩინა და საკუთარი ქონება სახელმწიფოს უფასოდ აჩუქა—ისინი ალბათ უბრალოდ ველარ იკადრებენ ნაჩუქარის უკან დაბრუნებას...

ასეთია სააკაშვილის წინასაარჩევნო პორტრეტი, რომლის ასერიგად გადემოკრატებას და გაკაცთმოყვარეობას არავინ ელოდა. თვით რუსეთიც კი, რომლის ბაზარიც თავის დროზე გატარებული ხისტი და მოუზომავი პოლიტიკის წყალობით პრეზიდენტყოფილმა საქართველოს დააკარგვინა, განცვიფრებულია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბატონმა მიხეილმა საჯაროდ განაცხადა, რომ 7 ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში რუსეთს აღარ ადანაშაულებს (ადრე ხომ უმთავრეს აქცენტს სწორედ რუსეთზე აკეთებდაძ და აღარც ამ ვერაგულ საქმეში „აქტიურად ჩართული“ ოპოზიციის ცალკეულ ლიდერებს ედავება.

ჰოდა, აბა მითხარით, ასეთი პრეზიდენტობის კანდიდატს, რომელმაც ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვით გადამკვდარმა, საკუთარი თავიც არ დაზოგა (ახალი სააკაშვილი ძველი სააკაშვილის წინააღმდეგ წავიდაძ, ამომრჩეველი ხმას როგორ დაუჭერს. თავად პრეზიდენტყოფილი, რა თქმა უნდა, ამ უპირატესობას გამოიყენებს, იმ ხმებს, რომელსაც ძველი ამფსონები აძლევენ, ახლად მოჩანგლულთა ხმებსაც მიუმატებს და პრეზიდენტობას იოლად (თუმცა რატომ იოლად, მთელ დღეს აქაქანებული და ხმაჩახლეჩილი რომ დარბის, ყველა თვალნათლივ ხედავსძგაინაღდებს.

ერთი კია, ოპოზიცია არ ისვენებს, პრეზიდენტყოფილის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებს და ხალხს მოუწოდებს — არ დაუჯეროთ მაგის დაპირებებს, მიხეილ სააკაშვილმა უბრალოდ „სიფათი“ შეიცვალა,თორემ კვლავაც ძოსატყუილად დარჩაო. და იქნება საშიშროება — ელექტორატი ოპოზიციის ანკესს არ წამოეგოს და პრეზიდენტობის სახელისუფლებო კანდიდატი, რომელმაც გადადგომის შემდეგ ისწავლა რეალურ საქმეთა კეთება, რაც მთავარია, ხალხზე ფიქრი და ზრუნვა, სწორედ ამ სიკეთის ჟამს უმუშევრად არ დავგრჩეს ან პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ისევ გზებისა და შადრევნების მშენებლობას არ დაუბრუნდეს.

თუმცა, არ არსებობს ისეთი სიძნელე, რომლისგანაც გამოსავალი არ მოიძებნოს. ჩემი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება, კონსტიტუციაში ერთხელ კიდევ შევიცნოთ ცვლილება და რადგან გადამდგარი სააკაშვილი გაცილებით უკეთესად და ეფექტურად მუშაობს, ვიდრე მუშაობდა გადადგომამდე, ის მუდმივად გადამდგარ პრეზიდენტად ავირჩიოთ. არავითარი საპარლამენტო რესპუბლიკა და კონსტიტუციური მონარქია, დღეს საქართველოს ყველაზე მეტად სწორედ ასეთი პრეზიდენტი მოერგება, მით უფრო, რომ ეს მიხეილ სააკაშვილმა უკვე პრაქტიკულად დაამტკიცა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ეს სიახლე მთელ დემოკრატიულ მსოფლიოში როგორ რეზონანს გამოიწვევს, საქართველოს ნატოსთან ინტეგრირება ჩვენდამი თვით ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ სუბიექტებსაც აღარ დააეჭვებს.

**ოთარ ხუციშვილი**

**პრეზენტაცია**

# სამცხე-ჯავახეთში ბიზნეს-განვითარების ცენტრი გაიხსნა

**საქართველოს ბიზნეს-განვითარების ცენტრი „კავკასია“ რეგიონებში სტუდენტური საკონსულტაციო პროგრამების განხორციელებას განაგრძობს. აჭარის შემდეგ ფილიალი სამცხე-ჯავახეთშიც გაიხსნა.**

პროგრამის მიზანია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სტუდენტური საკონსულტაციო მომსახურება; ხოლო პრიორიტეტი — აგრობიზნესის, სოფლის ტურიზმის სფეროს და მომსახურების დონის ამაღლება, პროგრამას ეუთოს მისია საქართველოში და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი დააფინანსებენ.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა „კავკასიის“ აღმასრულებელი დირექტორი სერგი ბარამიძე. მან აღნიშნა, რომ ფილიალში ადგილობრივი სტუდენტები იმუშავებენ, რომლებმაც პროფესიული გადამზადების ტრეინინგები გაიარეს, ისინი კონსულტაციებს გაუწევენ ბიზნესის წარმომადგენლებს, დაეხმარებიან საგრანტო წინადადებების და ბიზნეს-გეგმების შემუშავებაში, ბაზრის კვლევის განხორციელებაში. მათ მუშაობას კი მეთვალყურეობას ფაკულტეტის საკონსულტაციო საბჭო გაუწევს, რომელიც ახალციხის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებით, მოწვეული ექსპერტებით და ადგილობრივი წამყვანი კომპანიების მმართველობით არის დაკომპლექტებული.

ბიზნეს-განვითარების ცენტრი კავკასია საქართველოს საწარმოების, კომპანიების, საფინანსო ორგანიზაციების და ფერმერული მეურნეობის განვითარებაში 2002 წლიდან მონაწილეობს. იგი საკონსულტაციო და ტექნიკური დახმარების გამწევი ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობაში სახელმწიფო უნივერსიტეტების და, ასევე, კომერციული უმაღლესი სასწავლებლების ადამიანური რესურსები — სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობენ.

სამცხე-ჯავახეთის შემდეგ ჯერი სხვა რეგიონებზეც მიდგება, ვნახოთ, ვინ იქნება შემდეგი.

**ლელა მანაველიშვილი**



ალიან-ჩალიანი

## ელიზბარ ჯაველიძე და მერაბ ჯიბლაძე „ლეიბორისტებს“ უჭერენ მხარს

პოლიტიკური მოძრაობა „XXI საუკუნის“ ლიდერი ელიზბარ ჯაველიძე და „ქართული აკადემიის“ წევრი მერაბ ჯიბლაძე არჩევნებში შალვა ნათელაშვილს დაუჭერენ მხარს.

„ლეიბორისტების“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე პროფესორმა ჯიბლაძემ და აკადემიკოსმა ჯაველიძემ განაცხადეს, რომ მათთვის, პოლიტიკური წარსულისა და ეროვნული სულიკვეთების გამო, შალვა ნათელაშვილი ყველაზე მეტად მისაღებია საქართველოს მომავალ პრეზიდენტად.

— ექსპრეზიდენტ სააკაშვილის გარდა, ჩვენ არავის ვებრძვით. პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს აქვს განწყობა, საქართველოს ემსახუროს, მაგრამ შალვა ნათელაშვილის საპრეზიდენტო პროგრამა უფრო მისაღებია ეროვნული თვალსაზრისით, — აღნიშნა ელიზბარ ჯაველიძემ.

„ქართული აკადემიის“ წარმომადგენლის მერაბ ჯიბლაძის აზრით, ნათელაშვილის საპრეზიდენტო პროგრამა სოციალური საკითხების მოგვარების საკითხებში დახვეწილი, მისაღები და აუცილებელია. როგორც მან აღნიშნა, ამ პროგრამის განხორციელება საქართველოს სიდუხჭირიდან დაიხსნის და საზოგადოების განვითარება აღარ შეფერხდება.

ინტერპრესნიუსი

საშური საქმე

# ნახშირი-ი-ი! ჰე-ჰე-ე!

*ჩვენი ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, როგორც ცნობილია, არაერთი პრობლემაა გადასაჭრელი. ამ საშურ საქმეს ეხებოდა შარშან პარლამენტში მიღებული ერთ-ერთი დადგენილება, დასათაურებული, როგორც „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“. სხვათა შორის აქ შემდეგიცაა ნათქვამი: „საქართველო ენერგეტიკული რესურსების იმპორტიორი ქვეყნიდან თანდანათობით უნდა იქცეს მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების მქონე, მდგრადი, კონკურენტუნარიანი და მოქნილი, დამოუკიდებელი შესაძლებლობების სახელმწიფოდ“.*

ამავე დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული ამოცანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს ტყიბული-შაორის ქვანახშირის საბადოსა და საერთოდ, ქვეყანაში ნახშირის მრეწველობის რეაბილიტაცია. ეს რომ მართლაც ასეა, დასტურდება მსოფლიოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ნახშირის მიმართ დღეს უკვე არსებული ცხოველი ინტერესი, რომელიც სულ უფრო იზრდება.

ასე რომ დღის წესრიგში აქტიურად დგება ხსენებულ სფეროში მიმდინარე პროცესების გულმოდგინე შესწავლა, ნახშირის როლის მკაფიო განსაზღვრა, ნახშირის მრეწველობის რესტრუქტურიზაციის პრინციპების გავრცელება. ტყიბული-შაორის საბადოს სამთო-გეოლოგიურ პირობებზე და ტყიბულის შახტებში ნახშირმომპოვებელი ქვეყნების მიერ მიღწეული შედეგების დანერგვის შესაძლებლობათა დადგენა.



სადღეისოდ უკვე შეიძლება დაბეჯითებით თქმა, რომ ნახშირის სულ უფრო ინტენსიური გამოყენება თბოელექტროცენტრალებში, მათი მუშაობის რენტაბელობის განუწყვეტელი, ამაღლების საწინდარია.

აქვე ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორია ამ მიმართულებით. ნახშირით სარგებლობის ეკოლოგიური ასპექტი, ეს ხომ არსებითი მომენტია? პასუხი დამამშვიდებელია: აქ უკვე დამუშავებული და რეალიზებულია ისეთი „სუფთა ტექნოლოგიები“, რომელთა წყალობითაც ნახშირის წვის პროცესში გამოყოფილი მავნე აირისა და მყარი ნაწილაკების უტილიზაციის შესაძლებლობამ. ატმოსფეროს დაბინძურების საფრთხე გაანეიტრალა და გაჭუჭყიანება ეკოლოგიურ ნორმამდე დაიყვანა.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ტყიბული — შაორის ნახშირის საბადოს საბალანსო მარაგი აღემატება 400 მილიონ ტონას, რაც თითქმის 80 წლით უზრუნველყოფს ქვეყნის თბოელექტროსადგურების მუშაობას მაშინაც კი, თუ ისინი მთლიანად გადავლენ ნახშირის მოხმარებაზე.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან (თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილიძ დაარსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს (სსსძ მიერ გადადგმულ პირველ საქმიან ნაბიჯებზე. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების განსჯას მიეძღვნა სსს-ის მორიგი სხდომა.

შეკრებაზე მოიწვიეს სამთო დარგში მოღვაწე ცნობილი მეცნიერები და მრეწველობის მუშაკები. საგულისყურო და გამოწვლილვით საუბარში ერთხმად აღიარეს ტყიბული-შაორის საბადოს ბაზაზე ქვანახშირის მრეწველობის რეაბილიტაციის მიზანშეწონილება და დადებითი როლი ქვეყნის ენერგობალანსის მკვეთრი გაუმჯობესების საქმეში.

შემუშავებული რეკომენდაციები ქვეყნის ხელმძღვანელობას მიეწოდება.

**რევაზ ტყემალაძე,**
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;

**თამაზ ეზანოიძე**

ყოფა

# ვინც 1700-ლარიან ნაძვის ხეს შეიძენს...

**ისედაც გადაჭედილ ავტობუსში 10-12 წლამდე მშვენიერი გარეგნობის გოგონა დახმარებას ითხოვდა. ხელგაწვდილი თითოეულ მგზავრთან ჩერდებოდა და საცოდავი თვალებით ფულს ელოდა. ზოგმა ალმაცერად შეხედა, ზოგმა ხურდები გადასცა. გული დამეწვა, ეს ბავშვი მათხოვრობისთვის ნამდვილად არ მემეტებოდა.**

— სახლში ხომ არ გვასვენებენ და ახლა ტრანსპორტშიც გამოჩნდნენ, გაუსაძლისი გახდა ცხოვრება, ჩვენ რა გვაქვს, სხვას რომ მივცეთ, — გადმომილაპარაკა გვერდით მჯდომმა სიმპათიურმა ქალბატონმა და განაგრძო, — ეს იმის ბრალია, რომ საქართველოში ერთი, მცირე ჯგუფი ძალიან გამდიდრდა, ხოლო აბსოლუტური უმრავლესობა ისევ ღატაკი დარჩა. წლეულს, ზაფხულში, აშშ-ში სტუმრად ვიყავი მიწვეული შვილის მეგობრებთან. ისეთი ფეშენებელური სახლები, როგორიც დღეს ჩვენს ახალ ქართველებს აქვთ, მართალი გითხრათ, ამერიკაშიც არ მინახავს. იმასაც გეტყვით, სპეციალურად წამიყვანეს და კლინტონის დასასვენებელი ვილა მაჩვენეს, ერთი ჩვეულებრივი ფინური სტილის სახლია, რომელიც სხვებისგან არაფრით გამოირჩევა, სურათიც კი გადავუღე და სახლში მაქვს. რა თქმა უნდა, იქ ყოფნით ძალიან კმაყოფილი დავრჩი, ვნახე მუზეუმები, ვიყავი თეატრებში, მაგრამ ჩვენს საქართველოს მაინც არაფერი სჯობს, ოღონდაც ეს სიღარიბე მოისპოს...

ისე, მე ვინ მკითხავს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ბედი უკუღმა მას შემდეგ დატრიალდა, რაც საზოგადოების ერთმა კორუმპირებულმა ნაწილმა დიდი ფული იშოვა, ხოლო პატიოსანი ხალხი, ვისაც მამაძაღლობა არ შეუძლია იგივე დონეზე დარჩა. კარგია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატები სიღარიბის აღმოფხვრაზე საუბრობენ, სამუშაო ადგილების შექმნაზე და საწარმოების ამუშავებაზე ამახვილებენ ყურადღებას, მაგრამ ხალხს გული აქვს გატეხილი და აღარაფრის სჯერა. თუმცა, ღმერთმა ნუ ქნას, როცა 1700-ლარიან ნაძვის ხეს შეიძენთ... იმედი დავკარგოთ და მომავლის არ გვჯეროდეს...

ქვეყანას, რომელსაც პაატა ბურჭულაძისნაირი ქველმოქმედი ჰყავს, გადაშენება არ უწერია. ეს ის კაცია, რომელიც ყოველი შეძლებული ქართველის გულში აღძრავს მეცენატობის მიძინებულ სურვილს და მას მოყვასის დასახმარებლად განაწყობს. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები. უცხოელებს რომ ეს გრძნობა მოჭარბებულად ჰქონიათ, ამაზე ბოლო კონცერტზე მსოფლიოში ცნობილი მომღერლის მონსერატ კაბალიეს საქციელიც მოწმობს.

საახალწლო დღეებში, როცა ჩვენი „ახალი ქართველები“ 1700-ლარიან ნაძვის ხეს შეიძენენ, იქნებ გაახსენდეთ ის პატარები, რომლებსაც 10-15-ლარიანი ნაძვის ხის ყიდვის საშუალება არა აქვთ და მშობლებს იმას ეხვეწებიან ერთი-ორი ბრჭყვიალა სათამაშო მაინც შეუძინონ...

**ლალი ქინქლაძე**




ინფორმაცია

## ხანძარი შემთხვევით თუ პოლიტიკური მოტივით?



კომპანია „არტი-ჯგუფის“ საწყობს, სადაც სარეალიზაციო ძსელში გასატანი პროდუქცია ინახებოდა, გვიან ღამით, ცეცხლი გაუჩნდა.

სახანძრო სამსახური ხანძრის ჩაქრობას ორი საათის განმავლობაში ცდილობდა, მიუხედავად ამისა, საწყობი მთლიანად დაიწვა. წინასწარი მონაცემებით, ხანძრის შედეგად გამოწვეული ზარალის რაოდენობა 7 მილიონ დოლარს აჭარებს.

ხანძარს გადაურჩა კომპანიის ოფისი და აპარატურა, თუმცა სასაწყობე ფართში განთავსებული დანადგარები და პროდუქცია მთლიანად განადგურებულია.

კომპანიის გენერალური დირექტორის მარტინ ვეცვანაგსის განცხადებით, სახანძრო სამსახური ადგილზე დაგვიანებით და მცირერიცხოვანი ეკიპაჟით გამოცხადდა.

„თავდაპირველად, მხოლოდ ორი სახანძრო ეკიპაჟი მოვიდა, თუმცა მათ მალე წყალი გაუთავდათ. როგორც აღმოჩნდა, მთელ რაიონში წყლის მიწოდება შეწყვეტილი იყო და სახანძროებს წყლის რეზერვის შესავსებად წასვლა მოუხდათ. რაც შეეხება დამატებით სახანძრო ეკიპაჟებს, ისინი ადგილზე 40 წუთის დაგვიანებით მოვიდნენ. ამ დროის განმავლობაში კი ცეცხლმა ყველაფერი გაანადგურა“,— აღნიშნა მან ჟურნალისტებთან საუბრისას.

საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურის უფროსის თემურ გიორგაძის ინფორმაციით, ცეცხლის გავრცელებას ძლიერმა ქარმაც შეუწყო ხელი, თუმცა მეხანძრეებმა ორი საათის შემდეგ ცეცხლის ლიკვიდაცია მაინც შეძლეს.

ამასთან, „არტი-ჯგუფის“ სასაწყობე ნაგებობა კომპანია „ალდაგი ბისიას“ მიერ არის დაზღვეული. სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ზარალის დათვლა დაიწყება და კომპანიას ზარალი აუნაზღაურდება.

ხანძარს მსხვერპლი არ მოჰყოლია.

შეგახსენებთ, რომ „არტი-ჯგუფი“ ჰიგიენური საგნების მსხვილი დისტრიბუტორია. იგი ფინანსურმა პოლიციამ 2007 წლის 24 სექტემბერს რამდენიმე კვირით დააყადაღა. დაკავებულები იყვნენ კომპანიის თანადამფუძნებლებიც.

სატყეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფრით მყოფი ბიძინა გიორგობიანი ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის კომპანია „არტი-ჯგუფის“ საწყობში ხანძრის გაჩენას პოლიტიკას უკავშირებს.

„იმის თქმის საფუძველს, რომ მომხდარს პოლიტიკური შეფასება მივცე, ბევრი რამ მაძლევს. პირველი, ხანძარი კვირა დღეს გაჩნდა, როდესაც თანამშრომლები ოფისში არ იმყოფებოდნენ. მეორე, შემთხვევის ადგილზე მისულ სახანძრო მანქანებს, რატომღაც, წყალი არ აღმოაჩნდათ. მესამე, ხელისუფლება, რომელიც ქიბარ ხალვაშის წინააღმდეგ დევნას ახორციელებდა, ამით დაინტერესებული იყო“, — აღნიშნა გიორგობიანმა.

ინტერპრესნიუსი

• ძალთა წინასაარჩევნო განლაგება ცხადყოფს, რომ საქართველო თავიდან ვერ აიცილებს არჩევნების მეორე ტურს, ვინაიდან არც ერთ კანდიდატს არ აქვს შანსი, მიიღოს ხმების 50 და პლუს ერთი პროცენტი



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# პატარკაციშვილის 120 მცველი

## საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი დარწმუნებულია, რომ ლონდონში მისი მოკვლა სურთ

საქართველოს პრეზიდენტობის პოსტზე ერთ-ერთმა კანდიდატმა მილიარდერმა ბადრი პატარკაციშვილმა არჩევნებამდე ორი კვირის წინ საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება დაადანაშაულა, რომ თბილისი მასზე თავდასხმას ამზადებს.

„მე მაცნობეს, რომ დაახლოებით ექვსი-რვა კვირის წინათ ლონდონში საქართველოდან ოთხი ადამიანი ჩამოვიდა. ეს ადამიანები გამოგზავნეს, რათა მე რაღაც დამიშავონ", – თქვა პატარკაციშვილმა. თავისი მოსაზრებები მან განამტკიცა აუდიო ჩანაწერით, რომელზეც, მისი აზრით, ჩაწერილია დაქირავებული მკვლელისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკის საუბარი. აუდიოფირზე ჩაწერილი ხმა, პატარკაციშვილის თქმით, ეკუთვნის ჩეჩნეთის საველე მეთაურს უვაის ახმედოვს, რომლის ბანდა დასპეციალიზებულია ადამიანთა მოტაცებაში და მკვლელობაში. „სანდი ტაიმსის" ჟურნალისტის კითხვაზე, გრძნობს თუ არა თავს უშიშრად დიდ ბრიტანეთში, ბიზნესმენმა უპასუხა: „მე 120 მცველი მყავს, მაგრამ ვიცი, რომ ეს საკმარისი არ არის. მე არსად არ ვგრძნობ თავს უშიშრად და ამიტომ არ მივემგზავრები საქართველოში".

მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ პატარკაციშვილი თავს არიდებს სამშობლოში ვიზიტებს სხვა მიზეზებითაც: მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მის და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ განიხილა სარჩელი, რომელიც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" აღძრა. ორგანიზაციის წევრებმა მოითხოვეს საქართველოს პრეზიდენტობის ამ ორი კანდიდატის დაპატიმრება და რეგისტრაციის გაუქმება ამომრჩეველთა მოსყიდვის გამო. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მონაცემებით, სააკაშვილი პენსიონერებს დაჰპირდა პენსიის 100 დოლარამდე გაზრდა (ამჟამად საქართველოში მინიმალური პენსია 34 დოლარს შეადგენსძ. პატარკაციშვილმა კი ხალხს აღუთქვა, საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვების შემთხვევაში პირადი სახსრებიდან დახარჯოს 943 მილიონი დოლარი სოციალური პროექტების დაფინანსებისთვის. პატარკაციშვილი ასევე დაჰპირდა, რომ მოაგვარებს ურთიერთობას მოსკოვთან. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები ბიზნესმენს ადანაშაულებენ განსაკუთრებით დიდი თანხის მითვისებაში. სწორედ ამიტომ გამოაცხადა ძებნა შერისხულ მილიარდერზე ინტერპოლმა.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობით, სააკაშვილი შეეცადა ეს ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. შაბათს თბილისის გაზეთმა „ალიამ" დაწერა, რომ ექს-პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს სთხოვს რუსეთს გადასცეს ბიზნესმენი. მაგრამ, გამოცემის მონაცემებით, ბურჯანაძემ უარი უთხრა სააკაშვილს, რადგან მიაჩნია, რომ პატარკაციშვილის გადაცემა გაართულებს ვითარებას საქართველოში.

თბილისის სასამართლომ არ გაამწვავა აგრეთვე ვნებები ქვეყნის პრეზიდენტობის მთავარი კანდიდატების გარშემო. შაბათს მოსამართლე ნინო დარასელიამ უნიადაგოდ ცნო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეტენზიები ორივე კანდიდატის მიმართ და საქმე დახურა.

არადა, ყოველკვირეული „ჯორჯიან ტაიმსის" მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი გამოკითხვის თანახმად სააკაშვილს მხარს უჭერს მოსახლეობის 41 პროცენტი. მეორე ადგილზე ხმების 15 პროცენტით დეპუტატი ლევან გაჩეჩილაძეა. პატარკაციშვილი კი მხოლოდ მეოთხე ადგილზეა და მას აქვს ხმების 11,2 პროცენტი. ძალთა წინასაარჩევნო განლაგება ცხადყოფს, რომ საქართველო თავიდან ვერ აიცილებს არჩევნების მეორე ტურს, ვინაიდან არც ერთ კანდიდატს არ აქვს შანსი, მიიღოს ხმების 50 და პლუს ერთი პროცენტი.

**ნადეჟდა სოროკინა**

РОССИЙСКАЯ ГАЗЕТА

# სააკაშვილის გამბიტი

## რატომ დაარბია საქართველოს პრეზიდენტმა აქციის მონაწილეები თბილისში? რას გვეუბნება ნოემბერში მომხდარი ფაქტი „ვარდების რევოლუციის" ლიდერის შესახებ?

*რამდენიმე კვირის წინ, „ვარდების რევოლუციის" მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით, მეგობრებთან ერთად, თბილისის რესტორანში ვიმყოფებოდი. როცა ფეიერვერკი დაიწყო, მის საყურებლად რესტორნის პატარა უკანა ოთახში შევიკრიბეთ. ეს ის დროა, როცა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რევოლუციის წინამძღოლი, ორიოდე დღეში ღებულობს გადაწყვეტილებას გადადგომის შესახებ - მშვიდობიანი დემონსტრაციის უხეშად დარბევისა და ქალაქში მთავარი დამოუკიდებელი ტელევიზიის დახურვის შემდეგ. ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელიც ფეიერვერკს უცქეროდა, ჩაიცინა და თავის მეგობარს უთხრა: „ეს ის არის, რაშიც ჩვენი ფული დაიხარჯა".*

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და გავიფიქრეთ: როგორ წავიდა ხელისუფლება ასე მცდარი გზით? როცა სააკაშვილი 2004 წელს პრეზიდენტად აირჩიეს, მან თავი დასავლეთის ერთგულ მოკავშირედ გამოაცხადა, გარდაქმნა კო-



რუმპირებული და ნახევრად-დანგრეული ქვეყანა. მან გააxუთმაგა ბიუჯეტი, დააგო გზები, რეფორმები გაატარა პოლიციის სფეროში და მიიზიდა უცხოური ინვესტიციების უპრეცედენტო რაოდენობა. თუმცა, იმავდროულად, მისი მთავრობის სოციალური პოლიტიკა ჩამორჩა, ხოლო პრესისა და სასამართლოს დამოუკიდებლობასაც საფრთხე დაემუქრა. ქართველებს სოციოეკონომიკურ სექტორში ბევრი პრობლემა დაუგროვდათ და, შესაბამისად, ხალხის უკმაყოფილებამ იმატა.

პროტესტის გამოხატულება ნოემბერში დაიწყო. 7 ნოემბერიც თავისი ხუთი წინამორბედი დღის მსგავსად დაიწყო, როცა ათი ათასობით დემონსტრანტი პარლამენტის წინ მოგროვდა. ერთი შეხედვით, იმ დღეებში პროტესტის კატალიზატორი ყოფილი თავდაცვის მინისტრის, შემდგომში კი ოპოზიციური ლიდერის დაპატიმრება გახდა, მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, ხალხმა იგრძნო, რომ სააკაშვილი მათ აბუჩად იგდებდა. როცა მიტინგზე შეგროვილ ხალხს ვეკითხებოდი - რატომ მოხვედით-მეთქი, ისინი გაკვირვებას გამოხატავდნენ: რატომ? იმიტომ, რომ ციხეები გაივსო მოზარდებით, ფასები გაორმაგდა, მაგრამ პენსიები არა; მთავრობამ გაყიდა მათი საუკეთესო აქტივები ბინძური საპრივატიზაციო კამპანიის გატარებით...

პოლიცია თბილისის ცენტრალურ მოედანზე შეკრებილ მომიტინგეებს ცემით, ცრემლსადენი გაზით, რეზინის ტყვიებით და აკუსტიკური იარაღით გაუსწორდა. ამის მიუხედავად, ათასობით ადამიანი მდინარის სანაპიროსკენ მაინც დაიძრა. ერთ საათში პოლიცია ისევ დაბრუნდა, მომიტინგეებს ხიდთან ჩაუსაფრდა და შემდეგ შეტევა განახორციელა. საღამოს კი მთავრობა თავს დაესხა და დაარბია ტელეკომპანია „იმედი" - ოპოზიციის ხმა, რომელსაც ბრალი დასდეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში.

დემონსტრაციის დროს პოლიციის ძმედების შედეგად მოგვრილ შოკს „იმედის" დახურვაც რომ დაემატა, ეს ბევრმა ქართველმა ავის მომასწავებლად მიიჩნია. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ ამ მოვლენებს შესაძლოა ომი ან რევოლუცია მოჰყოლოდა. კავკასიაში, სადაც დათმობას სისუსტედ მიიჩნევენ, სააკაშვილმა მოახერხა ომის ზღვარზე მყოფი ბალანსირების პოლიტიკა უფრო საარჩევნო ბიულეტენებით დაესრულებინა, ვიდრე სისხლით. მეორე დღეს მან გადადგომა გამოაცხადა და 5 იანვარს ახალი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა - დაგეგმილი ვადიდან ათი თვით ადრე.

ახლა საარჩევნო კამპანიის შუა პერიოდია. იანვარში არჩევნების დანიშვნის გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო იმით, რომ ოპოზიციას საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ნაკლები დრო ექნებოდა, თან წინ მნიშვნელოვანი დღესასწაულებია - ეს ყველაფერი კი სააკაშვილის ადვილად გამარჯვების საწინდარი იქნებოდა. გარდა ამისა, დამარცხებული მდგომარეობიდან გამოცოცხლებული ოპოზიციის კანდიდატები საკმაოდ ბევრნი არიან და მათ შორის მერყევი ერთიანობაა. კონკურირებენ რა მიხეილ სააკაშვილთან, როგორც ქარიზმატულ ლიდერთან, გამარჯვების შემთხვევაში ისინი მოსახლეობას ევროპული საპარლამენტო სტილის შემოღებას პირდებიან (რაც საკმაოდ აბსტრაქტულად გამოიყურება ეფექტურობის თვალსაზრისით. უკვე უამრავი ინფორმაცია არსებობს იმის თაობაზე, რომ მთავრობა ხმების მოპოვებისთვის უკანონოდ იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს და დაშინების ტაქტიკას მიმართავს. იმავდროულად, სააკაშვილი კვლავ თავს იწონებს პოპულისტობით: კოცნის ბავშვებს და ტელევიზიის ეთერში მუდმივად საუბრობს პენსიების გაზრდაზე, სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, რაც სარეკლამო რგოლის თითქმის ნახევარს შეადგენს.

გამორიცხული არაა, რომ ეს არჩევნები საქართველოს ისტორიაში შეიძლება ყველაზე გამაოგნებელი შედეგით დამთავრდეს – სააკაშვილი, რომელიც 2004 წელს ხმის 97%-ით იქნა არჩეული, ალბათ ახლაც გაიმარჯვებს, მაგრამ მას ამჯერად მხოლოდ 50%-იანი მხარდაჭერით დატრაბახების შესაძლებლობა ექნება. როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ფაქტია, რომ სააკაშვილი დღეს სწორედ თავის ყოფილ მომხრეებს აღარ მოსწონთ ინტელიგენციისა და ელიტის ფენიდან. ერთმა ცნობილმა ქართველმა ადვოკატმა მითხრა, რომ მის ფირმაში 26 კაციდან სააკაშვილს 24-ც კი არ მისცემს ხმას: „რომ არსებულიყო თავისუფალი სასამართლო და თავისუფალი მედია, მე მას სიამოვნებით ავირჩევდი", - გამანდო მან, - „მაგრამ მე მირჩევნია ისევ ძველ დროს დავუბრუნდე, როცა გაზი და ელექტროენერგია გვაკლდა, ვიდრე ბელორუსიის მსგავს პირობებში ვიცხოვრო".

ქართველები ცნობილნი არიან თეატრალური მიდრეკილებებით როგორც ცხოვრებაში, ასევე პოლიტიკაში. მიუხედავად ამისა, ქართველებს, როგორც ჩანს, პირველად შეეპარათ შიში საკუთარი მთავრობის მოქმედების გამო. დემონსტრაციის შემდგომი პირველი დღეები ბნელ კომედიას ჰგავდა, მაგრამ შემდეგ ყველა მიჩუმდა. ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი დარწმუნებულია, რომ მათი ტელეფონები და სახლები ისმინება. ბიზნესმენები უარს ამბობენ ოპოზიციის მხარდაჭერაზე იმ მიზეზით, რომ მათ საქმიანობას შესაბამისი ორგანოები რევიზიას გაუკეთებენ.

# საზღვარგარეთ •

**რუსეთის ფედერაცია საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ჩეჩენი ბოევიკებით დაკომპლექტებული ბატალიონების შეყვანას, დაძაბულობის ახალი კერების შექმნასა და ტერორისტული ცენტრების ჩამოყალიბებას განაგრძობს**



◎ მუქარა

## იური ნეტკაჩოვი: თუ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩეჩნური სპეცრაზმის წევრები მართლაც არიან, ეს სწორი მოფიქრებაა

**რუსეთის ფედერაცია საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ჩეჩენი ბოევიკებით დაკომპლექტებული ბატალიონების შეყვანას, დაძაბულობის ახალი კერების შექმნასა და ტერორისტული ცენტრების ჩამოყალიბებას განაგრძობს.**

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების სარდლის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ იური ნეტკაჩოვის აზრით, ამჟამად საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მდგარ რუს სამშვიდობოთა შორის 42-ე მოტომსროლელი დივიზიის ჩეჩნური დანაყოფების „ზაპადისა“ და „ვოსტოკის“ წევრები იმყოფებიან.

ნეტკაჩოვი მიიჩნევს, რომ ჩეჩნები აფხაზეთში „საქართველოს მხრიდან სოჭის ოლიმპიადის ჩაშლისაკენ მიმართული შესაძლო საბრძოლო მოქმედებების გასანეიტრალებლად შეიყვანეს“.

ნეტკაჩოვის ამ განცხადებას ადასტურებს ჩეჩნეთის სამხედრო კომისრის მოადგილის საიდ მაგომედ კაკიევის მიერ რამდენიმე დღის წინათ გაკეთებული განცხადებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩეჩნური ბატალიონების წევრთა ყოფნის შესახებ.

ამასვე ამტკიცებს თავად ჩეჩნური ბატალიონის „ვოსტოკის“ 42-ე მოტომსროლელი დივიზიის ბატალიონის ხელმძღვანელი სულიმ იამადაევი.

„დიახ, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ რომ საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ომისათვის ემზადება. ამიტომაც ორივე რესპუბლიკაში ქართული მხრიდან ყველა შესაძლო დარტყმის განხორციელების ადგილებში ჩეჩნეთის სპეცდანიშნულების ბატალიონების „ზაპადისა“ და „ვოსტოკის“ რაზმები დგანან. დარტყმის შემთხვევაში ჩვენი მებრძოლები შეძლებენ შესაბამისი პასუხი გასცენ მოწინაალმდეგეს. ამიტომაც ცეცხლთან თამაშს არავის ვირჩევ. ეს თბილისელ ბიჭებს ეხება. ისინი გამოიწვევენ ქარიშხალს, მაგრამ მისგან დაცვას უკვე ვერ შეძლებენ“, – აცხადებს იამადაევი.

გენერალი ნეტკაჩოვი ძალიან სარწმუნოდ მიიჩნევს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩეჩნური ბატალიონების ყოფნას და აცხადებს, რომ „ლეგენდა სპეცნაზელებს შესაძლოა სხვა და სხვაგვარი ჰქონდეს – სამშვიდობოები, ინჟინრები, გამნაღმველები, დამკვირვებლები და ა.შ. არავინ, არც თავდაცვის და არც საგარეო საქმეთა სამინისტროში, ოფიციალურად არ დაადასტურებს მათ სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა შორის ყოფნას“.

მისივე თქმით, თუკი გავრცელებული ინფორმაცია მართალაც სიმართლეა და ჩეჩნური სპეცრაზმის წევრები მართლაც არიან „ჩვენს დაჯგუფებებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ეს ძალიან კარგი და სწორი მოფიქრებაა“.

„სწორედ ჩეჩნურმა სამხედრო შენაერთებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი 1993 წელს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარების განადგურებაში. მათ აქვთ კოლოსალური საბრძოლო სული და გამოცდილება და, რა თქმა უნდა, გენერალური შტაბი მათ უნდა იყენებდეს სწორედ იქ, სადაც რუსეთს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს“, – აცხადებს იური ნეტკაჩოვი.

**შეგახსენებთ, რომ 1992 წელს რუსეთმა „გრუ“ ოფიცერ შამილ ბასაევის თაოსნობით აფხაზეთში ჩეჩნური სამხედრო დანაყოფი გაგზავნა. ჩეჩნები იქ რუსეთისა და ისლამური დროშების ქვეშ მიმდინარე ქართველთა ეთნიკურ წმენდაში იღებდნენ მონაწილეობას და შამილ ბასაევს მაშინდელი რუსული საინფორმაციო საშუალებები „აფხაზეთის გმირადაც“ იხსენიებდნენ.**



საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და ხელისუფლების მართვის ავტორიტარულ მეთოდებზე დასავლეთში სიგნალები ადრეც მიდიოდა – ის ტელეკომპანიები, რომლებიც მთავრობის პოლიტიკას აკრიტიკებდნენ, ან ეთერიდან გათიშეს, ან კიდევ ახალი პატრონების ხელში აღმოჩნდნენ. პოლიტიკური დაპატიმრებები უფრო გახშირდა და გამკაცრდა. ახალმა პარლამენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას უპრეცედენტო ძალაუფლება გადასცა. ამრიგად, მმართველმა რეჟიმმა ჩამოაყალიბა საკუთარი აზრის არმქონე ჯიბის პარლამენტი იმ ლოგიკით, რომ ეს თითქოსდა აუცილებელი იყო სახელმწიფოს გაერთიანების მიზნით.

ადვილია დემოკრატად ყოფნა, როცა პოპულარული ხარ. სააკაშვილმა ნება მისცა იმ დროისთვის სუსტ ოპოზიციას, რაც უნდოდა ეკეთებინა. მედიაზეც ცენზურა ნაკლები იყო, როცა ტელევიზიაში სააკაშვილის კრიტიკა არ გაისმოდა. ნელ-ნელა სააკაშვილის მოქმედებას პარანოიკული ელემენტები შეეპარა. მან ოპოზიციის წარმომადგენლები სამშობლოს მოღალატეებად შერაცხა. ერთმა ანალიტიკოსმა, ადარებდა რა სააკაშვილს მისსავე წინამორბედს, თქვა, რომ „მანამდე არსებობდა დემოკრატია დემოკრატების გარეშე, ახლა კი არსებობენ დემოკრატები დემოკრატიის გარეშე“.

მიმდინარე კრიზისი საქართველოსთვის შესაძლოა კარგიც კი იყოს. როგორც ჩანს, დასავლეთიდან მომდინარე დაუსრულებელმა პანეგერიკებმა, საქართველოს, დემოკრატიის თვალსაზრისით, მაინც და მაინც დიდი ვერაფერი მოუტანა, მაგრამ საქართველომ უარი არ უნდა თქვას დემოკრატიის პრეტენზიაზე, რადგან დასავლეთს სწორედ ამის დანახვა სურს. ყოველ შემთხვევაში, ქართველები, რომლებთაც ასე უყვართ გმირებისთვის ხმის მიცემა, პირველად გააკეთებენ არჩევანს ისე, როგორც ჩვენ ამას ვაკეთებთ დასავლეთში.

**დარია ვაისმანი**

**ჟურნალი „PROSPECT“ (დიდი ბრიტანეთი), №142**

*შენიშვნა: სტატიის ავტორი, ჟურნალისტი დარია ვაისმანი ბოლო სამი წლის მანძილზე თბილისში მოღვაწეობდა. რაც შეეხება ჟურნალ „Prospect“-ს, ის 1995 წელსაა დაარსებული და „the Economist“-თან, „the Spectator“-თან და „the New Atatesman“-თან ერთად დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთ ყველაზე ინტელექტუალურ პერიოდულ გამოცემად ითვლება. გამოდის ყოველთვიურად.*

◎ გულახდილობა

## არ ვმალავთ, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ჩვენი მხარდაჭერით არსებობენო, – აღიარებს სერგეი ლავროვი

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ტელეარხ „ვესტისთან“ კოსოვოს პრობლემაზე საუბრობს და ამ სიბრტყეში საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კომენტარს აკეთებს.**

ლავროვის თქმით, გაეროს გენერალური მდივნის ერთ-ერთმა თანაშემწემ, რუსეთის კოსოვოს მიმართ დაკავებული პოზიციის გამო, მუქარაც კი გამოთქვა იმის შესახებ, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ინგუშეთისა და „მგონი ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის აღიარებაც“ დაიწყება.



„რამდენიმე დღის წინათ შეხვედრა მქონდა კონდოლიზა რაისთან, რომელსაც მსგავს გამონათქვამებზე ახსნა-განმარტებები ვთხოვე. მან კატეგორიულად უარყო, ის ფაქტი, რომ ეს ვინმეს მიერ სერიოზულად სადმე განიხილება“, – ამბობს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მისივე თქმით, კოსოვოსგან განსხვავებით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც დღესდღეობით დე ფაქტო მაინც დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ.

„თუმცა ეს მათი არჩევანი არ არის. ეს თავად საქართველოს ხელისუფლების თავის დროზე გაკეთებული არჩევანი იყო. საქართველოს ხელისუფლებამ ხომ გადაწყვიტა აფხაზებისა და სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიების წაერთვა, რაღაც პერიოდში კი საქართველომ მათთვის ეროვნების წართმევა და მათი „გაქართველებაც“ მოინდომა. ამაში ყველაფერთან ერთად ძალის გამოყენებაც შედიოდა“, – აცხადებს ლავროვი და აგრძელებს, რომ მიუხედავად ამისა, აფხაზეთმაც და სამხრეთ ოსეთმაც თავისთავად შეძლეს საკუთარი ეკონომიკური ცხოვრების წარმართვა.

**„და დღესაც ისინი არსებობენ საკუთარი ძალისხმევითა და ჩვენი მხარდაჭერით. ჩვენ ამას არც ვმალავთ.** იქ მრავალი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს, რომლებიც რუსეთის პენსიასა და იმ სოციალური შეღავათებით სარგებლობენ, რომლებსაც მათ რუსეთის მოქალაქეობა ანიჭებთ“, – ამბობს სერგეი ლავროვი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე ამბობს, რომ ყველასათვის ცხადია, რომ არც აფხაზეთსა და არც სამხრეთ ოსეთს არ სურს იმ პირობებში დაბრუნება, სადაც მათ უფლებებს არღვევენ და ავიწროებენ.

„ამასთან ერთად, აფხაზებიც და ოსებიც ერთგული რჩებიან ყველა ადრე ხელმოწერილი შეთანხმებებისა და მათი შესრულების. საქართველოს გამო კი ყველაფერი ზემოთ ნახსენები ფერხდება. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი კი არის ის, რომ უკვე რამდენი წელია აფხაზეთიც და ოსეთიც საქართველოსთან თავდაუსხმელობის, ძალის გამოყენებაზე უარის თქმისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შეთანხმების ხელმოწერას ითხოვენ, საქართველოდან კი გამუდმებულ უარს იღებენ“, – აცხადებს სერგეი ლავროვი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე აცხადებს, რომ ეს საქართველოს პოზიციის ძალიან ნათელი მაგალითია, თუმცა, ლავროვის თქმით, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მდგარი რუსული სამშვიდობო კონტინგენტის წარმომადგენლები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ არ დაუშვან აღნიშნულ კონფლიქტურ რეგიონებში სიტუაციის ძალისმიერი სცენარით განვითარების შესაძლებლობა.

● ახლა მთავარია გრიგოლ ფერაძის მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობის ღირსეული პატრონობა

◉ მოწამეობრივი აღსასრული

# ვარშავის მფარველი ანგელოზი



## რომანოზ ფერაძის ოჯახში უნიკალურმა სახარებამ დაიდო ბინა

**1942 წლის 6 დეკემბერს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანკში მოწამეობრივად აღესრულა არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე– ვარშავის უნივერსიტეტის მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტის პატროლოგიის პროფესორი, დასავლეთ ევროპაში აღიარებული მეცნიერი. იგი პოლონელების სათაყვანებელი წმინდანია, წლეულს, ვარშავაში უკვე მეექვსედ გაიმართა გრიგოლ ფერაძის სახელობის კონფერენცია, რომელიც ამ დიდი მეცნიერის გარდაცვალების 65-ე წლისთავს დაემთხვა.**

**კონფერენციაზე საქართველოდან საგანგებოდ მიიწვიეს გრიგოლ ფერაძის ძმისშვილი რომანოზ ფერაძე, მისი ნათესავები ილია და გურამ ფერაძეები ოჯახებით, გორის ეპისკოპოსი მეუფე ანდრია გვაზავა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: ქეთევან პავლიაშვილი და მარი ჩხარტიშვილი, წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის უნივერსიტეტის რექტორი ვახტანგ ფერაძე და ამ სასწავლებლის პრორექტორი ცისანა სულაბერიძე.**

**ვარშავის უნივერსიტეტში გამართული მე-6 კონფერენციის შესახებ შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს წმინდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოების თანათავმჯდომარეებმა: რომანოზ და ილია ფერაძეებმა.**

**ილია ფერაძე:** „ვარშავიდან დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით. გრიგოლ ფერაძის ღვაწლის უკვდავსაყოფად იქ დღედაღამ ზრუნავს ვარშავაში ცნობილი თეოლოგი, პროფესორი, დოქტორი ჰენრიკ პაპროცკი, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო გრიგოლ ფერაძის პიროვნების წარმოჩენას. მან გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის ბიბლიოთეკებსა და არქივებში მოიპოვა გრიგოლ ფერაძის უნიკალური შრომები. შექმნა ნაშრომების ვრცელი ნუსხა და გამოაქვეყნა. მაგრამ მათი უმრავლესობა პოლონურ ენაზეა შესრულებული. ახლა ინგლისურად თარგმნიან, ჩვენც ვცდილობთ, რომ ისინი ქართულ ენაზე გამოიცეს.

კონფერენციის თაოსანია ვარშავის უნივერსიტეტთან არსებული აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის ცენტრის დირექტორი იან მალიცკი, ხოლო ორგანიზატორი – პოლონეთში მცხოვრები მეცნიერი, ვარშავის უნივერსიტეტის დოქტორი, ჩვენი თანამემამულე დავით ყოლბაია.

კონფერენცია გახსნა დეკანოზმა, პროფესორმა ჰენრიკ პაპროცკიმ. საინტერესო იყო გერმანიიდან, ჰალეს უნივერსიტეტიდან ჩამოსული მეცნიერის სოფიო ვაშალომიძის მოხსენება. მან წაიკითხა ლექცია ქართულ-ბერძნული ურთიერთობების შესახებ. გამოირჩეოდა, აგრეთვე ამერიკელი მეცნიერის იან ბრაუნის მოხსენება. იგი ვარშავის უნივერსიტეტში, ორიენტალისტიკის კათედრაზე მუშაობს. ამ კონფერენციამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რა გამორჩეულ პატივს სცემენ გრიგოლ ფერაძეს ვარშავაში, ხოლო უნივერსიტეტის შესასვლელთან, დაფაზე მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპულ პროფესორთა სიაში გრიგოლ ფერაძის გვარიცაა.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთში ყოველწლიურად გამოდის დავით ყოლბაიას ალმანახი „პროგეორგია“. მე-13 – მე-14 ტომები მთლიანად გრიგოლ ფერაძეს მიეძღვნა. აქვე გამოქვეყნებულია გრიგოლ ფერაძის „დღიური“.

პირადად ჩემთვის სასიხარულო აღმოჩნდა „პროგეორგიას“ მე-16 ნომერი, რომელიც პოლონეთში მოღვაწე ქართველ ოფიცრებზეა, 1921 წელს სამშობლოდან გადახვეწილ ქართველ ოფიცერთა კორპუსის 200-მდე წევრის ცხოვრებას გვამცნობს. აქვეა ფოტოარქივი. დავით ყოლბაიამ მოიძია ამ ოფიცერთა ვინაობა. ჩემი ბებიის დის მეუღლე ვლადიმერ სიამაშვილიც სწორედ პოლონეთში მოღვაწეობდა, რომელზეც არაფერი ვიცოდით. შარშან პოლონეთში ამ ოფიცრების მემორიალი გაიხსნა.

**რომანოზ ფერაძე:** „5 დეკემბერს, საღამოს, ვარშავის ცენტრში, გრიგოლ ფერაძის, სამლოცველოში ჰენრიკ პაპროცკიმ და მისმა მრევლმა ქართველი წმინდანის პარაკლისი გადაიხადეს. 6 დეკემბერს იან კლემანსის სახელობის მართლმადიდებლურ ეკლესიაში წირვა ჩაატარა პოლონეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა საბამ. გრიგოლ ფერაძის მოწამეობრივ აღსასრულს დაემთხვა ვარშავის უნივერსიტეტის მემორიალურ დაფასთან გვირგვინის მიტანა და სანთლების დანთება.

შემდეგ მარიამ მაგდალინელის სახელობის ეკლესიაში წმინდა გრიგოლის ფრესკასთან გადავინაცვლეთ, მოგვიანებით კი – ვარშავის უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში. იქ მობრძანდა ჩვენი საპატრიარქოს წარმომადგენელი, მეუფე ანდრია გვაზავა. პოლონეთის მიტროპოლიტი საბა, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთში კოტე ქავთარაძე, ასევე, აზერბაიჯანისა და სომხეთის ელჩები.

იმ დღეს სიურპრიზი მელოდა. ლონდონიდან ჩამოსულმა ერთ-ერთი ქართველი ოფიცრის ვიტალი უგრეხელიძის შვილმა დარეჯან უგრეხელიძემ განაცხადა, რომ მათ ოჯახში წლების მანძილზე ინახებოდა მამა გრიგოლ ფერაძის ნაჩუქარი სახარება. მან წმინდანის ნაქონი სახარება ვარშავის უნივერსიტეტს გადასცა. მამა ჰენრიკ პაპროცკიმ, იან მალიცკიმ და დავით ყოლბაიამ მოთათბირების შემდეგ, გადაწყვიტეს ეს სახარება ჩემი სიცოცხლის ბოლომდე, ჩემს ოჯახში დარჩეს, ხოლო შემდეგ დაუბრუნდეს პატრონს – ვარშავის უნივერსიტეტს“...

ილია და რომანოზ ფერაძეებს დღესაც ამ კონფერენციის შთაბეჭდილებები ასაზრდოებთ, ახლა მთავარია გრიგოლ ფერაძის მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობის ღირსეული პატრონობა. მამა ჰენრიკ პაპროცკისთან ერთად პოლონეთში თავდაუზოგავად იღვწის ბატონი დავით ყოლბაია. შარშან მათ აღმოაჩინეს გრიგოლ ფერაძის „დღიურები“. პროფესორ თამილა მგალობლიშვილის შეფასებით, ეს დღიურები მაღალმეცნიერული დონისაა. ქალბატონი თამილა წმინდა მიწაზე იმ ხელნაწერებს იკვლევს, რომელიც თავის დროზე მამა გრიგოლმა აღწერა.

იმედია, წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეა უწმინდესი და უნეტარესი ილია II, დიდი ქართველი მოღვაწის მეცნიერული მემკვიდრეობას ღირსეულად წარმოაჩენს.

**თამარ შაიშმელაშვილი.**



**სურათებზე: გრიგოლ ფერაძის საზოგადოების წევრები გრიგოლის ფრესკასთან, მარიამ მაგდალინელის ეკლესიაში; გრიგოლ ფერაძისეული სახარება, რომელიც დარეჯან უგრეხელიძემ ვარშავის უნივერსიტეტს უსახსოვრა.**



◉ ფეხბურთი

**ევროპის „ბობოლა“ საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატებში, ინგლისის გარდა, საშობაო არდადეგები გამოცხადდა. თითქოს პირი შეკრესო, კალენდრის შემდგენლებმა ანტრაქტის წინ კლასიკად ქცეული შეხვედრები შემოგვთავაზეს.**

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია.** XVII ტურში გამართულ მილანურ დერბიში მონაწილეობის პატივი, უკვე მერამდენედ, კახი კალაძესაც ხვდა წილად. პირლოს ადრეული გოლის მიუხედავად, „როსონერიმ“ დამარცხებულმა დატოვა „ჯუზეპე მეაცას“ სარბიელი – კრუზმა და კამბიასომ ახლახან იაპონიაში დასრულებული მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულს კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს, რომ აპენინებზე მუსიკას სწორედ რობერტო მანჩინის გუნდი უკვეთავს.

„ინტერი“ – 43, „რომა“ – 36, „იუვენტუსი“ – 35 ქულა.

**ესპანეთი.** XVIII ტურში მადრიდის „რეალთან“ დანიშნული პრინციპული დუელის წინ კატალონიელებს დეკუ, ეტოო და ანრი გამოუჯანმრთელდნენ, თუმცა ამ უკანასკნელის ბრძოლაში ჩაბმა ფრანკ რაიკაარდმა ვერ გარისკა. ალბათ, სწორადაც მოიქცა, რასაც სასტარტო შემადგენლობაში რონალდინიოს დაბრუნება მოწმობს – მისმა სასხვათაშორისო ბლარძუნებმა, თანაც ტრავმირებული მესის არყოფნის ფონზე, საფუძვლიანად გვაფიქრებინა, რომ „ბარსელონაში“ მთლად ნორმალურად არ უნდა იყოს საქმე. რაც შეეხება „სამეფო კლუბს“, მისი სახით ჩვენს წინაშე მართლაც რომ ერთ მუშტად შეკრული ანსამბლი წარსდგა, სადაც ბერნდ შუსტერს ყველასთვის სათანადო პოზიცია აქვს მიჩენილი. ბუნებრივია, სავსებით ლოგიკური გახლავთ მატჩის შედეგიც – 1:0 სტუმართა სასარგებლოდ (გოლი ნისტელროის გდაცემით ჟულიო ბაპტისტამ გაიტანა).

„რეალი“ – 41, „ბარსელონა“ – 34, „ესპანიოლი“ – 33 ქულა.

**საფრანგეთი.** სტაჟიან გულშემატკივარს ემახსოვრება, რომ უეფას ამჟამინდელი პრეზიდენტის მიშელ პლატინის შთამბეჭდავ კარიერას სათავე „ნანსიში“ დაედო. და აი, ათწლეულების შემდეგ ეს კლუბი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. მერე როგორ – XIX ტურში შინ თვით „ლიონს“ არ დაუდო ტოლი და ძვირფასი ქულა მოიპოვა – 1:1.

„ლიონი“ – 39, „ნანსი“ – 35, „ბორდო“ – 33 ქულა.

**ინგლისი. XVIII ტური.** „არსენალი“ – „ტოტენჰემი“ 2:1, „მანჩესტერი“ – „ევერტონი“ 2:1, „ბლექბერნი“ – „ჩელსი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „არსენალი“ – 43, „მანჩესტერი – 42, „ჩელსი“ – 37 ქულა.



◉ ჭადრაკი

# „ხაზარის თასი“ – ქართველ ოსტატს

**ირანის ქალაქ რაშტში დამთავრდა მოჭადრაკეთა მე-6 საერთაშორისო ტურნირი „ხაზარის თასზე“, რომელშიც უმთავრესად კასპიის ზღვის აუზის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მოასპარეზეთა შორის გახლდათ სამი თბილისელი საერთაშორისო ოსტატი.**



ცხრა შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი **მალხაზ სულაშვილმა** დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი უზბეკ დიდოსტატ **მარატ ჯუმაევს** ხვდა. 7 ქულით მესამე იყო აზერბაიჯანელი დიდოსტატი **ფარიდ აბასოვი,** რომელმაც მხოლოდ უკეთესი კოეფიციენტით აჯობა IV ადგილზე გასულ **თორნიკე სანიკიძეს. ბაჩანა მორჩიაშვილი** VIII ადგილით დაკმაყოფილდა.

ტურნირზე დაწესებული იყო ფულადი საპრიზო ფონდიც. სულაშვილს „ხაზარის თასთან“ ერთად 1200 დოლარიც ერგო. მეორე-მეოთხე ადგილოსნებმა, შესაბამისად, 1000, 700 და 500 დოლარით იხეირეს.

**ზუსტი შორეული ტყორცნების მაღალი პროცენტი წყვეტს ხოლმე ხშირად ბრძოლის ბედს, თუმცა ყოველთვის როდი ხდება ასე – როგორც ყველაფერში, კონტრარგუმენტები ამ შემთხვევაშიც არსებობს**



## ორბიტაზე

### მედლები პელესთვის



**ბრაზილიის ზარაფხანამ გამოუშვა 1283 მედალი, რაც „ფეხბურთის მეფის“ – პელეს მიერ გატანილ გოლებს ეძღვნება, იდეა კი თავად მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ეკუთვნის. მედლები კრისტის აუქციონზე გაიყიდება, ხოლო მიღებული თანხა გადაეცემა პელეს საქველმოქმედო ფონდს, რომელიც 2005 წელს შეიქმნა.**

პელეს გატანილი ყველაზე სამახსოვრო გოლებისადმი (მაგალითად, 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გატანილი ორი ბურთი) მიძღვნილი მედლები 2008 წლის აპრილში არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში მოწყობილ აუქციონზე გამოიფინება, დანარჩენების შეძენა კი ფონდის ინტერნეტ-საიტზე იქნება შესაძლებელი.

სამახსოვრო მედლები სამი სახის იქნება – ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსი. „ოქრო“ 1639 დოლარი ეღირება „ვერცხლი“, – 820, ხოლო „ბრინჯაო“ – 382,5 დოლარი. მთელი შემოსავალი 3 მილიონ დოლარამდე იქნება.

67 წლის პელე მსოფლიოში ერთადერთი ფეხბურთელია, სამჯერ რომ გახდა მსოფლიო ჩემპიონი (1958, 1962 და 1970 წლებიძ. კარიერაში მან სხვადასხვა მონაცემებით 1281 თუ 1283 ბურთი გაიტანა.

### ახალ ვარსკვლავს ზრდის



**ქალთა ჩოგბურთის ვარსკვლავების, ამერიკელი დების ვინუს და სერენა უილიამსების მამა რიჩარდი მსოფლიო ჩოგბურთს ახალ ვარსკვლავს უზრდის – 8 წლის ჯანკარლო კავალერო, რომელმაც უკვე მოიგო ბავშვთა ხუთი ტურნირი და არ აპირებს ამაზე გაჩერებას.**

რიჩარდ უილიამსის განცხადებით, დამწყები მოთამაშე უკვე ახლა ფლობს არაბავშვურ ამბიციურობას და შრომისმოყვარეობას. მას ნამდვილად საჩოგბურთო ტალანტი გააჩნია. ის ყველა დარიგებას გულდასმით უსმენს და შემდეგ კორტზე ასრულებს. ის ძალზე წააგავს ანდრე აგასის და მომავალში ისეთივე ვარსკვლავი იქნება.

ახლა ნორჩი ჩოგბურთელის კერპი ფედერერია.

### მილიონ ევროდ მთლიანად გავშიშვლდები

**კარგა ხანია, მსოფლიო სპორტის სექს-სიმბოლოდ აღიარეს გერმანელი მოცურავე ქალი, მსოფლიო ჩემპიონი ბრიტა კამპაი-კორეშტაინი, მან ამ „პოსტზე“ შეცვალა წინა სექს-ბომბა ფრანცისკა ვან ალმსიკი.**

გერმანიაში მამაკაცებისთვის განკუთვნილი წამყვანი ჟურნალები იბრძვიან, რათა გამოაქვეყნონ გატიტვლებული ბრიტას ფოტოები. მათ შემოტევას ლამაზმანი მოცურავე ძლივს უმკლავდება. გამონაკლისი მხოლოდ ჟურნალ „მაქსიმისთვის“ დაუშვა, თუმცა იქ გამოქვეყნებული ფოტოსურათი ძალზე მორიდებულად გამოიყურება.

სხვათა შორის, ბრიტა დიპლომირებული იურისტია. აი, რა განაცხადა მან: „ჩემმა გაშიშვლებულმა ფოტოსურათებმა ჯვარი დაუსვა ჩემი იურისტობის კარიერას. და მაინც, არასოდეს ვიხდი ფოტოაპარატის წინ მთლიანად. თუკი რომელიმე გამოცემა ფოტოსესიისთვის მილიონ ევროს გადამიხდის, ბოლომდე გავშიშვლდები“.



ლამაზმანმა ანკესი გადააგდო. ვნახოთ, ვინ წამოეგება.

## დაფასება

# ფულადი ჯილდოები – ღირსეულთ

კვირას საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში შეხვდა სპორტული სამყაროს წარმომადგენლებს. გაორმაგებული პრემიები მიიღეს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა, ძიუდოისტებმა, მათმა მწვრთნელებმა, ასევე, ტაეკვანდოისტებმა, ჩოგბურთელებმა, მოკრივეებმა, ძალოსნებმა, ბეისბოლისტებმა, რომლებმაც 2007 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე წარმატებას მიაღწიეს.

საგულისხმოა, რომ მსოფლიო ჩემპიონებს 30 ათასი დოლარი, ხოლო ევროპის ჩემპიონებს 15 ათასი დოლარი ხვდათ. სულ 70-მა ადამიანმა მიიღო ფულადი ჯილდო, ხოლო პრემიების ჯამმა 800 ათას დოლარს გადააჭარბა. შეხვედრაზე ითქვა, რომ 2008 წლიდან სახელმწიფო პრემიებს არაოლიმპიური სახეობების წარმომადგენლებიც მიიღებენ.

## კალათბურთი

# გაშიფრა და გაიმარჯვა

**მოგეხსენებათ, როგორი ბასრი იარაღია სამქულიანები. სწორედ ზუსტი შორეული ტყორცნების მაღალი პროცენტი წყვეტს ხოლმე ხშირად ბრძოლის ბედს, თუმცა ყოველთვის როდი ხდება ასე – როგორც ყველაფერში, კონტრარგუმენტები ამ შემთხვევაშიც არსებობს.**

სუპერლიგის მეცხრე ტურში გამართულ „ვითასა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის შეხვედრაზე მოგახსენებთ, სტუდენტებმა 81:77 რომ მოიგეს. მატჩის პირველი ნახევრის შემდეგ ასეთ შედეგს ცოტა ვინმე თუ იწინასწარმეტყველებდა – მარხვაშვილმა, მარკოიშვილმა, ბეჟანიშვილმა და ბერიშვილმა ათი ცდიდან ცხრა (!ძ ზუსტად შეასრულეს და ფარქვეშ, ტრადიციისამებრ, ნაყოფიერად გარჯილი ბერძენიშვილის შემწეობით უმოწყალოდ დასეტყვეს მეტოქის კალათი. თსუ-ს ნაადრევად თმაშევერცხლილმა თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა მდგომარეობის გამოსასწორებლად აქცენტი უკანახაზელებზე გააკეთა და არც შემცდარა – სარბიელზე ერთდროულად შესულმა ჩიტაშვილმა, არწივიძემ, კოხრეიძემ და ხეცურიანმა დასკვნით პერიოდში გააქტიურებულ კეიდიასთან ერთად მაქსიმალურად შეუზღუდეს ზურაბ ტომარაძის შეგირდებს სივრცეები, თვითონაც არანაკლები სნაიპერული თვისებები გამოამჟღავნეს და საწადელსაც მიაღწიეს.



კი ვამბობთ, ბრძოლა ყველასთან შეიძლებაო, მაგრამ როცა ძალები უთანაბროა, წინააღმდეგობა დროებით ხასიათს ატარებს. ასე ხდება თანამედროვე ქართულ კალათბურთშიც, სადაც ეროვნული ნაკრების საბაზო კლუბი რუსთავის „ენერჯი ინვესტი“ ზეობს. ამჯერად ქვემოქართლელებმა ქვეყნის ვიცეჩემპიონი „ავიამშენი“ დატორეს – 84:65, თუმცა უმჯობესი იქნება თუ ვიტყვით, რომ ავიატორებს წირვა მხოლოდ ლაშა გამყრელიძემ გამოუყვანა – „ჯვაროსანთა“ გამთამაშებელმა მართლაც რომ სამაგალითო პირად მონაგარს მოუყარა თავი – 36 ქულა და 7-შედეგიანი გადაცემა. ასე რომ, დავით უსტიაშვილის გაწვრთნილი კრებული უდანაკარგოდ განაგრძობს ასპარეზობას და დამაჯერებლად ლიდერობს გათამაშებას. იგი უახლოეს მდევარს – თსუ-ს ოთხი მოგებით უსწრებს.

იმავე დღეს ითამაშეს „მაკაბიმ“ და თბილისის „დინამომ“ – 81:80.

**მეორე წრის უკანასკნელი ტურის შეხვედრებს დედაქალაქის სპორტის სასახლე 27 დეკემბერს უმასპინძლებს.**

## ნბა



### მწვრთნელო, წადი!

**ნბა-ს საკალათბურთო კლუბის „ნიუ-იორკ ნიქსის“ გულშემატკივრებმა მიტინგი მოაწყვეს მთავარი მწვრთნელის აიზია თომასის დაუყოვნებელი გადადგომის მოთხოვნით. მანიფესტაცია „მედისონ სკვერ გარდენთან“ გაიმართა, სადაც „ნიქსი“ საშინაო მატჩებს მართავს.**

აქციამ უამრავი ჟურნალისტი მიიზიდა, ასე რომ, გულშემატკივრები მასმედიის წარმომადგენელთა ალყაში მოექცნენ.

ქომაგთა გულისწყრომის მიზეზი კლუბის დაბალი მაჩვენებლებია. „კლივლენდთან“ შეხვედრის წინ კლუბს მხოლოდ 7 გამარჯვება ჰქონდა 24 შეხვედრიდან. თაყვანისმცემელთა მხარდაჭერამ თითქოს ძალა შემატა „ნიქსელებს“ და გაიმარჯვეს კიდეც – 108:90.

## ცხოვრების ჯანსაღი წესი

# სადაც სპორტი უყვართ

**უკვე გაუწყეთ, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ხათუნა მაჭარაშვილის თანადგომით 57-ე საჯარო სკოლამ მინიფეხბურთელთა ტურნირს უმასპინძლა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა შორის. სასიამოვნოა, რომ აღნიშნული სასწავლებლის დირექტორი სოსო ხუციშვილი და ფიზაღზრდისა და სპორტის, აგრეთვე ესთეტიკის კათედრის გამგე ვახტანგ ბაქანიძე აქტიურად განაგრძობენ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და პროპაგანდას, რაც ამ დღეებშიც დადასტურდა.**



„ვაკელ ბიჭებს უყვართ კალათბურთი“ – ამ დევიზით გაიმართა 54-ე, 55-ე, 56-ე, 57-ე და 165-ე საჯარო სკოლების VI-VII კლასელთა ასპარეზობა (მთავარი მსაჯი – თემურ მამუჩიშვილიძ, რომელიც 57-ე საჯარო სკოლის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა (მწვრთნელი – საკალათბურთო კლუბ „ვაკის“დირექტორი თეიმურაზ თურვანდიშვილიძ. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო მოთამაშედ ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილე ანდრია თურვანდიშვილი დაასახელეს.

დასასრულს, შევახსენებთ იმ ინიციატივის თაობაზე, ამას წინათ რომ გაჟღერდა: კარგი იქნება, თუ 57-ე საჯარო სკოლის ეზოს ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსი გაიხსნება. ამ საშვილიშვილო საქმეში სასწავლებლის მესვეურებსა და მოსწავლეებს დედაქალაქის მერიის დახმარების იმედი აქვთ.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

№ 252. სამშაბათი, 25 დეკემბერი, 2007 წელი.

# თანამედროვენი

● მე, მაგალითად, სადაც არ უნდა ვიყო, რა ვითარებაშიც არ უნდა აღმოვჩნდე, არასოდეს მარტო არ მტოვებენ არც რუსთაველი, არც გურამიშვილი და არც ილია ჭავჭავაძე. ამ სამ პატარა წიგნს, როგორც გულს, ალბათ, ვერასოდეს ვერ შეველევი



◉ ბელადიც ხუმრობდა ხოლმე

# ისტორიის ქარი

## როგორ მოვიქცეთ?

**წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა ა.მ. ვასილევსკიმ სტალინს უჩვენა არმიის გენერალ ი.დ.ჩერნიახოვსკიზე გამოგზავნილი საჩივრებით სავსე საქაღალდე. საქმე ეხებოდა იმას, რომ გენერალს ძალზე ბევრი ქალი ჰყოლია.**

— როგორ მივიქცეთ? — იკითხა ვასილევსკიმ.

— სხვა რა გზა გვაქვს, უნდა გვშურდეს მაგისი, — უპასუხა სტალინმა.

## ცუნამი

**ომის შემდეგ კურილის კუნძულებზე ძლიერი ცუნამის შედეგად დაიღუპა 28 ათასი კაცი, რომელთა შორის მრავალი სამხედრო იყო.**

ერთ-ერთ საჯარისო ნაწილში ცოცხალი გადარჩა დროშიანი ჯარისკაცი. როცა ეს სტალინს მოახსენეს, მან გადაწყვიტა ჯარისკაცი წარედგინა გმირის წოდებაზე. ჯარისკაცს გაესაუბრა უფროსობა, და მან გულახდილად თქვა, რომ სტიქიური უბედურების დროს თავის გადარჩენაზე ფიქრობდა, დროშა კი მხოლოდ ხელს უშლიდა, და საერთოდ, იგი სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა მის გვერდით. როცა სტალინმა ეს შეიტყო, თქვა:



— რა სამწუხაროა, რომ ჩვენ არ გვაქვს ჯილდოები პატიოსნებისთვის!

და მაინც ბრძანა წაეხალისებინა ჯარისკაცი. მარშალმა ვასილევსკიმ გასცა ბრძანება, რომ ჯარისკაცისთვის შეეკერათ ფორმა ოფიცრისთვის განკუთვნილი ნაჭრისგან და მიეცათ 30-დღიანი შვებულება.

## მარადიული დიდება

**გენერალი ი.ნ. რიჟკოვი ჰყვებოდა, თუ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით პირველად როგორ გამოჩნდა შემდეგი სიტყვები: „მარადიული დიდება იმ გმირებს, რომლებმაც თავი გაწირეს ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!“.**

— ვასილევსკისთან ერთად მივედით სტალინთან. ბრძანების პროექტში ჩვენ ჩაწერილი გვქონდა: „მარადიული ხსოვნა...“ სტალინმა წაიკითხა და შემოგვთავაზა სიტყვა „ხსოვნა“ სიტყვა „დიდებით“ შეგვეცვალა: „ხსოვნა“ უფრო სასულიერო პირებს შეეფერება“, — განმარტა სტალინმა.

## ეკლესია

**სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსიმ მოსკოვში ეკლესიის გახსნის ნებართვა სთხოვა სტალინს.**

— გახსენით, — თქვა სტალინმა. — რუსმა დედებმა უნდა ილოცონ თავიანთი შვილებისთვის და დაღვარონ ცრემლი.

ამის შემდეგ პატრიარქმა სასულიერო სასწავლებლების გახსნაც ითხოვა. სტალინმა საღვთისმეტყველო სკოლის გახსნის ნება დართო, მაგრამ სემინარიის თაობაზე თქვა: „ისტორიას ახსოვს შემთხვევები, როცა სასულიერო სემინარიებში საკმაოდ კარგი რევოლუციონერები აღზრდილან. თუმცა, ამ ხალხისგან ხეირი ცოტაა. ხომ ხედავთ, მეც ვსწავლობდი სემინარიაში, მაგრამ აქედან კარგი არაფერი გამოსულა“.

* * *

**აი, კიდევ ერთი საგულისხმო ეპიზოდი იმ თემაზე, რომელიც იუგოსლავიის გვარდიის უფროსმა მომო ჯურიჩმა მიამბო. პირველ მსოფლიო ომში მძიმედ დაიჭრა ერთ-ერთი ექიმი-ქირურგი.** იგი კარგად ხვდებოდა, რომ გადარჩენის შანსი თითქმის არ ჰქონდა და დაიფიცა, რომ თუ არ მოკვდებოდა, მთელი ცხოვრება ღვთისმსახურებას მოახმარდა. ექიმი გადარჩა. მან თავისი ფიცი აღასრულა და გახდა სოფლის მღვდელი. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი პარტიზნად გავიდა და, როგორც ყველაზე განათლებული კაცი, გახდა პარტიზანთა რაზმის შტაბის უფროსი, მაგრამ რადგან იყვნენ დაჭრილები და ავადმყოფები, მოუწია გაეხსენებინა თავისი ძველი პროფესია. მაშინ ამ ექიმმა მრავალი ადამიანი გადაარჩინა.

როცა კრემლში მამაც პარტიზანთა შორის იგი წარუდგინეს სტალინს, ყოფილმა ექიმმა და პარტიზანმა მას მოუთხრო თავისი ამბავი. სტალინი დაინტერესდა, თუ რის გაკეთებას აპირებდა ომის დამთავრების შემდეგ. მან უპასუხა, რომ თავის მრევლში დაბრუნდებოდა. სტალინს, როგორც ჩანს, სურდა ეს კაცი სამედიცინო საქმიანობისთვის დაებრუნებინა და უთხრა: „აფსუს, რა ქირურგი დავკარგეთ თქვენი სახით!“. „არადა, რა მღვდელი დაკარგა ეკლესიამ თქვენი სახით, ამხანაგო სტალინ!“ — უპასუხა მღვდელმა-ქირურგმა-პარტიზანმა.

## კოლეგა

**მოსკოვში პარიზიდან ჩამოვიდა მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, რომელიც თავის დროზე სტალინთან ერთად სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. მან მოისურვა სტალინის ნახვა და როცა მიიღო მოწვევა, იკითხა, როგორი ტანსაცმლით გამოცხადებულიყო, საეკლესიოთი თუ საეროთი?**

უმჯობესი იქნება, თუ საერო ტანსაცმელს ჩაიცვამთ, — ურჩიეს მას.

შეხვედრა გულთბილი გამოდგა. სტალინმა ხელი შეახო სტუმრის კოსტიუმს და თქვა:

— ღმერთს არ შეუშინდი და ჩემი შეგეშინდა?

## დააზუსტა

**სამხედრო გამომცემლობის უფროსი გენერალი მარინოვი ქართველს წააგავდა — შავი ხუჭუჭი თმა ჰქონდა, ულვაშებს ატარებდა. მარინოვის მოხსენების დროს სტალინმა ყურადღებით შეათვალიერა იგი და ჰკითხა:**

— რა ეროვნების ხართ, ამხანაგო მარინოვ?

მარინოვმა ვერ გაბედა ხალხების ბელადისა და თანაც ეროვნებით ქართველი კაცისთვის ეთქვა, რომ ქართველი იყო, თუმცა გამონახა გამოსავალი:

— მე ქართველი ებრაელი ვარ, ამხანაგო სტალინ.

ამის პასუხად სტალინმა მიუგო:

— ამხანაგო მარინოვ, მე ასე ვიცი: კაცი ან ქართველი უნდა იყოს, ან — ებრაელი.

## პასუხი ჩერჩილს

**მოლაპარაკების დროს გაჩაღდა კამათი ომისშემდგომი საზღვრების შესახებ, და ჩერჩილმა თქვა:** — ლვოვი არასდროს ყოფილა რუსული ქალაქი!

— მაგრამ, ვარშავა ხომ იყო, — არ დაეთანხმა სტალინი.

## პასუხი ჰარიმანს

**პოტსდამის კონფერენციაზე ჰარიმანმა ჰკითხა სტალინს:**

— მას შემდეგ, რაც 1941 წელს გერმანელები მოსკოვიდან სულ რაღაც 18 კილომეტრზე იყვნენ, ალბათ, თქვენთვის ახლა ძალზე სასიამოვნოა დამხობილი ბერლინის დაყოფა?

— ნუ გაიწყდებათ, რომ მეფე ალექსანდრემ პარიზამდეც ჩააღწია, — უპასუხა სტალინმა.

თარგმნა

**ზაზა ბეჟანიძემ**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 243-249.

◉ ილიაჭავჭავაძელთა ახალი ნოზათი

# პაწაწინა წიგნების დიდი ბიბლიოთეკა,

## ანუ „ვეფხისტყაოსნიდან“ „ოთარაანთ ქვრივამდე“

*ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მე უკვე რამდენჯერმე ვწერდი იმ დიდ ეროვნულ და საშვილიშვილო საქმეზე, რომელსაც აგერ უკვე რამდენი წელიწადია, რაც წარმატებით ასხამს ხორცს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია (პრეზიდენტი ლია ნადარეიშვილი).*

*ამ ასოციაციაში ჭეშმარიტად ქართული ეროვნული სული დუღს, რომელსულსაც აგრერიგად უჭირს დღეს, როცა ხალხის უმრავლესობის ქონებრივი სიღატაკე და სულიერი სიღარიბე გვერდიგვერდ დადგნენ და წინ გასაჭირლად გასაქანს არ აძლევენ ამჟამინდელ ქართველს, როცა წყალდიდობასავით მოდიდებული საერთო სახალხო სიდუხჭირის წინააღმდეგ ბრძოლასაც კი თავიანთ გასამდიდრებლად იყენებენ ზოგიერთნი... უფრო სწორად, ხალხის სიღარიბე მავანთა და მავანთ მაშინ აგონდებათ და როგორც მაშველ რგოლს მაშინ ეზღაუჭებიან, როცა თავიანთი კეთილდღეობის დაკარგვის რეალური შიში უჩნდებათ.*

*ილიაჭავჭავაძელები კი თავიანთი სულმნათი „ნათლიის“ ერთხელ და სამუდამოდ ნაჩვენებ ჭეშმარიტად ქართულ გზას მისდევენ, ჯერ ოდნავადაც არ გადაუხვევიათ და, იმედია, არც გადაუხვევენ, თუმცა ყოველგვარი საქმიანობისთვის ესდენ საჭირო სახსრები ამ ასოციაციას სულაც თავზე არ გადასდის. როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, თვითონ იკლებენ ლუკმას, რათა ქვეყნის თავმოსაწონებელ ბრწყინვალებას სულ მცირეოდენი ბინდიც არ შეეპაროს.*

*სხვა მრავალმხრივ საქმიანობასთან ერთად, ილიაჭავჭავაძელები ქართული წიგნის სამსახურშიც დგანან. უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც მკითხველს ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის თვალსაჩინო ნიმუშებს მინიატიურული წიგნების სახით აწვდიან,*




*რომელმა წიგნებმაც უკვე ქართული მწერლობის კოკროჭინა ბიბლიოთეკაც კი შეადგინეს. ამ წიგნებს, სხვათა შორის, ის დანიშნულებაც აქვთ, რომ მუდამ ჩვენთან იყვნენ განუყრელად — მანქანაშიც, მატარებელშიც, გემზეც, თვითმფრინავშიც, თუნდაც წყალქვეშა ნავშიც, სადმე ოკეანეში თუ ზღვაში ანდა კოსმოსში გაფრენილ თანამგზავრშიც.*

*მე, მაგალითად, სადაც არ უნდა ვიყო, რა ვითარებაშიც არ უნდა აღმოვჩნდე, არასოდეს მარტო არ მტოვებენ არც რუსთაველი, არც გურამიშვილი და არც ილია ჭავჭავაძე. ამ სამ პატარა წიგნს, როგორც გულს, ალბათ, ვერასოდეს ვერ შეველევი.*

*თითქმის წარმოუდგენელიც კია „ვეფხისტყაოსნის“ კოკროჭინა წიგნში ჩატევა, მაგრამ აქ ზუსტად ის შემთხვევაა, როცა ძალიან, ძალიან ძვირფასი რამ, თვითონ სიცოცხლესავით ძვირფასი, დიდში არ ეტევა და პატარაში კი ლაღად არის... თანაც როგორი გამოცემაა — სიძველეშენარჩუნებული, თვით რუსთაველის დროინდელი გეგონება, როცა მცირეშიც ბევრსა სტევდნენ. ტექსტი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის მიერ დადგენილია, გამოცემა დაფინანსებულია საქართველოში ნინოწმინდის ნავთობკომპანიის წარმომადგენლობის მიერ (აი, ქველმოქმედებაც ამასა ჰქვია!), გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორია დიდად პატივცემული ქალბატონი, ასოციაციის პრეზიდენტი ლია ნადარეიშვილი, მხატვარია ანზორ თოდრია, გამოცემაში გამოყენებულია ცნობილი მამუკა თავაქარაშვილისეული ხელნაწერის ფერადი ილუსტრაციები. წიგნი 500-ზე მეტ გვერდს შეიცავს... დაიბეჭდა და აიკინძა „ფავორიტში“...*

*ვერც კი წარმომიდგენია ისეთი ქართველი, ვინც, ჩემი არ იყოს, საკუთარი გულივით მუდამ თან არ იქონიებს ამ საქართველოს გულ-წიგნს, რომლის მსგავსი გამოცემაც ამ გენიოსი ქართველისა დღემდე არა გვქონია.*

*და აგერ, ამ დღეებში ილიაჭავჭავაძელებმა ერთ კოკროჭინა წიგნად შეკრული თვითონ ილია ჭავჭავაძის სამი მოთხრობაც გამოსცეს („მგზავრის წერილები“, „კაცია-ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“), რაც ამ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართველის დაბადების 170 წლისთვის ეძღვნება (მთავარი რედაქტორი ლია ნადარეიშვილი, მხატვარი გიორგი წერეთელი, კრებული გამოსაცემად მოამზადა შოთა კობიაშვილმა). წიგნი 400 გვერდზე მეტს შეიცავს (აიწყო და დაკაბადონდა „კოლორპრინტში“, დაიბეჭდა და აიკინძა „ფავორიტში“). რაც პოლიგრაფიულად თავისებური „ჯადოსნობაა“ და ცალკე აღნიშვნის ღირსია, რადგან ეს ჩვენი პოლიგრაფიული წინსვლის უთუოდ ნიშანდობლივი მაჩვენებელია.*

*ერთი სიტყვით, მადლობა, ილიაჭავჭავაძელებო, რომ „სულიერ პურს“ არ გვაკლებთ, მადლობა, რომ დღეის ამას იქით მუდმივ თან სატარებლად გაგვიჩინეთ ორი უდიდესი ქართველის პაწაწინა წიგნებად შეკრული ორი უდიდესი სამყარო — ჩვენი მარადიული სიცოცხლის წყარო. საქართველო ხომ ამ ორ უდიდეს ქართველზე დგას, ამ ორი ატლანტის გადგმულ მხრებს უჭირავს, საბედნიეროდ, კიდევ რამდენიმე ასევე უდიდესი ქართველის გაუდრეკელ მხრებთან ერთად.*

**გურამ წიკლაური**

**წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას ტაძრის მრევლმა „ქარვასლაში“ მოწყობილი გამოფენა პატრიარქის აღსაყდრებიდან 30 წლისთავს მიუძღვნა**



## საქმე №2/1853-07

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება

### საქართველოს სახელით

08 ოქტომბერი 2007 წელი — თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე: ილონა თოდუა
სხდომის მდივანი: თამარ დალაქიშვილი
მოსარჩელე: მერი მამისაშვილი
წარმომადგენელი: ვასილ ხაჭაპურიძე
მოპასუხე: ნინო შიმშილიანი დაუსწრებლად
დავის საგანი: საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრედ ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2007 წლის 7 მაისს სარჩელით მიმართა მერი მამისაშვილმა მოპასუხე ნინო შიმშილიანის მიმართ საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

მოსარჩელის განმარტებით, 1966 წელს მერი მამისაშვილსა და ნინო შიმშილიანს შორის დაიდო ზეპირი სახის გარიგება საცხოვრებელ სადგომზე, მდებარე ქ . თბილისი, ხვინგიას ქაჩა №3-ზე, რომლითაც ნინო შიმშილიანმა საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის უფლება დაუთმო მერი მამისაშვილს. აღნიშნულ მისამართზე მერი მამისაშვილი რეგისტრირებულია 1966 წლის 7 სექტემბრიდან და იხდის კომუნალურ გადასახადებს.

მოსარჩელის განმარტებით, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მოთხოვნათა დაცვით მერი მამისაშვილმა შესთავაზა მის მიერ დაკავებული ფართის სანაცვლოდ 75 პროცენტის გადახდა, რაზეც მოპასუხე ნინო შიმშილიანმა უარი განაცხადა.

სასამართლომ განიხილა მერი მამისაშვილის სარჩელი და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2007 წლის 8 ოქტომბერს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე ნინო შიმშილიანი, რომელსაც სხდომის დღის შესახებ ეცნობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და მოითხოვა მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება. კერძოდ, მოსარჩელე მერი მამისაშვილი, მის მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის თანახმად, საიდანაც ირკვევა, რომ სადავო ქონება შეფასებულია 1967 (ერთი ათას ცხრაას სამოცდაშვიდი) აშშ დოლარად, საბაზრო ღირებულების 25 პროცენტის გადახდის სანაცვლოდ ითხოვს სადავო ბინაზე საკუთრების უფლების მიკუთვნებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა სასამართლოს შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩათვალა. ამასთან, სსსკ 230-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა რა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, მიაჩნია, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ კანონის თანახმად, მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მერი მამისაშვილის მიერ მითითებულ სასარჩელო მოთხოვნას ნინო შიმშილიანის მიმართ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობის შესახებ, რის გამოც სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 230-ე, 236-237 მუხლებით და

**გადაწყვიტა:**

1. მერი მამისაშვილის სარჩელი ნინო შიმშილიანის მიმართ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. დაეკისროს მოპასუხე ნინო შიმშილიანს მოსარჩელე მერი მამისაშვილის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 120 (ას ოცი) ლარის ოდენობით;
3. მოპასუხე ნინო შიმშილიანს დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით;
4. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიკრას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განცხადებების დაფაზე.
5. მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია ასეთი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანოს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

**მოსამართლე — ილონა თოდუა**


## სს „თათმანის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

**2008 წლის 17 იანვარს 14 სთ-ზე გაიმართება „თათმანის“ აქციონერთა საერთო კრება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №65.**

**დღის წესრიგი:**

1. განვლილი წლის სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. აუდიტის არჩევა;
3. სხვადასხვა.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2007 წლის 17 დეკემბერი.


**◎ გამოფენა**

# პატრიარქისადმი მოწიწებით და სიყვარულით

**ამ დღეებში დედაქალაქში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიედინებოდა სიონის ქუჩისკენ. აქ იყვნენ ახალგაზრდები, ჭარმაგები. კარგა ხანია ლონისძიებაზე ერთად თავშეყრილი ამდენი ადამიანი არ მინახავს. ხალხი ძლივს დაიტია საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა „ქარვასლამ“. ვიღაცამ შიშნარევი ხმა დაგვაწია: კარი ხომ არ ჩავკეტოთ, შენობა არ დაინგრესო! მაგრამ კარები ბოლომდე ღია იყო. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ადამიანები, რომლებსაც ღრმად სჯერა და სწამს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის სასიკეთო საქმეებისა. სწორედ მის მიმართ ამ დიდი პატივისცემისა და მოწიწების დასტური იყო ეს საღამო.**

წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას ტაძრის მრევლმა „ქარვასლაში“ მოწყობილი გამოფენა პატრიარქის აღსაყდრებიდან 30 წლისთავს მიუძღვნა.

საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი გახლავთ საინტერესო ფოტოები პატრიარქის ცხოვრებიდან – მისი ბავშვობა, ყრმობა, ახალგაზრდობა, მოწიფულობის ასაკი, მშობლები... განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პატრიარქის მრევლთან ყოფნის, მისი ქადაგებების ამსახველი ფოტოები.

ძნელია გულგრილად ჩაუარო მის სხვადასხვა გამონათქვამებს, რომლებიც მხატვრულად არის გაფორმებული და კედლიდან საოცარი სითბოთი იღვრება, აი ზოგიერთი მათგანი, რომელიც ყოველმა ქართველმა უნდა იცოდეს: „ყოველი დღე, ყოველი გათენებული დილა ეს არის უდიდესი წყალობა ღვთისა, ამიტომ დილიდან მადლობას უნდა ვწირავდეთ უფალს“. „ვინც სიკეთეს აკეთებს, მასზე გადმოედინება მადლი სულისა წმინდისა, რაც მთელ მის სახლს, მის ახლობლებს, შვილებსა და შვილიშვილებს ეფინება“, „მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ ჩამოაყალიბა არა მხოლოდ ერთიანი ქართული სახელმწიფო და უნიკალური ქართული კულტურა, არამედ განსაზღვრა ქართველი კაცის ცხოვრებისა და აზროვნების წესიც...“

ხალხი ფეხზე იდგა და სულგანაბული უსმენდა, უყურებდა ახალ ფილმს „ნათელი ბნელში“, როგორც პატრიარქისა და ხალხის, ერთად ყოფნისა და საუკეთესო ურთიერთობის ნიმუშს.

ფილმის დამთავრების შემდეგ შესანიშნავი, პატრიოტულ თემაზე დაწერილი „ნუ დაივიწყებ, შენი ვალია“ სიმღერის პრეზენტაცია გაიმართა.

საგამოფენო დარბაზში კი დიდი რიგი იდგა იმ ყუთთან, სადაც მართლმადიდებლები პატრიარქისადმი მიწერილ მისალოც ბარათებს ყრიდნენ.

დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა ვუსურვოთ ჩვენი ქვეყნის სულიერ მამას.

**ლალი ქინქლაძე**

**ხელოვნება**

# გურამ სურგულაძე

**საქართველოს სოფლის მეურნეობის აგრონომიულმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, დამსახურებული აგრონომი, შრომის წითელი დროშის ორდენისა და მრავალი მედლის კავალერი გურამ მიხეილის ძე სურგულაძე.**



**დაიბადა 1939 წელს. 1964 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სახელოვნად განვლო გზა რიგითი აგრონომიდან საქართველოს მთავრობის აგროსამრეწველო კომპლექსისა და გარემოს დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილემდე. 1978-1981 წლებში ტექნიკური დახმარების მიზნით იგი მივლინებული იყო ავღანეთში, სადაც ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის მუშაკებისაგან შექმნილ ჯგუფს და თავი გამოიჩინა, როგორც მაღალკვალიფიციურმა, პრინციპულმა და კომპეტენტურმა ხელმძღვანელმა მუშაკმა.**

**წავიდა ჩვენგან ქვეყნისა და ერის წინაშე ვალმოხდილი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ჭეშმარიტი მამულიშვილი, სიკეთით სავსე, პატიოსანი, თავმდაბალი, მაღალი მორალურ-ზნეობრივი თვისებების და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, უღალატო, სპეტაკი კაცი, რომელიც მის ირგვლივ მყოფთა შორის განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა. იგი იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა. ჩვენო გურამ, წახვედი და შენს მეგობრებსა და ახლობლებს უდიდესი ტკივილი დაგვიტოვე. შენს ნათელ სახელსა და სახეს დავიწყება არ უწერია.**

**მსუბუქი და ალალი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა და ცათა სასუფეველი.**

**ანზორ ბაბუხადია, ზურაბ გეგეჭკორი, გუჩა დათუნაიშვილი, ელრად დოლაბერიძე, გიორგი კილაძე, კახა ქორიძე, ანზორ ჩაფიძე, მიხეილ ჩხენკელი, გია ხურცია, თამაზ რეხვიაშვილი, დათო ცნობილაძე, კუკური ლომთაძე.**

**◎ ინფორმაცია**

## ახალქალაქში გაზსადენის მშენებლობა დასრულდა

**ახალქალაქის რაიონის გაზმომარაგების მიზნით წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის მაგისტრალური გაზსადენის 700-მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია და 6-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა დასრულდა.**

დამონტაჟდა ორი გამანაწილებელი პუნქტიც, რითაც შესაძლებელი იქნება გაზი ახალქალაქის რაიონის შვიდმა სოფელმაც მიიღოს.

ახალქალაქის რაიონის გაზმომარაგება შეუძლებელი იყო, რადგან წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა 90-იან წლებში შეჩერდა. გაზსადენის ექსპლუატაციაში გაშვება 6-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობის შემდეგ შესაძლებელი გახდება.

**ინტერპრესნიუსი**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი, ამ გაზეთის ყოფილი საკუთარი კორესპონდენტი კახეთის მხარეში**

**დომენტი გერგიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**გურამ, ზაზა, დათო გომართელები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ**

**გია კერესელიძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

---

**თამაზ ებანოიძე ოჯახით თანაუგრძნობს რძალს ნინო მირიანაშვილს ბიძის**

**ზურაბ თათარაშვილის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**


**რეკლამა** *კოსტავას 12*

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

**98-65-87; 899 32-85-76.**


№ 252. სამშაბათი, 25 დეკემბერი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● აეროპორტისა და ნავთობგაზის მიმდებარე დასახლება ქალაქის სატ-რანსპორტო ინფრასტრუქტურაში მოექცეოდა, რაც შეამცირებდა სამარშრუტო ხაზებსა და ამ ტრასის გადატვირთულობას





## ⊙ ექსპრეს-ტელეფონები

# ხელსაწყოცვალდ

● სახანძრო სამსახური 01, 754229, 755397;
● საპატრულო სამსახური – 022;
● სასწრაფო სამედიცინო დახმარება – 033, 999208;
● გაზის საავარიო სამსახური – 04, 962715, 745904;
● სასწრაფო მომსახურება;
● ამინდის ბიურო 95 02 02;



● დაკარგული ნივთების ბიურო 98 81 39;
● სამისამართო ბიურო 34 60 00;
● დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 06; 99 06 06;
● ცენტრალური ავტოსადგური 72 34 33;
● რკინიგზის სადგურის ცნობარი 566253, 564760
● დიდუბის ავტოსადგური 34 72 39;
● ტაქსის გამოძახება 006, 929, 008;
● შსს მორიგე 99 95 24;
● ქალაქის მორიგე 98 54 74, 52 81 80;
● გაზი გამოძახებით 008;
● აეროპორტის ცნობათა ბიურო 43 32 21, 43 31 41;
● ვეტერინარული დიაგნოსტიკის ცენტრალური ლაბორატორია 53-09-67; 39-54-79;
● სახელმწიფო კანცელარიის ცხელი ხაზი 92 25 88; 92 26 84; 92 25 89; 92 26 85;
● უშიშროების სამინისტროს ცხელი ხაზი 95 36 53;
● საგარეო საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 28 47 47;
● არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ 22 37 60;
● სახალხო დამცველი 92 24 79; 99 08 36; 92 24 70;
● ომბუდსმენის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი 92 39 60;
● შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 98 39 43; 99 53 50;
● ფინანსთა სამინისტრო 22 17 80; 22 09 24;
● ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 93 40 41;
● კომუნიკაციების ეროვნული კომისია 98 23 38;
● ბავშვთა უფლებების დაცვის კრიზისული დახმარების ცენტრი 99 66 04;
● მერიის და საკრებულოს ცხელი ხაზი 994, 93 38 38, 93 38 39;
● მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური 37 78 70;
● შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური 22 61 48; 22 33 53;
● მერიის მოქალაქეთა მისაღები 99 08 66;
● საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზი 99 74 10;
● ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 92 13 05;
● კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება 2 საათით, პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში 51 77 37;
● ჯანდაცვის სამინისტრო 94-49 ან 94 34 98;
● საქართველოს შსს სანებართვო განყოფილების ცხელი ხაზი 98 56 01;
● იუსტიციის სამინისტრო 75 82 21;
● „თბილგაზის“ ცხელი ხაზი 20 04 05, საინფორმაციო 37 04 00;
● ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისძ – 25 01 45; 22 54 17;
● თელასის ცხელი ხაზი 77 99 99, საინფორმაციო 25 52; 25 52 11;
● წყალკანალის საავარიო სამსახური 62 31 28;
● კანალიზაციის საავარიო სამსახური 74 38 68;
● საქსტანდარტი 60 36 10;
● საქალაქთაშორისო კოდების ბიურო 95 07 01;
● შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 94 33 11;
● რესპუბლიკური საპატრულო პოლიცია 80 02;
● შსს-ს საინფორმაციო ცენტრი 99 93 55;
● საბაჟო დეპარტამენტის ცხელი ხაზი 76 82 22;
● გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 53 06 32;
● მერიის „თბილლიფტი“ 95 43 71;
● ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრი 99 04 02.

## კანდიდატი გისმენთ



ლევან გაჩეჩილაძის შტაბი – თოფურიას ქ. №10 (ტელ. 32-05-47 ან 32-05-81ძ.



ბადრი პატარკაციშვილის შტაბი – ბოჭორმის ქ. № 20 (ტელ. 74-65-18, 74-69-68, ცხელი ხაზი 74-69-66ძ.



დავით გამყრელიძის საარჩევნო შტაბი – „მემარჯვენეების“ ოფისი, მის. ორთაჭალა, ჟანი კალანდაძის ქ. №3-ში (ტელ: 72-15-10ძ.



შალვა ნათელაშვილის შტაბი – ჯავახიშვილის ქ. №88 (ტელ: 91-16-17 ან 94-39-22, 91-04-05ძ.



მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბი – ფილარმონია, მეორე სართული (ტელ. 92-05-87 ან 92-05-89ძ.



გია მაისაშვილის შტაბი – ყაზბეგის ქუჩა №44 (ტელ: 39-46-17ძ.



ირინა სარიშვილის შტაბი – ალმაშენებლის პრ. 52 (ტელ: 91-09-17 ან 91-09-16ძ.

## ⊙ გვწერენ

## მიწისზედა მეტროს სადგური ხომ არ აჯობებდა?

**გულს ახარებს აეროპორტის რკინიგზის თანამედროვე ლამაზი სადგური, თუმცა მისი პრაქტიკულად გამოყენებისა რა მოგახსენოთ, მიუხედავად იმისა, რომ მგზავრობის დროც კარგად შეურჩევიათ. საქმე ის გახლავთ, რომ თბილისი არც ფრანკფურტია და არც სტამბოლი, რომ თვითმფრინავით მოსარგებლე მგზავრებით იყოს გადატვირთული, მის შორეულ უბნებში მცხოვრები თბილისელები და მათი სტუმრები კი აეროპორტში მისასვლელად უმეტესად ავტოტრანსპორტით სარგებლობენ.**

ამიტომ, ჩემი აზრით, უპრიანი იქნებოდა, ეს სადგური მიწისზედა მეტროს სადგურად გადაგვექცია, რომელსაც ექნებოდა გაჩერება „ლილოს ბაზრობა“, ან „კახეთის გზატკეცილი“. დამერწმუნეთ, იმდენად მოსახერხებელი გახდებოდა ამ მიმართულებით გადაადგილება, რომ აეროპორტში მომუშავეებიც, მგზავრებიც და დამხვედრებიც ბევრად კმაყოფილი დარჩებოდნენ. თანაც აეროპორტისა და ნავთობგაზის მიმდებარე დასახლება ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში მოექცეოდა, რაც შეამცირებდა სამარშრუტო ხაზებსა და ამ ტრასის გადატვირთულობას.

**მალხაზ დოლიძე,**
*ინჟინერი.*

**რეკლამა** *კოსტავას 12*
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**98-65-87; 899 32-85-76.**

## ⊙ ანეკდოტები

**– ღმერთო, როგორ ცუდ ხასიათზე ვარ, ქმარმა, როგორც იქნა, დიდი ხნის საოცნებო საჩუქარი მომიძღვნა, მაგრამ გავსუქდი და ვერ ვეტევი.**

**– შენც მიმართე გახდომის მოსურნეთა სალონს, იქ სწრაფად მოგარგებენ კაბას.**

**– ქმარმა კაბა კი არა, მანქანა მიყიდა...**



* * *

**– დედი, ზღაპარი მუდამ ასე იწყება – „იყო და არა იყო რა?“**

**– არა, შვილო, ხშირად ასე იწყება „...საყვარელო, დღეს თათბირი დიდხანს გაგრძელდება და დილამდე ვერ მოვალ...“**

* * *

**ცოლმა ქმარი მიატოვა.**

**– როგორც კი სახლიდან გამოვედი, სროლის ხმა გაისმა. როგორ გგონია, ქმარმა თავი მოიკლა? – ეკითხება იგი დაქალს.**

**– არა, ჩემი აზრით, მან შამპანურის ბოთლი გახსნა.**

* * *

**– კრივი სპორტის საუცხოო სახეობაა. მისი წყალობით დიდ ფულს ვშოულობ.**

**– თქვენ ალბათ ძლიერი მოკრივე ბრძანდებით!**

**– ღმერთმა დამიფაროს! სტომატოლოგი ვარ.**

* * *

**– ჩამოკიდებს პუტინი მარტში თავის კაბინეტში მედვედევის პორტრეტს?**

**– არა, მის ტყავს დაიგებს.**

## ⊙ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.